პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 მარტი **სამშაბათი** 2010

№073(13061) ფასი 60 თეთრი



## ევროპაზე მხოლოდ სასწაული გაგვიყვანს

მოსალოდნელი სცენარები

>> გვერდი 3

## ფაჩულია ტოპათეულში მესამეა

ეფექტური ჩაჭრა, დიდებული დრიბლინგი, ჯადოსნური პასი

>> გვერდი 14

# ფერგის რა უჭირს, ლუისმა იკითხოს...





## დღეს მიუნხენში დიდი დუელის პირველი რაუნდია

>> გვერდი 7

## ტაქტიკას მოედნის საფარს ვუსადაგებთ, ეს არ არის ფეხბურთი!

ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან

გვერდი >> 2-3



## რა მოხდა 3 მარტს?

>> გვერდი 5

# კლიმატი და ლოგიკა

„ფეხბურთი ალოგიკური თამაშიაო, - ხშირად მოგვისმენია მსგავსი გამოთქმა. სეზონის დაწყებიდან ჩვენს ჩემპიონატშიც უკვე არაერთი მატჩი დასრულდა, რბილად რომ ვთქვათ, მოულოდნელი შედეგით; თუმცა, უკანასკნელ ტურში ხუთივე მატჩის საბოლოო შედეგი ლოგიკური იყო და აქედან გამომდინარე, სატურნირო ცხრილიც „ხელუხლებელი" დარჩა. ეგ კი არა, არც ერთი ადგილმონაცვლეობა არ მომხდარა; ერთადერთი, მხოლოდ „სიონის" მორიგი წარმატებული ასპარეზობაა ანგარიშგასაწევი - „გაგრასთან" გამარჯვებით ბოლნისური კლუბი სახიფათო ზონასაც გვარიანად დაშორდა და ახლა უკვე ხუთეულში მოხვედრაზეც შეიძლება ფიქრი.

სხვა მხრივ კი, განვლილი ტური განსაკუთრებით გამორჩეული ნამდვილად არ ყოფილა; ისე როგორ იქნებოდა, მარტის ჭირვეულობას ჩვენს ჩემპიონატზე არ ემოქმედა: ტურის „გამხსნელი" შეხვედრა („გაგრა"-"სიონი") გაზაფხულის კვალობაზე უჩვეულოდ სუსხიან ამინდში ჩატარდა. შაბათის ორ მატჩს („სამტრედია"-"დინამო" და „ბაია"-"ზესტაფონი") კი ისეთი ქარი „ახლდა", ბურთის ტრაექტორიის განსაზღვრას ვინ ჩივის, ფეხბურთელებს მოედანზე გადაადგილებაც უჭირდათ! სამაგიეროდ, ტურის მესამე დღეს გამოიდარა და ალბათ, ამითაც იყო განპირობებული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის მორიგი წარმატება. თან, არ დაგვავიწყდეს, რომ XXVII ტურით ჩემპიონატში ბოლოსწინა, მესამე წრე დასრულდა; დასრულდა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო: რუსთავის „ოლიმპმა" უახლოეს მდევართან ცხრაქულიანი უპირატესობა კვლავაც შეინარჩუნა და, აქედან გამომდინარე, გვეეჭვება, რომ ჩემპიონობა ვინმეს დაუთმოს.

## აკინო-შოუ გრძელდება

ვინც რა უნდა თქვას, ამ ჩემპიონატის მშვენება „ოლიმპის" ბრაზილიელი ლეგიონერი **ანდერსონ აკინოა**. რუსთაველთა გუნდის და საერთოდ, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ზედიზედ მეოთხე საშინაო მატჩში გამოიჩინა თავი. „ოლიმპის" საჩემპიონო შანსებისა არ იყოს, ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობა აკინომ ვინმეს დაუთმოს; ამასთან, სეზონის დასრულებამდე ცხრა ტურით ადრე ბრაზილიელს ისედაც სოლიდური მაჩვენებელი აქვს (25 გოლი) და ალბათ, ამ ნიშნულის გაუმჯობესებას კიდევ შეეცდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უკვე თხუთმეტი წელიწადია, საქართველოს ჩემპიონატში ერთ კონკრეტულ ფეხბურთელს 30 გოლი არ გაუტანია. უკანასკნელად ეს ცნობილმა გოლიადორმა **მერაბ მეგრელაძემ** შეძლო, რომელმაც 1993-94 წლების სეზონში მეტოქეთა კარში 31 გოლი გაიტანა. მოკლედ, აკინოს მართლაც მშვენიერი შანსი ეძლევა, რომ საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში მეოთხე ან მეხუთე შედეგი უჩვენოს. ისე კი, ვინ იცის, იქნებ იმავე მეგრელაძის, **ოთარ კორღალიძისა** და **ზვიად ენდელაძის** შედეგსაც მიუახლოვდეს - ოღონდ, ამისთვის „ოლიმპის" ბრაზილიელ ლეგიონერს დარჩენილ ცხრა მატჩში, სულ მცირე, 15-16 გოლი „სჭირდება".

უკანასკნელ ტურში „ოლიმპმა" პირველ ტაიმშივე გაარკვია თამაშის ბედი. რაც მთავარია, „ოლიმპი"-"სპარტაკის" ამ შეხვედრას, წინა ორისგან განსხვავებით, არც ექსცესები მოჰყოლია და არც მითქმა-მოთქმა. ისიც ნიშანდობლივია, რომ პირველი გოლი გაიტანა „ოლიმპში" ორწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა **რევაზ ჯიქიამ**. თუმცა, რახან „დაბრუნება" ვახსენეთ, მით უფრო, „სპარტაკი" ასპარეზობდა, რაღა თქმა უნდა, **გიორგი დემეტრაძეზეც** გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ. დემეტრაძე საქართველოს ჩემპიონატს... ცამეტწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და ამჟამად აქ მოასპარეზეთაგან, უდავოდ, ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელია. გუნდურ ტიტულებს თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ იმის გახსენებაც კმარა, რომ გიორგი დემეტრაძე სხვადასხვა დროს ერთდროულად სამი ქვეყნის (საქართველო, უკრაინა, რუსეთი) ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იყო!..

## ქარი ქრის...

ზემოთ კლიმატური პირობები ვახსენეთ და ისიც აღვნიშნეთ, რომ სამტრედიასა და ზუგდიდში მატჩები ძლიერი ქარის „თანხლებით" ჩატარდა. განსაკუთრებით „არასაფეხბურთო" ამინდი ზუგდიდში იყო, სადაც მატჩის ერთადერთი გოლი ისეთი გავიდა კურიოზულზე მეტი რომ ჰქვია. სტუმართა ახალგაზრდა ნახევარმცველმა **თორნიკე გორგიაშვილმა** ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც მის დასაუფლებლად კარიდან „ბაიას" მეკარე **გიორგი სომხიშვილი** გამოვიდა; ამ დროს კი, ძლიერმა ქარმა ბურთს მიმართულება შეუცვალა, გამოცდილი მეკარეც დააბნია და სომხიშვილსაც მოგერიების ნაცვლად ბურთი საკუთარ კარში „აეჭრა"! ისე, სტუმრების სამართლიანი აღშფოთებაც უნდა აღვნიშნოთ: ისეთ მოედანს, „ბაია" და „ზესტაფონმა" რომ იასპარეზეს, საფეხბურთოს გარდა ყველანაირი შეიძლება ვუწოდოთ! არადა, „ზესტაფონისთვის" ამ შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: **გია გეგუჩაძის** გუნდს დისკვალიფიკაციის გამო სამი წამყვანი ფეხბურთელი (**თორნიკე აფციაური, ნიკა გელაშვილი, რატი წინამძღვრიშვილი**) აკლდა, თანაც, მეორე ადგილისათვის ბრძოლაში „დინამოც" სერიოზულ კონკურენციას უწევს.

თავის მხრივ, „დინამომაც" მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა (ასევე - სტუმრად, ასევე - ძლიერ ქარში) და ეს იმითაც არის დასაფასებელი, რომ იმავე „ზესტაფონისგან" განსხვავებით **კახა კაჭარავას** გუნდი ერთდროულად ორ „ფრონტზე" იბრძვის. ხოლო ის, რომ „სამტრედიასთან" შეხვედრაში „დინამოს" სერიოზული საკადრო პრობლემები კვლავაც ჰქონდა, უკვე აღარავის უკვირს. ისე კი, ცალკე გვინდა დინამოელთა ახალწვეულ **თენგიზ ჩიკვილაძის** ოსტატურად შესრულებული საჯარიმო დარტყმაც აღვნიშნოთ; თუმცა, მეორე მხრივ, ამ მცველის შედეგიანი თამაში მოულოდნელი არც უნდა იყოს - ჯერ კიდევ წინა სეზონში, „ოლიმპში" ასპარეზობის დროს ჩიკვილაძემ მეტოქეთა კარში ექვსი გოლი გაიტანა!

მედლების კიდევ ერთმა კანდიდატმა „ვიტ ჯორჯიამაც" სტუმრად მოიგო და ამ შემთხვევაშიც სხვაობა მინიმალური იყო; ამ გამარჯვებით **გელა გომელაურის** გუნდმა მცირე კრიზისი დასძლია, სამაგიეროდ „ლოკომოტივის" წარუმატებელი სერია გრძელდება; არადა, გელა სანაიას გუნდმა, შეუძლებელი შეძლო და ჯერ აუტსაიდერობას დააღწია თავი, შემდეგ კი უკვე „გადამრჩენელ" მერვე ადგილსაც მიუახლოვდა. სამწუხაროდ, ამ მშვენიერმა გუნდმა ზედიზედ ოთხი მატჩი წააგო, მაგრამ მდგომარეობას მთლად კრიტიკული არ ეთქმის.

დაბოლოს, ტურის ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ მატჩზეც: ზედიზედ შვიდი წაგების მერე „გაგრამ" წინა ტურში შეძლო ერთი ქულის მოპოვება, მაგრამ ამჯერად კვლავ დამარცხდა. იმ მართლაც არაბუნებრივად სუსხიან ამინდში „ამერის" სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივარმა ორივე გუნდის მონდომებული თამაში იხილა; მართალია, პირველი ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა გოლი გაიტანეს (ყველაფერი **თორნიკე ოქრიაშვილის** ინდივიდუალურმა ოსტატობამ განაპირობა), მაგრამ ეჭვი მაინც არავის ეპარებოდა, რომ ბევრად გამოცდილი სტუმრები თამაშში გარდატეხას შეძლებდნენ. ასეც მოხდა: მეორე ტაიმის დასაწყისში „სიონმა" ორი ეფექტური გოლი გაიტანა და დამსახურებული სამი ქულაც მოიპოვა. ყაზახეთიდან საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებული **ლაშა ჭელიძის** თავური დარტყმაც ლამაზი იყო და ვერცხლისწყალივით მოძრავი **ვლადიმერ უგრეხელიძის** შორეული „გასროლილიც".




ამათ გარდა, „სიონის" შემადგენლობაში ორი გამოცდილი ფეხბურთელის - **რევაზ ქემოკლიძისა** და **ალექსანდრე გოგობერიშვილის** დამაჯერებელი ასპარეზობაც არ უნდა გამოგვრჩეს. საერთოდაც, „სიონს" ისეთი შემადგენლობა ჰყავს, გადარჩენაზე კი არა, ბევრად მაღალ მიზნებზე უნდა იფიქროს. ისე კი, ნურავის გაუკვირდება, **ხვიჩა ქასრაშვილის** გუნდმა („გაგრასთან" ახალი სპორტული ეკიპირებით რომ წარდგა) ხუთეულსაც რომ „დაუმიზნოს". ყოველ შემთხვევაში, ამ გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებს ამის პოტენციალი ნამდვილად აქვთ...

**გია ტუხაშვილი**

ინტერვიუ აქტუალურ თემაზე

# გია გეგუჩაძე: ტაქტიკას მოედნის საფარს ვუსადაგებთ, ეს არ არის ფეხბურთი!

## ზესტაფონის მთავარი მწვრთნელი მიიჩნევს, რომ როცა მკაცრი მოთხოვნა იძნება, მოედანს ყველა ძალაძში მოუვლიან

„ბაია"-"ზესტაფონის" მატჩის წინ მომხდარ ამბებს (სტუმრები „გულია თუთბერიძეზე" თამაშს კატეგორიულად უარობდნენ, მეტისმეტად ცუდი მოედნის გამო) თამაშის შემდეგ გია გეგუჩაძესთან ინტერვიუ მოჰყვა. „ზესტაფონის" მწვრთნელი სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან თემებსაც შეეხო...

## გულის სიღრმეში ყველამ იცოდა, რომ მართალი ვიყავი

- ჩვენ უარს ვამბობდით არა თავად მატჩზე, არამედ კონკრეტულად იმ მოედანზე არ გვსურდა თამაში. ეს იქნებოდა ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების დაცინვა - იქ ხარისხიან ფეხბურთს ვერ ვითამაშებდით, უბრალოდ შეუძლებელი იყო. მარტივად რომ ვთქვა, ეს გაზონი კი არა, უსწორმასწორო ბეტონი იყო! არსებობს ამის კადრებიც და შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ არ ვაჭარბებ. არადა, ზუგდიდში „ბაიას" ბაზაზე ხელოვნურსაფარიანი მოედანია და ორგანიზატორებს თამაშის იქ გადატანა ვთხოვე. სად არ გვითამაშია, საქართველოში მძიმე პირობები ვისლა უკვირს, მაგრამ ასეთი „საოცარი" მოედანი არ მახსენდება.

**- „ბაიას" ბაზაზე მატჩის გადატანა შესაძლებელი იყო?**

- სხვათა შორის, მსაჯებმა, მატჩის დელეგატმა სოსო ფილიამ და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტმა სერგო კვარაცხელიამ აღნიშნეს, რომ ასეთ ცუდ მდგომარეობაში ზუგდიდის მინდორი არასდროს ყოფილა. მატჩამდე ოფიციალურად განვაცხადე, ამ მოედანზე არ ვითამაშებთ-მეთქი. „ბაიას" მთავარ მწვრთნელთან მატჩის ბაზაზე გადატანასთან დაკავშირებით მსურდა დალაპარაკება, შეთანხმების იმედი მქონდა...

**- საბოლოოდ, მატჩის გადატანაზე უარი ვინ თქვა?**

- მითხრეს, ლიცენზირება ჩატარდა და ეს მოედანი მიღებულიაო. საბოლოოდ, ამ საფარს შეფასებად „სამიანი" დაუწერეს. „სამიანი" - სათამაშოდ ვარგის მოედანს ნიშნავს. მე იქაც განვაცხადე, რომ მოედანს ეკუთვნოდა შეფასება - ნული! მერე ის მიზეზიც დაასახელეს, რომ ბილეთები გაყიდულია და ამ ხალხს ბაზაზე ველარ შევუშვებთო. ნახევარი საათის დაგვიანებით მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დავთანხმდით მოედანზე გასვლას, რომ თამაში არ ჩაშლილიყო და მაყურებლისადმი პატივისცემა დაგვედასტურებინა. გვქონდა ასეთი შეთავაზებაც - მზად ვიყავით, მატჩი მეორე დღეს ზესტაფონში გაგვემართა და ზუგდიდელი ქომაგები ავტობუსით უფასოდ ჩამოგვეყვანა. თუმცა აბსოლუტურად ყველა წინააღმდეგი იყო... უფრო სწორად, დუმილი აირჩიეს. გულის სიღრმეში ყველამ იცოდა, რომ მართალი ვიყავი, მაგრამ ვერ გაბედეს და ვერ დამთანხმდნენ. ჩვენ ფეხბურთის თამაში გვინდა, მე ფეხბურთის მწვრთნელი ვარ და არა - ფრენბურთის. მხოლოდ სტანდარტული მდგომარეობებითა და საჯარიმოში ჩაწოდებებით თუ გავიდოდა გოლი და ასეც მოხდა. იქ ბურთის გაგორება და შეუძლებელი იყო.

**- ძლიერი ქარის გამო, სამტრედიაში ორივე გუნდს სურდა მატჩის გადადება, მაგრამ უარი თქვეს. ანუ, ამ შემთხვევაშიც იმავეზეა ლაპარაკი - მატჩი კი ჩატარდა, მაგრამ მსგავს პირობებში ნორმალურ ფეხბურთზე ლაპარაკი წარმოუდგენელი იყო...**

- ამ ორ ვითარებას მაინც ვერ შევადარებ, რადგან ქარს ვერაფერს უშველი, მოედნის შეცვლა კი შესაძლებელი იყო.

» მე-3 გვერდზე

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ტაქტიკას მოედნის საფარს ვუსადაგებთ, ეს არ არის ფეხბურთი!

« მე-2 გვერდიდან

## ასეთ მოედნებზე ჩვენთვის უცხო სათამაშო სტილი გვიყალიბდება

**- სამი-ოთხი წლის წინ მოედნების ხარისხის მკაცრად გაკონტროლება დაიწყეს, მაგრამ ეკონომიკური კრიზისმა ეს პროცესი შეაჩერა...**

- მესმის, მაგრამ დროა, მოვითხოვოთ ის გარემო, რომელიც ფეხბურთის განვითარებისთვისაა საჭირო. ეს არ არის ჩემი ახირება, აქამდეც ბევრ სპეციალისტს უთქვამს. ისე, ძალიან მიკვირს, როცა არჩევანი ცუდ და კარგ საფარს შორის, ცუდის სასარგებლოდ კეთდება. არადა, „ბაია" მშვენიერი გუნდია, ტექნიკური და მოაზროვნე ფეხბურთელები ჰყავს და უხარისხო მოედანი ხელს ჩვენზე ნაკლებად როდი უშლიდათ და უშლით ხელს. დარწმუნებული ვარ, უკეთეს საფარზე ამ გუნდს გაცილებით უკეთესი შედეგის მიღწევა შეუძლია. აქვე ვიტყვი, რომ არ ვეთანხმები მოსაზრებას, თითქოს მინდორი ორივე გუნდისთვის ერთია. ეს აბსურდული ფრაზაა. ძლიერი კლუბი უფრო სუსტს რომ ხვდება, უხარისხო მოედანი უპირველესად ძლიერს უშლის ხელს.



**- ცუდი მოედნის პირობებში გუნდების კლასი გარკვეულწილად თანაბრდება. ასე არ არის?**

- აბსოლუტურად გეთანხმებით. ფეხბურთში პასი არის მოთამაშეთა სასაუბრო ენა და როცა მოედანი ამ „საუბრის" საშუალებას გისპობს, მთელი სათამაშო სქემა ინგრევა. თუ პასი არ კეთდება, ჩაშლა ძალიან ადვილია. ეს არ არის მხოლოდ ზუგდიდში მომხდარის გამოძახილი, უხარისხო მოედნები ქართული ფეხბურთის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა და კარგი იქნება, თუ ამას დროულად მივხედავთ. კითხვები მიჩნდება ლიცენზირების კომიტეტთან - ასეთ მოედნებზე თამაშის უფლებას რატომ იძლევიან?

**- რომ არ მისცენ უფლება, მატჩები მხოლოდ ეროვნულ სტადიონზე, რუსთავსა და ზესტაფონში გაიმართება...**

- როცა მკაცრი მოთხოვნები იქნება, მოედანს ყველა ქალაქში მოუვლიან. იმავე ზუგდიდში მატჩი „ბაიას" ბაზაზე რომ ჩატარდება და მაყურებელს არ დაუშვებენ, მერე უხარისხო საფარის გაკეთებას მაყურებლები თავად აიძულებენ იმას, ვისაც ეს ევალება. ზესტაფონში მოედნის მოვლით, ყოველდღიურად, 15 მუშა და 100-ათას ევროიანი ტექნიკაა დაკავებული. ეს თანხები იმისთვის იხარჯება, რომ ნორმალური სათამაშო პირობები შევქმნათ. თუ გახსოვთ, მეორე წრეში „ოლიმპთან" მატჩის ზესტაფონში გადატანა გვსურდა, რადგან შეხვედრა ბოლნისში უნდა გაგვემართა, იქ კი მოედანი არ ვარგოდა და შემდეგ თამაშს გავუცვლიდით. ჩვენი სურვილია, საქართველოში კარგი სათამაშო პირობები იყოს, ფეხბურთი კი ხარისხიანი მინდვრის გარეშე ისეთივე აბსურდია, როგორც მხატვარი - ტილოს გარეშე! ასეთი საფარზე მეტია ტრავმების რისკი, გაცილებით ხშირია კუნთების დაჭიმვის შემთხვევები და ასე შემდეგ. თამაშის მერე ფეხბურთელებს ფეხები არ უვარგოდათ. რა დასამალია და, შემთხვევით მოვიგეთ... ასეთ მინდვრებზე თამაშით, ჩვენ ევროპულ დონეს ვერასდროს მივაღწევთ. ნიჭიერი ბიჭები კი გვყავს და ნორმალური საწვრთნელი პროცესებიც ტარდება, მაგრამ ვარჯიში თამაშთან მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს. ჩვენს მოედნებზე წინასამატჩო ჩანაფიქრს ვერ განახორციელებთ. „ზესტაფონის" თამაში აწყობილია ლოგიკაზე - როგორ ამოვიტანოთ ბურთი, როგორ გავიაროთ მოედნის ცენტრი და როგორ დავაგვირგვინოთ შეტევა. ამ დროს კი აბსოლუტურად სხვა თამაშს ვუყურებთ.

**- უხარისხო სტადიონზე მართლაც აშკარად ჩანს, რომ მწვრთნელები იძულებულნი არიან, ფეხბურთელები საჯარიმოში ბურთის ჩაკიდებაზე გადააწყონ...**

- დიახ... იცით, რა არის ყველაზე დიდი უბედურება? ეს მოედნები ჩვენთვის უცხო და მიუღებელ სათამაშო სტილს გვიყალიბებს, საუკეთესო თვისებებს ვერ ვავლენთ. მწვრთნელიც არასწორ გზას ირჩევს, რადგან ტაქტიკას არა საკუთარი რესურსებისა და მოწინააღმდეგის მიხედვით, არამედ უმთავრესად, მოედნის გათვალისწინებით ადგენს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა. დღეს გუნდების უმრავლესობა ვარჯიშებზე უფრო „სტანდარტულებს" ამუშავებს, ვიდრე სხვა სათამაშო ელემენტს. აღნიშნავენ, რომ ამ კუთხით პროგრესი გვაქვს - აუტებს შორს ვისვრით, კუთხურიდან ბურთის ჩახვევა შეგვიძლია და ასე შემდეგ. ქართული ფეხბურთის მდგომარეობა მადარდებს და პრობლემა ამიტომ წამოვწიე. ამაზე ჩემამდეც ბევრმა ილაპარაკა, მაგრამ სათანადო ყურადღებას არ ვაქცევთ. არადა, მოედნების პრობლემა ფინანსურზე არანაკლებ მტკივნეულია.

**- ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ზვიად სიჭინავამ ამ პრობლემის მოგვარების სურვილი გამოხატა.**

- ...და იმედია, მოაგვარებს კიდეც. ვითარების შეცვლის სურვილი აშკარად ეტყობა.

**- „ზესტაფონი"-"ოლიმპის" მატჩით თქვენი კლუბი მეტად დაზარალდა - ამ ეტაპზე სამი ლიდერის სამი მატჩით დისკვალიფიკაცია ძალზე დიდი დანაკლისია...**

- დიახ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჩვენ დავაშავეთ. პროვოკაციას არ უნდა ავყოლოდით და წინასწარ შეუძლებელიცაა იმის გათვალისწინება, რა მოხდება. კლუბი და ფეხბურთელები საკმაოდ მკაცრად დაისაჯნენ, თუმცა არც შევკამათებივართ - ბოდიშიც მოვიხადეთ, რადგან სასჯელი სამართლიანი იყო.

## ჩვენთვის შედეგი სისტემის შექმნაა

**- ზესტაფონის სტადიონზე ვითარება „სპარტაკთან" მატჩის დროსაც დაიძაბა, როცა მაყურებლის ნაწილი შეურაცხყოფას გაყენებდათ და ამის გამო ფეხბურთელებმა აღშფოთება გამოხატეს. „ოლიმპთან" მატჩამდე კი, თეატრში ქომაგებთან შეხვედრისას, ზოგიერთმა თქვენი გადაყენებაც მოითხოვა...**

- „ზესტაფონს" ძალიან კარგი და მომთხოვნი გულშემატკივარი ჰყავს, მათ მხოლოდ მოგება სურთ, საშინაო ფრესა და, მით უფრო, წაგებას ყოველთვის მძიმედ იღებენ. თუმცა ჩვენი გზა მხოლოდ პირველი გუნდის წარმატება არ არის. ზესტაფონში ნამდვილი კლუბის შენება დაიწყო, რომლის შედეგადაც „ზესტაფონი" ანგარიშგასაწევი ძალა უნდა გახდეს და არა - მხოლოდ საქართველოში. ლაპარაკია ეგრეთწოდებული კონვეიერული სისტემის აწყობაზე. მოთმენა ყველას არ შეუძლია. წლებია, გუნდში ზესტაფონელ ფეხბურთელს აღარ უთამაშია. ასაკობრივ ჯგუფებსა და დუბლებში ნიჭიერი მოთამაშეები სხვადასხვა რეგიონებიდან მოგვყავს. მათი უმრავლესობა ზესტაფონელია, მაგრამ ყველაფერს დრო სჭირდება, მათ შორის, ბაზის აშენებასაც. ეს ბაზა ასაკობრივ ჯგუფებსაც მოემსახურება. ახლა სასიკეთო პროცესი მიმდინარეობს და წლების შემდეგ ის იმ მოდელზე გადაგვიყვანს, როგორსაც ჩვენნაირ ქვეყნებში უნდა ნერგავდნენ. სელექციის პროცესი ცოტა მძიმედ მიმდინარეობს, რადგან ყველას უცხოეთში გაქცევაზე უჭირავს თვალი. თუმცა ფეხბურთელი ჩვენთან უფრო გაიზრდება, ვიდრე უცხოეთის დაბალ ლიგაში. ავიღოთ კობახიძის მაგალითი - მას ჰქონდა წასვლის შანსი, მაგრამ დარჩა და გულშემატკივარმა კარგადაც მიიღო. ლეგიონერების ჩამოყვანას ასეთი ტალანტების ძიება და აღმოჩენა სჯობია, რადგან საქართველო მაინც მიმწოდებელი ქვეყანაა. ჩვენი ტალანტები კი ჩამოსულებზე ნიჭიერები არიან. მთავარია, გავზარდოთ და უცხოეთში გავუშვათ. ასეთი გზით თვითდაფინანსებაზეც გადავალთ, სისტემასაც ჩამოყალიბებთ და ლეგიონერებს მხოლოდ მაშინ ჩამოვიყვანთ, თუკი სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლაში საკუთარი რესურსები საკმარისი არ იქნება. „ზესტაფონში" ბევრი ისეთი ფეხბურთელია, რომლებითაც ხვალ-ზეგ საკმაოდ სერიოზული უცხოური კლუბები დაინტერესდებიან. დღესაც არის ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ჯერ მათი შემცვლელები უნდა აღვზარდოთ. ეს არ არის უტოპიური იდეა, პატარა ქვეყნებში ასე მუშაობენ და ყველა ქართულმა კლუბმა ამ გზით უნდა იაროს. ჩვენთვის შედეგი - ჩემპიონობა და თასის მოპოვება კი არა, სისტემის აწყობაა. ამ პროცესში კლუბის ხელმძღვანელთა ნდობას ვხედავ, მაგრამ მაყურებელს შედეგი დღესვე სურს და მათიც მესმის. ითქვა ასეთი ფრაზები - ესპანეთ-თურქეთში მოემზადნენ და მერე ამა და ამ გუნდს ვერ უგებენო. მე კი „ზესტაფონის" თამაშის ხარისხში, ფეხბურთელთა აზროვნებასა და მოძრაობაში ვხედავ პროგრესს. საკმაოდ კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობენ... ვერ ვიხსენებ შეხვედრას, დაცვიდან რომ გვეთამაშა. ყველაზე საიმედო დაცვის მქონე მოწინააღმდეგესთანაც კი მომენტებს უხვად ვქმნიდით და ამის დაუნახავობა შეუძლებელია. არ ვიცი, მომენტებს რატომ ვერ ვიყენებთ და აქაც მესმის გულშემატკივრის უკმაყოფილება. თუმცა გუნდი ერთად უნდა ვაშენოთ. უმრავლესობას ეს ესმის.

**- ისე, ბედნიერი ბრძანდებით, რომ ავარჯიშებთ გუნდს, რომელსაც გულშემატკივარი ჰყავს და რაღაცას ითხოვს. ბევრი გუნდი გინდ ყოფილა, გინდ არა, მათი მოგება-წაგება არავინ ადარდებს...**

- საქართველოში ეს მართლაც უდიდესი ბედნიერებაა, თანაც, ჩვენ ძალიან მომთხოვნი და ერთგული გულშემატკივარი გვყავს.

**მერაბ მამულაშვილი**

U 17



# ევროპაზე მხოლოდ სასწაული გაგვიყვანს

ჰოლანდია-საქართველო 2:1

ჩეხ პატრიკ ტვარძიკს მსაჯის მიერ დამატებულ დროში უკრაინის ნაკრების კარში გამარჯვების გოლი რომ არ გაეტანა, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის ყოველგვარ შანსს დავკარგავდით - ჯგუფში პირველ ადგილს ჰოლანდია გაინაღდებდა, საქართველოს ნაკრები კი, რომელსაც საუკეთო მეორეადგილოსნობის შანსიც აღარ დარჩა, ბოლო ტურში უკრაინასთან მხოლოდ პრესტიჟისთვისღა ითამაშებდა.

## შანსი უმცირესია

ჯერ ის განვმარტოთ, თუნდაც უკრაინის ძლევის შემთხვევაში რატომ ვეღარ გავხდებით საუკეთესო მეორეადგილოსანი. ფინალურ ეტაპზე გამსვლელი მე-8 იღბლიანი - ჯგუფის პირველ და მესამე გუნდებთან მიღწეული შედეგებით ირკვევა, ასე რომ, თუ ჩვენს ჯგუფში ბოლო ადგილზე უკრაინა გავიდა, მასთან გამარჯვება არაფერში წაგვადგება. ჰოლანდიასთან 1:2 დავმარცხდით, ჩეხეთს კი 1:0 მოვუგეთ. შესაბამისად, თუ მეორე ადგილზე გავედით, პირველ-მესამეადგილოსნებთან 3 ქულას (ჩეხეთთან გამარჯვებით) მოვუყრით თავს, ბურთების შეფარდება კი 2-2 გვექნება. სამწუხაროდ, მეორეადგილოსნებიდან უკვე გვისწრებს ირლანდია, რომელსაც ასევე 3 ქულა აქვს, ბურთების სხვაობა კი 3-3. აქვე, მეორეადგილოსანთა წარმოსახვითი ცხრილი ასე გამოიყურება:

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ირლანდია | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 2. საქართველო | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. ბელგია | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 4. ხორვატია | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |

ელიტრაუნდის სამ ჯგუფში ტურნირი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს. ჩვენთვის სულ ერთია, მხოლოდ ირლანდია გაგვისწრებს თუ სხვებიც ჩამოგვიტოვებენ.

დაგვრჩა ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების მინიმალური შანსი. საამისოდ კი საჭიროა, ბოლო ტურში ჩეხეთმა ჰოლანდია 1:0 დაამარცხოს (ორბურთიანი გამარჯვება ჩეხეთს ევროპაზე გაიყვანს, ჩვენ კი ამ მატჩში სხვა ანგარიში ხელს არ გვაძლევს), საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა კი უკრაინას მინიმუმ 3:1 ან ნებისმიერი სამბურთიანი სხვაობით მოუგოს.

რატომ? ახლავე აგიხსნით: თუ ჩეხეთმა ჰოლანდიას მოუგო, ჩვენ კი უკრაინას, 3 გუნდი 6-6 ქულას დააგროვებს და ადგილების განსაზღვრისას მნიშვნელობა მიენიჭება ამ სამი გუნდის ურთიერთშეხვედრებში დაგროვილ ქულათა ჯამს. ჩეხეთს, ჰოლანდიასა და საქართველოს ამ შემთხვევაში 3-3 ქულა ექნებათ, რის შემდეგაც მნიშვნელობა ენიჭება ამ სამი გუნდის ბურთების შეფარდებას ერთმანეთთან მატჩებში. სწორედ ამიტომ გვჭირდება ჩეხეთი-ჰოლანდიის 1:0 და საქართველო-უკრაინის 3:1 ან ჩვენების მინიმუმ სამბურთიანი გამარჯვება (2:0 არ გამოგვადგება).

სხვა რაღა დაგვრჩენია და წარმოვიდგინოთ სწორედ ასეთი შემთხვევა. თუ ასე მოხდა, პირველ ადგილზე გავალთ, რადგან ჩვენ და ჰოლანდიას სამთა ურთიერთშეხვედრებში გვექნება 3-3 ქულა, ბურთების სხვაობა კი 2-2-ზე. ჩეხეთს ბურთები 1-1-ზე ექნება და მესამე ადგილზე დარჩება, საქართველოსა და ჰოლანდიას კი უკვე შემდეგ მაჩვენებელს დაუთვლიან, რაც ბურთების მთლიანი შეფარდებაა. ჰოლანდიამ უკრაინას 2:0 მოუგო, ესე იგი, საერთო სხვაობა ექნება 4-2, ჩვენ კი 5-3 და ნარინჯისფერებს მეტი გატანილი ბურთით გავუსწრებთ.

მოკლედ, ასეთია ჩვენი შანსი და ახლა თავად განსაჯეთ, ფინალურ ეტაპზე გასვლის როგორი პერსპექტივა გვაქვს. არადა, ჰოლანდიასთან ქულა რომ აგვეღო, პირველზე თუ ვერ გავიდოდით, დიდი ალბათობით, საუკეთესო მეორეადგილოსნები მაინც გავხდებოდით...

## ჭანტურიას გარეშე...

უდავოა, რომ **გიორგი ჭანტურიას** გარეშე საქართველოს ნაკრებს ძალიან გაუჭირდება უკრაინელთა სასურველი ანგარიშით დამარცხება. მეტოქე სულაც არაა ხელწამოსაკრავი გუნდი და ჩვენთან მატჩში შეეცდება პრესტიჟის გამარჯვების მოპოვებას. ამით უკრაინელები ბოლო ადგილს თავს დააღწევენ და თუ ჩეხეთმა არ წააგო, ცხრილის ფსკერზე ჩვენ გადაგვისვრიან.

შეგახსენებთ, ჭანტურია ჰოლანდიასთან მატჩში გააძევეს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იგი უკრაინელებთან ერთი ყვითელი ბარათის მიღების შემთხვევაშიც კი ვერ ითამაშებდა, რადგან ერთი გაფრთხილება პირველი ეტაპიდან ჰქონდა გადმოყოლილი. არანაკლებ მნიშვნელოვანი დანაკლისია ჩვენი ძირითადი მეკარე **დავით ლეგაშვილი**, რომელიც დღეს ასევე დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს. კარში მის ადგილს **ლევან ტყეშელაშვილი** დაიკავებს.

საქართველოს ნაკრები დღეს უკრაინასთან, სავარაუდოდ, ამ შემადგენლობით ითამაშებს: **ტყეშელაშვილი - ხარაბაძე, გაგნიძე, დოლიძე, ტვილდიანი - ყაზაიშვილი, ხუბუა - კოშაძე, სხირტლაძე, პარუნაშვილი - ხოჭოლავა.**

უკრაინელთა ოპტიმალური შემადგენლობა გამოკვეთილი არაა, რადგან ჰოლანდიასთან განცდილი მარცხის შემდეგ, მეორე ტურში გუნდის თავკაცმა **ალექსანდრ ლისენკომ** სასტარტო თერთმეტეულში რამდენიმე ცვლილება განახორციელა. ზუსტად მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ დისკვალიფიკაციის გამო მეტოქეს **სერგეი ვაკულენკო** და **იური იაკოვენკო** ვერ დაეხმარებიან.

რაც შეეხება ჩეხეთისა და ჰოლანდიის დაპირისპირებას, ნარინჯისფრებს არავინ აკლიათ, მასპინძლებს კი ძირითადი მეკარე **ვლასტიმილ ვესელი** ჰყავთ დისკვალიფიცირებული.

საქართველო-უკრაინა ქალაქ ლანჟოტის „ნა სლაისის" სტადიონზე გაიმართება და მატჩს ბოსნიელი არბიტრი **ელმირ პილავი** განსჯის, ჩეხეთი-ჰოლანდია კი ბრეცლავში ჩატარდება. დღევანდელი შეხვედრები თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

**დღეს**

ჰოლანდია-ჩეხეთი

უკრაინა-საქართველო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. ჩეხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. უკრაინა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 16

# ფრე ამერიკელებთან

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ვაშინგტონის საერთაშორისო ტურნირზე პირველი მატჩი ჩაატარა. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდის მეტოქე ამერიკული „DC იუნაიტედი" იყო. მატჩი ფრედ, 3:3 დასრულდა.

ანგარიში მეტოქემ გახსნა, წონასწორობა კი პირველივე ტაიმში **გურამ სამუშიამ** აღადგინა. შესვენებამდე ამერიკელები კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ და ანგარიში კვლავ სამუშიამ გაათანაბრა. მეორე ტაიმში მოწინააღმდეგე კიდევ ერთხელ გავიდა წინ, მაგრამ ქართველებმა ბოლომდე იბრძოლეს და **გიორგი ფანცულაიას** გოლით ფრეს მიაღწიეს.

საქართველოს ნაკრებმა ამ შეხვედრაში შემდეგი შემადგენლობით ითამაშა: **თებიძე, ჭილვარია, ბინკინაშვილი (სანდუხაძე), როგავა, ქიტიაშვილი (მთივლიშვილი), ცნობილაძე, ჯავახიშვილი, ლ. კვარაცხელია, კაჭარავა (ც. სამუშია), გ. სამუშია, ფანცულაია.**

ქართველთა შემდეგი მეტოქე ინგლისური „ვესტ ჰემი" იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობიდან 20 წელი გავიდა

# 1990 წლის 30 მარტი, ისტორიული მატჩი

... ნეტავ, ის დრო თუ დადგება, საქართველოს ჩემპიონატის მატჩს 70 000 გულშემატკივარი რომ დაესწრება? არადა, ამის პრეცედენტი უკვე იყო: 1990 წლის 30 მარტს, ეროვნულ სტადიონზე დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორია დაიწყო! ფაქტობრივად, ისე მოხდა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას სწორედ ფეხბურთმა შეუწყო ხელი; ოღონდ, აზრთა სხვადასხვაობა მაშინაც იყო: საფეხბურთო საზოგადოების ნაწილს მიაჩნდა, რომ დამოუკიდებლად არსებობის პირობებში ქართული ფეხბურთი უფრო განვითარდებოდა და წარმატებებიც (თან - საერთაშორისო ასპარეზზე) მალე იქნებოდა. თუმცა მეორე ნაწილს მიაჩნდა, რომ საკავშირო ჩემპიონატებზე (უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგა) უარის თქმა იმ ეტაპისათვის ნაადრევი იყო; მით უმეტეს, იმის სერიოზული საშიშროებაც არსებობდა, რომ ფიფა და უეფა არ გვალიარებდნენ და საერთაშორისო იზოლაციაში მოგვაქცევდნენ...

...ადრე თუ გვიან, საბჭოთა კავშირი მაინც უნდა დაშლილიყო და ყველა რესპუბლიკა დამოუკიდებელ ცხოვრებას დაიწყებდა; თუმცა, საქართველოს შემთხვევაში სწორედ... ფეხბურთით დაიწყო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. და აი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელ ყრილობაზე გადაწყდა, რომ ამიერიდან ყველა ქართული გუნდი საკუთარ, ეროვნულ ჩემპიონატში იასპარეზებდა. უმაღლესი ლიგა სპორტული პრინციპით დაკომპლექტდა: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს, პირველ და მეორე ლიგის გუნდებს საქართველოს პირველობის საუკეთესო კოლექტივებიც დაემატნენ და 18 გუნდს ორწრიან გადათამაშებაში საქართველოს პირველი ჩემპიონი უნდა გამოევლინა. სიახლე იყო ისიც, რომ გამარჯვებაზე გუნდები ორის ნაცვლად სამ ქულას მიიღებდნენ; ამასთან, ჩემპიონატის დაწყების წინ ბევრ გუნდს შეეცვალა სახელი: თბილისის „დინამოს“ „იბერია“ ეწოდა, რუსთავის „მეტალურგს“ - „გორდა“, ზუგდიდის „დინამოს“ - „ოდიში“, სამტრედიის „ლოკომოტივს“ - „სანავარდო“, ბათუმის „დინამოს“ - „ბათუმი“, ქუთაისის „ტორპედოს“ - „ქუთაისი“, სოხუმის „დინამოს“ - „ცხუმი“. სხვათა შორის, ასეთი მასშტაბური ჩემპიონატი, თუ არ ვცდებით, შემდეგში არც გვქონია: უმაღლესი ჯგუფის გარდა 20 გუნდი ასპარეზობდა პირველ ჯგუფში, ხოლო მეორე ჯგუფი სამ ზონად (აღმოსავლეთი, ცენტრალური, დასავლეთი) დაიყო და აქ უკვე 61 გუნდი მონაწილეობდა. ფაქტობრივად, საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა თუ რაიონულ ცენტრს თავისი გუნდი ჰყავდა!

...ჩემპიონატის პირველი ტური მარტის ბოლო რიცხვებში უნდა ჩატარებულიყო; თუმცა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალდაარსებულმა ხელმძღვანელობამ, ვფიქრობთ, გონივრული გადაწყვეტილება მიიღო: ტურის რვა შეხვედრა 31 მარტს უნდა ჩატარებულიყო, ერთი დღით ადრე კი ჩემპიონატის საზეიმო გახსნის პატივი თბილისის „იბერიას“ და ფოთის „კოლხეთს“ უნდა რგებოდათ. ახლა კი, ალბათ, დროა, 1990 წლის 30 მარტის იმ დაუვიწყარი შეხვედრის უშუალო მონაწილეებს მოვუსმინოთ.



1990 წლის 30 მარტი. პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნის ცერემონია ეროვნულ სტადიონზე

### ჯონი ჯანელიძე,

*ფოთის კოლხეთის ყოფილი მთავარი მწვრთნელი:*

„1989 წელს საკავშირო მეორე ლიგაში რომ ვასპარეზობდით, ფოთის „კოლხეთი“ მეორე ადგილზე გავიდა და მხოლოდ სოხუმის „დინამოს“ ჩამოვრჩით. თუმცა, რანგით ამაღლების შანსი კიდევ გვქონდა - I და II ლიგა ერთიანდებოდა და ბუფერული ზონა იქმნებოდა, სადაც ჩვენს გუნდსაც უნდა ესასპარეზა. 1990 წლის თებერვალში კი გადაწყდა, რომ ამიერიდან საქართველოს დამოუკიდებელ ჩემპიონატში უნდა გვეთამაშა. სხვების არ ვიცი, მაგრამ ჩვენთან ამ გადაწყვეტილებას უარყოფითი ემოციები არ მოჰყოლია; პირიქით - ყველას განსაკუთრებული მოტივაცია გვქონდა, რომ პირველ ეროვნულ ჩემპიონატში ღირსეულად გვეასპარეზა. თუ არ ვცდები, მარტის პირველი რიცხვები იყო, **ნოდარ ახალკაცმა** და **დავით კვინიკაძემ** ფეხბურთის ფედერაციაში რომ დამიბარეს და მითხრეს: კალენდარი მზადების პროცესშია, მაგრამ ჩვენი დიდი სურვილია, რომ გახსნის მატჩში ერთმანეთს თბილისის „იბერია“ და ფოთის „კოლხეთი“ შეხვდნენო. რა თქმა უნდა, შესაბამისი არგუმენტიც ჰქონდათ: „იბერია“, ანუ სახელგადარქმეული „დინამო“, ქართული ფეხბურთის ფლაგმანია, ფოთი კი სულაც ქართული ფეხბურთის სამშობლოდ მიიჩნევაო...

...30 მარტის შეხვედრისათვის ჩვეულებრივად ვემზადებოდით; მაშინ ჩვენ გუნდს ფოთის პორტი აფინანსებდა, ამას გარდა, ყოველთვის გვერდში გვედგა ქალაქის ხელმძღვანელობა **პეტრე ბერაიას** თავკაცობით. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ გუნდის ძირითადი შემადგენლობა მთლიანად შევინარჩუნეთ; თუმცა, მაინც მაინტერესებდა, რამდენით ჩამოვრჩებოდით თბილისის „დინამოს“ და ჩემპიონატის გახსნამდე ორი კვირით ადრე **დათო ყიფიანს** ვთხოვე, ჩვენმა გუნდებმა ერთმანეთში ამხანაგური მატჩი ჩაატარონ-მეთქი. ცხონებულ დათოს უარი არ უთქვამს, მატჩი შედგა და პირველი ტაიმიც თანაბრად ვეთამაშეთ (0:0 დასრულდა); აი, შესვენების შემდეგ კი ნახევარი გუნდი გამოვცვალე და... მეტოქემაც ოთხი უპასუხო გოლი გაგვიტანა. მოკლედ, მომავალი მოწინააღმდეგე კარგადაც „დავზვერე“ და უკვე ვიცოდი, რა დამეპირისპირებინა 30 მარტის შეხვედრაში.

თბილისში მატჩის წინადღეს ჩამოვედით და „დინამოს“ სტადიონზე ვივარჯიშეთ; კი, მეორე ლიგაში ასპარეზობის დიდი გამოცდილება გვქონდა, მაგრამ მაინც იყო ისეთი ფაქტორები, ბიჭებზე დამთრგუნველად რომ ემოქმედა - ამხელა სტადიონი, განათებული პროჟექტორები, თან, ვიცოდით, რომ თამაშის დღეს ანშლაგი იყო მოსალოდნელი. ასეთ დროს ფეხბურთელებს განსაკუთრებული მოტივირება არც სჭირდებათ; ერთადერთი ის ვუთხარი ბიჭებს, რომ საბოლოო შედეგს კი არ ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ იმას, თუ რამდენად ღირსეულად ითამაშებდნენ.

...მატჩმაც „გამოაჩინა“, რომ მეტოქეს არაფერში დავუჩაგრივართ; თანაც, რატომღაც ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ის შეხვედრა არ უნდა წამეგო. მხოლოდ იმას ვნატრობდი, სწრაფი გოლი არ გაგვეშვა, მერე კი საკუთარ შანსს დაველოდებოდით და ასეც მოხდა. სხვათა შორის, ჩვენი გამარჯვება იმ პირველ მატჩში ბევრმა მეტისმეტად ხმაურიან სენსაციად მონათლა. არადა, რატომ ავიწყდებოდათ, რომ „კოლხეთიც“ წლების განმავლობაში საკავშირო პირველობაზე ასპარეზობდა. საერთოდაც: საქართველოს პირველი სამი ჩემპიონატი გამორჩეული იმითაც იყო, რომ ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას საკავშირო პირველობის „სკოლა“ ჰქონდა გავლილი.

...1969 წლიდან დავიწყე მწვრთნელობა - ახალგაზრდა საფეხბურთო სკოლაში ვლადიმერ ელოშვილთან; ამის შემდეგ „ავაზაში“ ვიყავი, 8 წელი ფოთის „კოლხეთს“ ვწვრთნიდი, ზესტაფონშიც მიმუშავია და ზუგდიდშიც, თბილისშიც და თელავშიც, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებთან ერთად საკავშირო ასპარეზზე ორჯერ გავიმარჯვე („იმედის თასზე“ და „სიჭაბუკის თასზე“), საქართველოს მოყვარულთა ნაკრებსაც ვავარჯიშებდი, მაგრამ ჩემი 40-წლიანი სამწვრთნელო კარიერის კულმინაცია მაინც 1990 წლის 3 მარტის იმ ისტორიულ შეხვედრაში გამარჯვებაა“...

### კახა კაჭარავა,

*თბილისის იბერიის ყოფილი ფეხბურთელი:*

...“დინამოსთან“ ერთად ლესელიძეში შეკრებაზე ვიყავი და ახალი სეზონისათვის ვემზადებოდით. მით უმეტეს, რომ საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე უპრინციპულესი მატჩი გველოდა საბჭოთა კავშირის თასზე კიევის „დინამოსთან“. ეს შეხვედრა ოთხ მარტს იყო დანიშნული და თუ არ ვცდები, ერთი თვით ადრე შევიტყვეთ, რომ ქართული გუნდები საკავშირო სარბიელზე მონაწილეობას აღარ მიიღებდნენ. არ დავმალავთ: პირველ დღეებში გაორებული გრძნობა მქონდა; ერთი მხრივ, საამაყო უნდა ყოფილიყო, როცა საკუთარი ნაკრები გეყოლებოდა და საკუთარ ჰიმნს დაუკრავდნენ, მაგრამ, მეორე მხრივ, „დინამოს“ ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას მაშინვე გაგვიჩნდა ერთადერთი კითხვა: რამდენად ვიყავით მზად დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩასატარებლად? სამწუხაროდ, მაშინ ხმამაღლა ამას ვერავინ ვიტყოდით - იმწუთას „ერის მოღალატეს“ დაგვარქმევდნენ; არადა, მოდი, გულახდილად ვისაუბროთ: გვქონდა კი საკმარისი ინფრასტრუქტურა, ქართულ ფეხბურთს დამოუკიდებლად რომ ეარსება? კიდევ ვიმეორებ: ფეხბურთელისათვის უდიდესი ბედნიერება და პატივია, როდესაც საკუთარი ქვეყნის ნაკრებში ასპარეზობს; მაგრამ, მაშინაც მიმაჩნდა და დღესაც ამ აზრზე დავრჩი, რომ ცოტა ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო. გაიხსენეთ: პირველ, მეორე და მესამე ჩემპიონატში ჩვენი ჩემპიონატის დონე საკმაოდ მაღალი იყო; ოღონდ, ყველაფერი ეს ინერციით ხდებოდა: „იბერიას“, „გურიას“, „ქუთაისის“, „ბათუმის“, „კოლხეთის“ „ცხუმისა“ და „გორდას“ შემადგენლობაში ხომ ისეთი ფეხბურთელები თამაშობდნენ, რომლებსაც საკავშირო უმაღლეს და პირველ ლიგაში ასპარეზობის გამოცდილება ჰქონდათ.

...ფსიქოლოგიური მომენტიც არ უნდა დაგვავიწყდეს; 1989 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ყველაზე ახალგაზრდული გუნდი თბილისის „იბერია“ იყო - ერთი-ორი ფეხბურთელის გარდა, ძირითად შემადგენლობაში 20-21 წლის ბიჭები თამაშობდნენ. მართალია, იმ სეზონში არცთუ სახარბიელო შედეგი ვუჩვენეთ, მაგრამ საკავშირო პრესაც არ უარყოფდა, რომ უახლოეს მომავალში ახალგაზრდულ „იბერიას“ ბევრი წარმატება ექნებოდა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, ნებისმიერ ასაკობრივ ნაკრებში ერთდროულად რამდენიმე იბერიელი რომ თამაშობდა; ოთხი-ხუთი ჩვენი მოთამაშე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ძირითადი წევრი იყო, ხოლო **გელა კეტაშვილი** სულაც პირველი ნაკრებისა! აი, გელაზე ცალკე მინდა ვთქვა: იმ „იბერიას“ ერთ-ერთი ყველაზე ნათელი წერტილი იყო; გადმოცემით კი არა, თვითონ ვარ მოწმე, კიევის „დინამო“ რა ზღაპრულ პირობებს სთავაზობდა. გელამ კი წასვლაზე უარი თქვა - ჩემს ნაბიჯს ღალატად შეაფასებენო... არადა, საქართველოს პირველი ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში სწორედ მას შეემთხვა ის კურიოზული ავტოგოლი, რის გამოც, ფაქტობრივად მისი შთამბეჭდავი კარიერა დასრულდა. რა თქმა უნდა, „ავტოგოლიც“ ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ გელას შემთხვევაში მაინც მეტისმეტად მტკივნეული აღმოჩნდა - ამ უნიჭიერეს ფეხბურთელზე დამთრგუნველად იმოქმედა...

...როგორ ფიქრობთ, „იბერიას“ სხვა ფეხბურთელებს არ ჰქონდათ მიწვევები? **თემურ ქეცბაიას, გია გურულს, ზაურ ხაპოვს, კახა ცხადაძეს, ომარ თეთრაძეს, სოსო ჭედიას** და სხვებსაც არაერთი მთხოვნელი ჰყავდათ, მაგრამ იმ პერიოდში ამას „გაიფიქრებდი“ და... მოღალატედ გამოგაცხადებდნენ! რა დასამალია, მეც მქონდა მიწვევა - დნეპროპეტროვსკის „დნეპრიდან“, მაგრამ...

...თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, „სხვანაირი“ ინტერესიც გვქონდა; მაგალითად, ადრე თუ ნებისმიერი ქართველი ფეხბურთელის ოცნება თბილისის „დინამოში“ მოხვედრა იყო, ახლა უკვე ახალი „ორიენტირიც“ გაჩნდა - საქართველოს ეროვნული ნაკრები. სამწუხაროდ, ფიფა-უეფამ თავდაპირველად საერთაშორისო იზოლაციაში მოგვაქცია და ამან ჩვენს ფეხბურთს სერიოზული ზიანიც მიაყენა. არც ის არის დასამალი, რომ ჩვენ გვეგონა, რომ საქართველოს ჩემპიონატში „ნახევარი ძალითაც“ შევძლებდით თამაშების მოგებას. აი პირველი მატჩის გახსენება მთხოვეთ და ჩვენი მარცხის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი არასათანადო კონცენტრაციაც იყო. ჰო, ძნელი იყო თავდაპირველად ისეთივე განწყობით თამაში, როგორითაც რუსეთისა თუ უკრაინის გუნდებს ვეპაექრებოდით. მეტოქის შეუფასებლობამაც გარკვეული როლი შეასრულა და საერთო ჯამში, ფოთის „კოლხეთთან“ პირველ მატჩში დამარცხება, ალბათ, ლოგიკურიც იყო. ალბათ, გეხსომებათ, რომ პირველ ჩემპიონატში ვერც მომდევნო მატჩი მოვიგეთ - რუსთავში ფრედ ვითამაშეთ „გორდასთან“. ამ ორ შეხვედრაში მოპოვებულმა ერთმა ქულამ კი ჩვენს თავმოყვარეობაზე იმოქმედა: ფეხბურთელები შევიკრიბეთ და ვთქვით, რომ უკვე დროა, ყველას დავანახვოთ, რა შეგვიძლია-მეთქი. ჰოდა, ამის შემდეგ სეზონის ბოლომდე, თუ არ ვცდები, მხოლოდ ერთი მატჩი წავაგეთ (ბათუმში); ის კი არა, რამდენჯერ ყოფილა, როცა მეტოქეს უთხოვია - ოთხ ბურთზე მეტი სხვაობით არ მოგვიგოთო...

...და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების იდეა მაინც უდიდეს მოვლენად უნდა მივიჩნიოთ!"



კახა კაჭარავა

**გია ტუხაშვილი**

ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობიდან 20 წელი გავიდა

### შეხვედრის მონაწილეები იხსენებენ...

# თამაშის წინ გვეუბნებოდნენ, 5:0 ან 6:0-ს წააგებთო!



მამუკა გვასალია (მარცხნივ) და დავით მახარაძე

მამუკა გვასალია, აშოტ კურგენიანი, რობერტ ქაჯაია, გია გიორგაძე, გია გიგატაძე, მერაბ შამათავა, ზურაბ თოფურია, დავით მახარაძე, ივანე ჯულელი, ნუგზარ თვარაძე, ოდისის ავრამიდისი, ოთარ თიბილაშვილი, ზაზა ინიაშევი, მამუკა ბაჯალაძე - ამ ბიჭებმა ზუსტად 20 წლის წინ, „ბორის პაიჭაძეზე“ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა და ქვეყნის ფლაგმან „იბერიას“ („დინამო“ მაშინ ამ სახელით გამოდიოდა) 1:0 მოუგეს. მეჩვიდმეტე წუთზე, კოლხთა ფორვარდის, დავით მახარაძის მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული ერთადერთმა ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გელა კეტაშვილმა საკუთარ კარში ჩაჭრა. ფოთის „კოლხეთმა“ ანგარიშის შენარჩუნება შეძლო და ეს მატჩის უდავოდ საუკეთესო მოთამაშის - მეკარე მამუკა გვასალიას დამსახურება გახლდათ, ვინც არაერთხელ გადაარჩინა თავისიანები.

რა ხდებოდა 20 წლის წინ კოლხთა ბანაკში, ამის შესახებ „ლელოს“ სწორედ საგოლე პასის ავტორი და მატჩის საუკეთესო მობურთალი - დავით მახარაძე და მამუკა გვასალია უყვებიან.

## დავით მახარაძე:

## ჯულელი ამბობს, კეტაშვილს რომ არ გაეტანა, მე შევაგდებდიო

**- დავით, სანამ პირველ მატჩს გავიხსენებთ, ის მითხარი, წინა სეზონში სად თამაშობდი?**

- ქუთაისის „ტორპედოში“ ვიყავი, პირველ ლიგაში ვასპარეზობდით, როცა გადაწყდა ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება. მეტიც, იმ დროს შეკრებაზე ვიყავით ლესელიძეში.

**- მაშინ რატომ აღმოჩნდი „კოლხეთში“, „ტორპედომ“ გაგიშვა?**

- არა, იცით, როგორ იყო? რადგან გადაწყდა ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება, ყველა ფეხბურთელი, უმეტესობა მაინც მშობლიურ ქალაქებში აღმოვჩნდით.

**- უცებ, სახელდახელოდ შექმნილმა გუნდმა ქართული ფეხბურთის ფლაგმანი როგორ დაამარცხა?**

- ახალშექმნილი კი ვიყავით, მაგრამ შეკრების გავლაც მოვასწარით - ეშერაში ვემზადებოდით. კარგი გუნდი გვყავდა.

**- ეს გამოჩნდა კიდეც - არ მითხრა, თბილისში მოსაგებად ჩავედითო?**

- არა, განსაკუთრებული იმედები არ გვქონდია. მაინც პირველ გუნდს ვეთამაშებოდით. მოგება ბიჭების თავდადებისა და უპირველესად კი მთავარი მწვრთნელის, ჯონი ჯანელიძის დამსახურებაა - ფსიქოლოგიურადაც კარგად მოგვამზადა. პრინციპში, ამ მხრივ უპირატესობაც გვქონდა, ჩვენგან წაგება მოულოდნელობა არ იქნებოდა, „დინამო“ კი ამ მხრივ წნეხის ქვეშ იყო. სიმართლე გითხრათ, ჩვენი მიზანი იყო, დიდი ანგარიშით არ წაგვეგო, თუმცა მოგება მოვახერხეთ.

**- მატჩის წინ რა ხდებოდა?**

- განსაკუთრებული არაფერი, არც რაიმე განსაკუთრები მზადება კონკრეტულად ამ თამაშისთვის. როგორც არმოჩნდა, მწვრთნელის არჩევანმა მთლიანად გაამართლა. სხვათა შორის, თამაშზე თვითმფრინავით ჩავფრინდით, უფრო ზუსტად, წინა დღეებში ჩავედით და სასტუმრო „აჭარაში“ დავბანაკდით. ბატონმა ჯონიმ გვითხრა, მიდით, გაისეირნეთ, თამაშზე არც იფიქროთო. აქვე ერთ საინტერესო ფაქტს გეტყვი - ორი კვირით ადრე, „იბერიას“ ამხანაგურად გავეჯიბრეთ და უშანსოდ წავაგეთ, თუმცა პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა. მეორე ნახევარში მწვრთნელმა ძირითადის მოთამაშეები შეცვალა. როგორც გამოჩნდა, ესეც ერთგვარი სამწვრთნელო ხრიკი აღმოჩნდა, რამაც 30 მარტს ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი.

**- მატჩის ერთადერთი გოლის „საგოლე გადაცემა“ შენ გააკეთე, მოდი, დეტალურად გაიხსენე ეს ეპიზოდი.**

- მეჩვიდმეტე წუთი მიმდინარეობდა, ნუგზარ თვარაძემ „კოჭოს“, ანუ გია გიორგაძეს მიაწოდა ბურთი, ამ უკანასკნელმა ფლანგზე შემიყოლა, მეც მარჯვენა ფრთიდან ჩავაწოდე და „იბერიის“ მცველმა, გელა კეტაშვილმა თავითბურთის გადაგდება სცადა, მაგრამ საკუთარ კარში ჩაჭრა გამოუვიდა.

**- რა მოხდებოდა, კეტაშვილს საერთოდ რომ გაეტარებინა ბურთი, თქვენგან ვინმე ხიფათს ქმნიდა?**

- კი, მე ჩავუწოდე კიდევ ერთ ჩვენს ფორვარდს, ივანე ჯულელს. სხვათა შორის, ვანო მაშინაც ამბობდა და დღესაც ამტკიცებს, კეტაშვილს რომ გაეტარებინა, უეჭველად გამქონდაო. პრინციპში, 100%-იანი სიზუსტით ვერავინ იტყვის რა მოხდებოდა.

**- წინ 73 წუთი იყო, არ გაგიჭირდათ ანგარიშის შენარჩუნება?**

- როგორ არ გაგვიჭირდა, თან ამდენი მაყურებლის წინაშე პირველად ვთამაშობდით, მეტოქეს კი ამის პრობლემა არ ჰქონია. „იბერიას“ არაერთი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ჩვენმა მეკარემ, მამუკა გვასალიამ საუცხოოდ ჩაატარა შეხვედრა და უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენს გამარჯვებაში. ასევე დიდებულად ითამაშა ჩვენმა კაპიტანმა რობერტ ქაჯაიამ. ჩვენს გუნდში იყვნენ ოდისეი ავრამიდისი და ასოტ კურგენიანი, დღეს ისინი საბერძნეთში ცხოვრობენ. ჩვენ შეხვედრაში მეტი რეალური მომენტი არც გვქონია, ერთადერთხელ მამუკა ბაჯალაძეს ჰქონდა შანსი, რასაც უფრო ნახევარმომენტს თუ დავარქმევთ. სხვათა შორის, „კოლხეთი“ „დინამოსთვის“ შემდგომშიც უხერხულ მეტოქედ იქცა. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და პირველი მატჩის მონაწილეთაგან ის ადამიანები გავიხსენოთ, ვინც ამქვეყნად აღარ არიან - ჩვენი გუნდის უფროსი ჯელი კუჭუხიძე, ადმინისტრატორი იური გობრონიძე, „იბერიის“ მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი და ექიმი ზაქარია თელია. უფალმა ნათელში ამყოფოს.

**- როგორ აღნიშნეთ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველი გამარჯვება?**

- განსაკუთრებული არაფერი ყოფილა - მოთამაშეები გაგვათავისუფლეს და რამდენიმე დღის შემდეგ როცა შევიკრიბეთ და ფოთისკენ გავემართეთ, ჩვენი კლუბის ავტობუსს გზაზე ტაშით ხვდებოდნენ, ზოგმა ავტობუსში შამპანურებიც შემოგვიდგა. ფოთში ჩასულებმა ქალაქის ცენტრს რამდენიმე წრე დავარტყით, თუმცა განსაკუთრებულად არ დაგვხვედრიან ქომაგები. შესაძლოა, იმიტომ, რომ რამდენიმე დღე იყო გასული. თბილისში მოგებას სამი მოგება და ერთი ფრე მოვაყოლეთ და თან ყველა მატჩი სტუმრად ჩავატარეთ, რადგან სტადიონზე სამუშაოები მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, გახსნითი მატჩი „ფაზისზე“ რუსთავის „გორდასთან“ წავაგეთ.

**- დათო, პირველი მოგება გამორჩეული პრემიითაც არ დაუჯილდოებიათ?**

- კი, ჩვეულებრივ გასვლაზე მოგებაზე 600 მანეთი იყო პრემია, თბილისში „იბერიასთან“ მოგების გამო ათას-ათასი მანეთი მოგვცეს.

## მამუკა გვასალია:

## თამაშის წინა ღამეს არც ერთ ფეხბურთელს არ დაუძინია!

**- მამუკა, როგორ გაიხსენებდით 1990 წლის 30 მარტის შეხვედრას?**

- ალბათ, ჩემს საფეხბურთო კარიერაში ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა, თუ მთლად საუკეთესო არა, მისი ისტორიული მნიშვნელობის გათვალისწინებით. მანამდე სსრკ-ის მეორე ლიგაში ვთამაშობდი 7 წელი და ის დღე მართლაც გამორჩეული იყო ჩემს ცხოვრებაში. თამაშიც პრინციპში საუკეთესო იყო, მიუხედავად იმისა, რომ სხვა დასამახსოვრებელი შეხვედრებიც მქონია. თუმცა იმ თამაშში მარტო რას გავხდებოდი, მთელმა გუნდმა ჩინებულად ითამაშა.

**- თუმცა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ თქვენ დაგასახელეს...**

- დამასახელეს, თუმცა გუნდმა მოიგო!

**- რაიმე პრიზი გადმოგცეს?**

- ერთდროულად 2 პრიზი - მოედანზე ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი და 100 დოლარი გადმომცეს, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელისა კი - 1000 მანეთი.

**- გულწრფელად მითხარით, ფიქრობდით, რომ კარის მშრალად შენახვას მოახერხებდით?**

- არა, რა თქმა უნდა! ეშერაში ვიყავით შეკრებაზე, როცა ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება გადაწყდა. გახსნის თამაში რომ გაცხადდა, ყველა გვეუბნებოდა, რომ 5:0 ან 6:0-ს წავაგებდით. არ გამართლდა ეს პროგნოზი, „იბერია“ ფსიქოლოგიურად მზად არ აღმოჩნდა, რადგან ეგონა რომ სსრკ-ის პირველობის მეორელიგელს იოლად მოუგებდა. ჩვენ კი ერთ გუნდად ვიყავით შეკრული, სასტუმრო „აჭარაში“ ყველა ერთ ოთახში გახლდით, მთელი ღამე არავის დასძინებია, ყველა თამაშზე ვფიქრობდით!

**თომა ჩალაძე**

*P.S. "ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის" პრეზიდენტ ზურაბ პეტრიაშვილის ინიციატივით, დღეს 20 წლის წინანდელი მატჩი განმეორდება.*

*„30 მარტს, ფოთის ცენტრალურ სტადიონზე „ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა“ ეროვნული ჩემპიონატის გახსნის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას აწყობს - ერთმანეთს მაშინდელი მოწინააღმდეგეები, „კოლხეთი“ და „დინამო“ შეხვდებიან. ორივე გუნდთან უპრობლემოდ მოვილაპარაკეთ, რისთვისაც მათ ხელმძღვანელობას უდიდეს მადლობას ვუხდი. გვერდში დაგვიდგა ფოთის პორტი და მერია. და რაც მთავარია, გუნდები ძირითადი შემადგენლობებით ითამაშებენ“, - გვითხრა პეტრიაშვილმა.*

საიუბილეო თარილის თემას ხვალინდელ ნომერში გავაგრძელებთ

**რა ხდება?**

# სიჭინავა სკანდალებისგან დაიღალა

## თამაზ ბოკერია: ჩემი მეგობრების წინააღმდეგ წავიდოდი?!

რადიო „პალიტრაში“ **დიმიტრი ობოლაძის** პირველივე საავტორო გადაცემას სკანდალური გაგრძელება მოჰყვა. ქვემო ქართლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **დავით კირკიტაძემ** პირდაპირ ეთერში ბრძანა - 3 მარტს გამართული საქართველო-ესტონეთის ამხანაგური მატჩის დაწყებამდე მავანი ქართველი საფეხბურთო მოხელე, რომელიც ამჟამადაც საქმიანობს ფეხბურთში, მოლდოველი არბიტრების მოსყიდვას ცდილობდა, რათა საქართველოს წინააღმდეგ ემსაჯათ და **თემურ ქეცბაიასთვის** დებიუტი ჩაემწარებინა.

ორშაბათს კი dronі.ge-ში ქვეყნდება სტატია - „სკანდალი, რომელიც ქართველ ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს შეძრავს...“ - რომლის ავტორი ამტკიცებს, რომ „მავანი ქართველი საფეხბურთო მოხელე“ საქართველოს ნაკრების გუნდების ყოფილი მენეჯერი **თამაზ ბოკერიაა**.

*„ერთ-ერთი ფეხბურთელი (გასაგები მიზეზების გამო მის სახელსა და გვარს არ ვასახელებთ) გვიყვება, რომ საქართველო-ესტონეთის თამაშის დაწყებამდე ბოკერია მსაჯებთან მოთხოვნით მისულა, რომ თამაში საქართველოს დამარცხებით უნდა დამთავრებულიყო... ქართველებმა ესტონელებს 2:1 მოუგეს. როგორც თვითმხილველები გვიყვებიან, ზუსტად ეს გამხდარა თამაზ ბოკერიას აღშფოთების მიზეზი. ერთ-ერთი ფეხბურთელი გვიყვება, რომ თამაშის დამთავრების შემდეგ ბოკერია მსაჯებთან მისულა და უცენზურო სიტყვებით მიუმართავს, ანუ, როგორც იტყვიან, გვარიანად „უგინებია“. ბოკერიას მხრიდან მსაჯების ლანძღვის მიზეზი იყო ის, რომ საქართველოს ნაკრებმა მოიგო, მსაჯებმა კი მისი დამარცხებისთვის ბევრი ვერაფერი მოიმოქმედეს... როგორც გვიყვებიან, ბატონი თამაზის დაწყნარება ძალიან რთული გამხდარა.*



თამაზ ბოკერია



ზვიად სიჭინავა

*P.S: dronі.ge-ს ინფორმაციით, ბოკერიასა და მსაჯების შეხვედრა 3 მარტს, „ქორთიარდ მარიოტში“ შედგა. თუ ამ ფაქტით გამოძიება დაინტერესდა, იმედია გამოძიებას, „მარიოტის“ ადმინისტრაციისგან 3 მარტის ვიდეო-ჩანაწერის ამოღება არ გაუჭირდება“, - წერს ჟურნალისტი.*

ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში მოლდოველმა არბიტრმა **ვიაჩესლავ ბანარმა** ინფორმაცია უარყო - თქვენს პრობლემებში მე ნუ გამხვევთო. **ზვიად სიჭინავა** მასთან და ბოკერიასთან დალაპარაკებას აპირებს. კომენტარისთვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს დავუკავშირდით:

- სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა, რომ ეს ყველაფერი იყოს ტყუილი. ჯერ მხოლოდ ჭორები ისმის და იმედია, ჭორის დონეზევე დარჩება... ფედერაციის გარშემო უკვე იმდენი სკანდალია, ძალიან დავიღალე. ყოველდღე რაღაც უბედურება და ცუდი ისმის.

**- ამ ამბავთან ფედერაცია ხომ არაფერ შუაშია?**

- რაც საქართველოში ფეხსა და ბურთს ეხება, ის მაინც ფედერაციას, ჩვენი ფეხბურთის სახელს უკავშირდება და ესაა ყველაზე საწყენი.

**- დავით კირკიტაძის განცხადებამდე ამ ინფორმაციას ფლობდით?**

- მატჩის მეორე დღეს მითხრეს და ხუმრობა მეგონა, ყურადღება არ მივაქციე. გულწრფელად ვამბობ - ძალიან მინდა, რომ ეს ყველაფერი ტყუილი გამოდგეს. არ მინდა, დავიჯერო, რომ ადამიანს ასეთი ღალატი შეუძლია. იქნებ, ტყუილია...

დავუკავშირდით თამაზ ბოკერიასაც:

**- დაიწერა, თითქოს, თქვენი და და მსაჯების შეხვედრა 3 მარტს, „ქორთიარდ მარიოტში“ შედგა.**

- 3 მარტს? იმ დღეს დილით კარგი ამინდი იყო და ბავშვებთან ერთად ჯერ სახლში ვიყავი, ხოლო შემდეგ ვასეირნებდი. ეს კარგად მახსოვს. საღამოს კი თამაშზე ვიყავი და განვიმდა...

**- როგორ ფიქრობთ, მაინც და მაინც თქვენზე რატომ იყო ბრალდება?**

- გეტყვით, რომ ზოგადად ყველა თანამდებობა ჩემთვის მეორეხარისხოვანია. მე ვარ ქართველი და ოჯახში თავიდანვე ამ შეგნებით მზრდიდნენ. ჩემთვისაც გაუგებარია, საიდან წამოვიდა ეს ცილისწამება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ადამიანების ლაფში ამოსვრა და შეურაცხყოფა ჭორების საფუძველზე. 4 წელი ვიყავი ნაკრები გუნდების მენეჯერი, ესტონეთთან ჩემი მეგობრები თამაშობდნენ და მათ წინააღმდეგ როგორ უნდა წავსულიყავი?!

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონი

# ასათიანმა აღიარა... ანანიძის სპარტაკი მოგებას იმსახურებდაო



კვირას „ლუჟნიკიზე" გამართული მოსკოვურ დერბიში ქართველთა პაექრობა შედგა. ეროვნული ნაკრების მცველი **მალხაზ ასათიანი** სტუმართა სასტარტო შემადგენლობაში იყო და მინდორზე 90 წუთი გაატარა. რაც შეეხება სპარტაკელ **ჯანო ანანიძეს,** ის ძირითადში არ ყოფილა, თუმცა 74-ე წუთზე **იბსონის** ნაცვლად ჩაერთო თამაშში. აღსანიშნავია ისიც, რომ ასათიანმა, 70-ე წუთზე მოედნიდან **დიმიტრი სიჩოვის** გასვლის შემდეგ, კაპიტნის სამკლავური მოირგო...

ანგარიში სპარტაკელებმა გახსნეს. მე-18 წუთზე ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **არიმ** სხვაობა ორამდე გაზარდა, რკინიგზელებმა კი **ალექსანდრ ალიევის** ერთი გოლით უპასუხეს. მოკლედ, „სპარტაკმა" 2:1 მოიგო. სამხრეთამერიკელის მიერ გატანილი გოლისას სტუმრებმა პროტესტი გამოთქვეს - ბრაზილიელმა თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანაო. თუმცა ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ მასპინძლებმა დამსახურებულად მოიგეს. სწორედ ამ აზრზეა რკინიგზელთა ქართველი მცველი მალხაზ ასათიანი და მატჩის შემდეგ ეს რუს რეპორტიორებთან საუბარშიც არ დაუმალავს.

*„მეტოქემ თამაშით გვაჯობა და 1:2 დავმარცხდით. ვფიქრობ, ეს ლოგიკური შედეგია. „სპარტაკმა" ჩინებულად ითამაშა, განსაკუთრებით კი პირველ ტაიმში. ჩემი აზრით, ძალები არ გვეყო საიმისოდ, რომ მატჩის მიწურულს მეტოქის კარზე შტურმი მიგვეტანა. იყო თუ არა ბრაზილიელი მეორე გოლის დროს თამაშგარე მდგომარეობაში, ამას ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს. ფაქტია, დავმარცხდით. რაც შეეხება მსაჯობას, იყო რამდენიმე საკამათო ეპიზოდი, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ახლა დაგვიანებულია. ჩვენ წავაგეთ და ეს უბრალოდ ფაქტია"*, - უთხრა ასათიანმა gazeta.ru-ს.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# შეყილაძემ გამარჯვებისა გაიტანა



იტალიის სერია B-ს დუბლებში მოასპარეზე ქართველი ფორვარდი **ირაკლი შეყილაძე** გატანილი გოლით კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში. 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელმა, რომელიც 7 მაისს 18 წლისა გახდება, „ემპოლის" სარეზერვო გუნდში (ე.წ. „პრიმავერა") გამოიჩინა თავი.

ტოსკანური კლუბის რეზერვისტებმა „მოდენას" დუბლები 2:1 დაამარცხეს. ირაკლი შეყილაძე ემპოლელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო. ის 65-ე წუთზე შეცვალეს. თუმცა მოედნის დატოვებამდე 10 წუთით ადრე ქართველმა თავდამსხმელმა თავისი გუნდის უპირატესობა ორამდე გაზარდა. მატჩის მიწურულს „მოდენამ" ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, შესაბამისად, შეყილაძის მიერ გატანილი გოლი ემპოლელთათვის გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა.

შეგახსენებთ, რომ ირაკლი შეყილაძე „ემპოლის" 19-წლამდელთა გუნდიდან „პრიმავერაში" გასულ შემოდგომაზე გადაიყვანეს. „პრიმავერას" სასტარტო შემადგენლობაში ის უკვე სტაბილურად თამაშობს, კარგი პრესაც აქვს და თუ გოლების გატანასაც მოუხშირა, დიდი შანსია, ახალი სეზონისთვის უკვე მთავარ გუნდშიც გადაიყვანონ.

**დავით ცაბაძე**

# მიქუჩაძე: ბრძოლა ბომბარდირობისა და აღზევებისთვის

საფეხბურთო სეზონი დაიწყო სომხეთშიც, სადაც ჩემპიონობისთვის ბრძოლაში 8 სომხური კლუბი ჩაება, მათ შორის არის „ულისიც" (გუნდის დასახელება ასე უფრო სწორია, ვიდრე „ულისე"), რომელიც დილიჟანში დებიუტანტ „იმპულსს" ეწვია და 3:0 მოუგო. ამ მატჩში დუბლით თავი გამოიჩინა **გაგა თიბილაშვილმა,** რომელმაც მატჩის 29-ე და 52-ე წუთებზე გაიტანა. ვინაიდან, I ტურში დუბლი სხვას არავის შეუსრულებია, სომხეთის პირველობის ბომბარდირთა დავას ქართველი ჩაუდგა სათავეში. „ულისის" 22-ე ნომერმა ქართველმა 90 წუთი ითამაშა. მეორე ტაიმი ითამაშა „ულისის" 25 წლის შემტევმა **შოთა ჯიქიამ,** ხოლო 30 წლის მცველი **გიორგი კრასოვსკი** შეუცვლელად გაისარჯა. გუნდში კიდევ ერთი ჩვენებურია, **თენგიზ უგრეხელიძე,** რომელიც არ გამოჩენილა.

„კილიკიასთან" საგარეო მარცხში (1:3) „განძასარის" კარს **ლევან ბუბუტეიშვილი** იცავდა. 67-ე წუთამდე ითამაშა **დავით ხანიშვილმა.** „მიკას" რიგებში ჯერ კიდევ ირიცხება **სოსო გრიშიკაშვილი,** თუმცა ვეტერანი მეკარე ტრანსფერზეა დაყენებული.

აზერბაიჯანში გრძელდება პირველობა, მოწინავე ექვსეულში სამ მატჩში სულ 4 გოლი გავიდა, ქვემო ექვსეულში კი - მხოლოდ ერთი. სამაგიეროდ, სკანდალის გარეშე ამ ტურს არ ჩაუვლია. „ნეფთჩი" ლენქორანში „ხაზარს" ესტუმრა და მსაჯის დახმარებით ქულას გამორჩა - 0:0. აი, მსაჯებს კი ნაკლებად გაუმართლათ - ისინი აღშფოთებული გულშემატკივრების მსხვერპლნი გახდნენ. ამ შეხვედრაში სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ვალერი აბრამიძემ,** რომელმაც მატჩის მიწურულს ყვითელი ბარათი მიიღო. **კახა ცხადაძის** „ინტერი" ქუზანლიში „ყარაბახს" ესტუმრა, 1:1 დაუზავდა და ლიდერობა შეინარჩუნა. მწვრთნელმა ოთხივე თანამემამულე სასტარტო შემადგენლობაში დააყენა. შეუცვლელად გაისარჯნენ: **გიორგი ლომაია, კახაბერ მჟავანაძე** და **გიორგი ნავალოვსკი,** ხოლო **დავით ოდიკაძე** 79-ე წუთზე შეცვალეს. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **გიორგი ადამიამ.** მან და ნავალოვსკიმ გაფრთხილებები მიიღეს. *„არ მიყვარს მსაჯობაზე საუბარი, უფრო საკუთარი გუნდის თამაში მაინტერესებს. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მეორე ტაიმში არბიტრმა თამაშის სადავეები გაუშვა ხელიდან"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ქართველმა მწვრთნელმა.

„გაბალა" „ბაქის" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა, სტუმართა სასტარტოში **გოგა ბერაია** და **რევაზ გეწაძე** იყვნენ, გეწაძე პირველი ტაიმის მიწურულს შეცვალეს. „ინტერი" 22 ქულით პირველია, „ნეფთჩი" 16 ქულით მესამეა, ამდენივე ქულა აქვს მე-4 ადგილზე მყოფ „ბაქის", „გაბალა" კი 11 ქულით ბოლო, მე-6 ადგილზეა.

ქვედა ექვსეულს კი თითქოს თამაშის ხალისი დაკარგული აქვს, „სიმურგი" 0:0 დაუზავდა სტუმრად „თურანს". **კახაბერ ჩხეტიანმა, დავით ბოლქვაძემ** და **რომან ახალკაცმა** სასტარტოში ითამაშეს. „მუღანმა" 1:0 მოუგო „სტანდარდს", მასპინძელთა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა **დავით სვანიძემ,** სტუმართა რიგებში 58-ე წუთზე შეცვალეს **ამირან მუჯირი,** „სტანდარდის" სხვა ქართველები დისკვალიფიცირებულნი არიან. „ოლიმპიკი" „ქარვანს" 0:0 დაუზავდა. მასპინძელთა შორის 90 წუთი ითამაშა **ნუგზარ კვირტიამ,** სტუმრებში - **ალექსანდრე ინწკირველმა.**

მოლდოვის ჩემპიონატში **ვასილ ლუჭაშვილის** „დაჩია" „სფინტულ გიორგის" ესტუმრა და 2:2 დაუზავდა, ქართველმა ფორვარდმა 65-ე წუთიდან ითამაშა. **ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფმა" კი უპრობლემოდ მოუგო „ისკრას" 3:0. ქართველმა კაპიტანმა 90 წუთი ითამაშა. „შერიფი" 59 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, „დაჩია" 46 ქულით მესამეა.

**გიორგი ივანიშვილის** „ვოლენმა" სტუმრად 1:1 ითამაშა „ლოზანასთან". საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა 90 წუთი ითამაშა. „ვოლენი" 19 ქულით მე-14 ადგილზეა.

კვიპროსში პლეი-ოფები დაიწყო, „ერმისი" „არისს" ესტუმრა და 2:0 მოუგო. სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა **ლევან მაღრაძემ. ლევან ქებაძის** „ეთნიკოსი" აპოპ-თან 2:3 დამარცხდა, ქებაძე 81-ე წუთზე შეცვალეს.

ებრაული ლეუმითლიგის ბომბარდირთა დავაში **კოკა მიკუჩაძე** 15 გოლით მეორე ადგილზეა, ბათ იამის „მაქაბი ირონის" ფორვარდს 2 გოლით უსწრებს იერუსალიმის „ჰაპოელის" შემტევი **აარონ შაი.** ბათიამელები 45 ქულით მესამე ადგილზე არიან, ამდენივე ქულა აქვს მე-2 ადგილზე მყოფ გუნდს (ორი გუნდი აღზევდება). სწორედ უშუალო კონკურენტ, „ჰაპოელს" (რამათ ჰაშარონი) დაუზავდა „მაქაბი ირონი". მიკუჩაძის გუნდი 0:2-ს აგებდა და 62-ე წუთზე კოკამ პირველი გოლი გაიტანა. „სექცია" შინ ბნეი ლოდის „ჰაპოელს" დაუზავდა - 0:0. მასპინძელთა შორის 87-ე წუთამდე ითამაშა **გაგა ჩხეტიანმა.** 64-ე წუთზე მოედანზე **შოთა ბაბუნაშვილი** შევიდა, ხოლო **გიორგი ჭელიძე** სათადარიგო იყო. სტუმართა შორის შესვენების შემდეგ **გიორგი გაბიდაური** შეცვალეს. „სექცია" 43 ქულით მეხუთეა. **რევაზ გოცირიძის** „აჰვა არაბე" შინ 0:1 დამარცხდა რამათ განის „მაქაბისთან". ქართველმა სრულად ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საქართველოს ჩემპიონატი

### პირველი ლიგა. XX ტური

**ნ/დინამოელი-პერეთი 1:1**

0:1 დონდოლაძე (62-პენ), 1:1 ვ. კაკაშვილი (90+3)

ნ/დინამოელი: კოდალაევი, ჯორჯიკია (46. ფირანიშვილი), ვ კაკაშვილი, დაბრუნდაშვილი, მერეჩკო, ახალაია (65. მამარდაშვილი), ხვთისავრიშვილი, ლ. მაჭავარიანი (68. გაგნიძე), ზვ. კვარაცხელია, ლაბარტყავა, ი. ქავთარაძე.

*სათადარიგოები:* ცინცაბაძე, თანიაშვილი, ხუციშვილი, ბრეგვაძე

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერიან გაგუა

პერეთი: ხურციძე, ჩადუნელი, ნათენაძე, კახნიაშვილი, უშარაული, დონდოლაძე, ლ. დათუნაშვილი, ნაქაძე (46. ვაჩიბერიძე/67 ა. ლომსაძე), კ. ნვერავა (77. შ. ლობჟანიძე), მ. მესხი, ოქრუაშვილი.

*სათადარიგოები:* ბარბაქაძე, შუბითიძე

*მოთამაშე მწვრთნელი:* კარლო წვერავა

არბიტრი: ი. ურუშაძე

**ტორპედო-მესხეთი 3:0**

1:0 ცნობილაძე (48), 2:0 რ. კვერნაძე (51), 3:0 ცაგარეიშვილი (90)

ტორპედო: მიგინეიშვილი, ფარულავა, ქარქუზაშვილი, გურული, გ. ჩხეტიანი, ბ. ჩხეტიანი (38. ხუციძე), ხანიშვილი, ვაშაკიძე, კირკიტაძე, რ. კვერნაძე (65. ცაგარეიშვილი), ცნობილაძე (70. ლომაშვილი).

*სათადარიგოები:* ი. კუჭუხიძე, მიქაძე, ჭანკვეტაძე, ბიბილაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* გია გიგატაძე

მესხეთი: ძამუნაშვილი, გ. ქურდაძე, ინასარიძე, აფრიამაშვილი (75. მურმანიშვილი), სუდაძე, დ. ლეკიშვილი, პარუნაშვილი, გვირჯიშვილი (30. ო. დარჩია), მ. ლეკიშვილი, თელიაშვილი (65. ალხიძე), ყულიჯანიშვილი.

*სათადარიგოები:* კ. რეხვიაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* პაატა გოგოლაძე

გაფრთხილება: ალხიძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**ჩიხურა-მეშახტე 3:0**

1:0 ა. ივანიშვილი (11), 2:0 ენუქიძე (39), 3:0 ენუქიძე (68)

ჩიხურა: დოლაძე, ზივზივაძე, ცარციძე, გვეტაძე, ჩიკვაიძე, ზაბახიძე, ქამუშაძე (46. ბ. პეტრიაშვილი), ა. ივანიშვილი, როგავა (77. მ. მიქაძე), გ. ენუქიძე (70. ჭილლაძე), სტეფანიშვილი.

*სათადარიგოები:* მწყერაშვილი, გიორბელიძე, მაჭარაშვილი, ტყებუჩავა

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

მეშახტე: კეჩხუაშვილი, გ. ტორაძე, ვაჩიბერაძე, გუბელაძე, გ. სიჭინავა (46. რ. კალანდაძე), ჯიშიაშვილი, მეტონიძე (76. ბოჭორიშვილი), გ. შველიძე, რაჟამაშვილი, თურმანიძე (59. ბაბუნიძე), შათირიშვილი.

*სათადარიგოები:* ქალდანი, კობახიძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

გაფრთხილება: ჯიშიაშვილი, ბაბუნიძე

არბიტრი: მ. ურუშაძე

**კოლხეთი (ხ)-ბათუმი 1:0**

1:0 მ. ჟვანია (55)

კოლხეთი (ხ): ზ. გელაშვილი, ჩაჩიბაია, ფიფია, ფარფალია, გ. გოგენია, მ. ჟვანია, ბესარაშვილი, სართანია (70. ვ. ფირცხალავა), გაგუა, ღლონტი (78. კ. გოგენია), დ. კუტალია.

*სათადარიგოები:* ალანია, ი. კუტალია, ჯამბურია, გელა ლომაია, ქუხილავა

*მთავარი მწვრთნელი:* ზურაბ ლატარია

ბათუმი: მამინაშვილი, ფარტენაძე, ხუხია, ლ. მახარაძე, ბაჯელიძე, გოგიტიძე, ზვ. ლობჟანიძე, ბეჟანიძე (58. ი. ტულუში), ე. გრიგალაშვილი (66. მალაზონია), გ. ხარაბაძე (51. მ. ჯორბენაძე), ბოხუა.

*სათადარიგოები:* ბერიძე, დემურაძე, ჭკუასელი, დ. კეკელიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: ბესარაშვილი, დ. კუტალია, ლ. მახარაძე, ბოხუა.

არბიტრი: ო. ხეცაძე

**მერცხალი-35-ე სკ 0:1**

0:1 ჭაფოძე (4)

მერცხალი: ძაგანია, აკობია, ქობულაძე, ხამაშურიძე, სიამაშვილი, ჩხატარაშვილი (10. ვ. რამიშვილი), ჯაყელი, რ. ჭეიშვილი, ლ. ჩხაიძე, ს.გ. ჩიგოგიძე (46. ცეცხლაძე), ხინთიბიძე (50. ს.ვ. ჩიგოგიძე).

*სათადარიგოები:* ნ. მაჭავარიანი, სურგულაძე, ნაკაიძე, ლ. ლატარია

*მთავარი მწვრთნელი:* ხარიტონ ჩხატარაშვილი

35-ე სკ: ზ. მესხი, გუჯარაიძე, ჭაფოძე, ნათაძე, ბელთაძე, ჭრელაშვილი, ბაგაშვილი (79. ქურდაძე), თ. მეტრეველი (67. სილაგავა), აბლინგერი (57. კალანდარიშვილი), როსტომბაია, ლ. იაშვილი.

სათადარიგოები: მანია, ჯელაძე

მთავარი მწვრთნელი: კახა გოგიჩაიშვილი

გაფრთხილება: ხინთიბიძე, ცეცხლაძე, ბელთაძე

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

**IBSU-კოლხეთი (ფ) 2:2**

0:1 ციცხვაია (20), 1:1 ტეტუნაშვილი (65), 2:1 ცხოიძე (71), 2:2 ა. კუჭუხიძე (87. საკ. კარში)

IBSU: ა. ბილიხოძე, მაჩალაძე (89. ა. ნოზაძე), თავბერიძე, ტეტუნაშვილი, თვალავაძე, გ. პირველი, ა. კუჭუხიძე, არახამია (46. ლ. ნორაკიძე), ბართია, ცხოიძე (82. გვიჩია), ძაგანია.

*სათადარიგოები:* მეფარიძე, თ. კვარაცხელია, მენთეშაშვილი, გიორგობიანი

*მთავარი მწვრთნელი:* გოჩა ჟორჟოლიანი

კოლხეთი (ფ): გ. შენგელია, დ. ჭითანავა, ცხვიტარია, თედიაშვილი, ფარცვანია (86. გოგონაია), ქირია (73. აბურჯანია), გუჩუა, მალიჩავა (77. ნიქარიშვილი), დ. სიჭინავა, ციცხვაია, გ. თოდუა.

*სათადარიგოები:* გორდეზიანი, ლემონჯავა, ლონლაძე, გელაჭეიშვილი.

*მთავარი მწვრთნელი:* ბესიკ შეროზია

გაფრთხილება: ბართია, ცხვიტარია

არბიტრი: ლ. სილაგავა

**გურია-მარტვილი 1:0**

1:0 მგელაძე (56)

გურია: ძაძამია, გოგიბერიძე, რ. კუკულაძე, ქურიძე, ძაგანია, კილაძე, ხ. მგელაძე (84. მ. კოტრიკაძე), შეწირული, მელიქიშვილი, კვერენჩხილაძე, ტ. კუკულაძე (81. ს. ურუშაძე).

*სათადარიგოები:* მ. გოგუაძე, ბრეგაძე, წილოსანი, ზ. რაზმაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გია ჩხაიძე

მარტვილი: ჯ. შეროზია, ო. გიორგობიანი (68. დიარასოუბა), იობაშვილი, ფაცაცია (72. ი. ხვადაგიანი), იაირო, წოწორია, ბერუაშვილი, ტაპე, ამბროლაძე, ლარკი (61. მელიავა), ო. ტორაძე.

*სათადარიგოები:* ლ. კუჭუხიძე, თ. თურმანიძე

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: კილაძე, ფაცაცია, რ. კუკულაძე, ტაპე, ხ. მგელაძე, კვერენჩხილაძე

არბიტრი: თ. გვანცელაძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო | 19 | 15 | 2 | 2 | 55-10 | 47 |
| 2. ბათუმი | 19 | 12 | 4 | 3 | 31-10 | 40 |
| 3. კოლხეთი (ფ) | 18 | 12 | 3 | 3 | 44-18 | 39 |
| 4. ჩიხურა | 19 | 11 | 3 | 5 | 29-18 | 36 |
| 5. ნ/დინამოელი | 18 | 9 | 5 | 5 | 34-33 | 32 |
| 6. გურია | 18 | 9 | 3 | 6 | 31-24 | 30 |
| 7. მარტვილი | 19 | 8 | 2 | 9 | 28-28 | 26 |
| 8. მერცხალი | 19 | 7 | 3 | 9 | 22-24 | 24 |
| 9. IBSU | 19 | 6 | 5 | 8 | 29-25 | 23 |
| 10. კოლხეთი (ხ) | 19 | 6 | 2 | 11 | 22-35 | 20 |
| 11. პერეთი | 19 | 5 | 4 | 10 | 20-35 | 19 |
| 12. მეშახტე | 19 | 5 | 3 | 11 | 27-52 | 18 |
| 13. ჭიათურა | 18 | 5 | 0 | 13 | 19-44 | 15 |
| 14. მესხეთი | 19 | 5 | 2 | 12 | 15-32 | 14* |
| 15. 35-ე სკ | 18 | 3 | 3 | 12 | 17-35 | 12 |

** - მესხეთს დაკლებული აქვს 3 ქულა*



# ცქიტიშვილმა კარიერა დაასრულა

საქართველოს ეროვნული ნაკრების უკვე ყოფილმა ნახევარმცველმა **ლევან ცქიტიშვილმა** ფეხბურთელის კარიერა დაასრულა. ცქიტიშვილი, რომელიც 10 ოქტომბერს 34 წლისა გახდება, შარშან სეზონი მეორე ბუნდესლიგაში, ვისბადენის „ვეენში" დაასრულა. სამწუხაროდ, ლევანის გუნდმა მეორე ბუნდესლიგაში ადგილი ვერ შეინარჩუნა და ვისბადენელთა კლუბთან მისი კონტრაქტიც ავტომატურად შეწყდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანიის საფეხბურთო კანონების მიხედვით, ლევან ცქიტიშვილს, როგორც ევროკავშირში არშემავალი ქვეყნის მოქალაქეს, მესამე ბუნდესლიგაში თამაში არც შეეძლო. მას მერე ცქიტიშვილს არც ერთ გუნდში არ უთამაშია. ლევანის დარი ფეხბურთელისთვის 34 წლის ასაკში კარიერის დასრულება ნაადრევია, მაგრამ მან უკვე მიიღო გადაწყვეტილება მოთამაშის კარიერის დასრულების შესახებ.

*„დიახ, მოთამაშის კარიერა უკვე დავასრულე. ისიც მითხრეს, რომ ჩემმა ამ გადაწყვეტილებამ გულშემატკივარს გული დასწყვიტა, მაგრამ რას ვიზამთ, ასეა"*, - „ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ლევან ცქიტიშვილმა.

ლევან ცქიტიშვილს ეროვნულ ნაკრებში 58 მატჩი აქვს ჩატარებული. ეროვნულში მას დებიუტი 1995 წელს ჰქონდა და ბოლოს შარშან ითამაშა.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფერგის რა უჭირს, ვან გაალმა იკითხოს...

## დღეს მიუნხენში დიდი დუელის პირველი რაუნდია




ჩემპიონთა ლიგას რვა გუნდი შემორჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე გათამაშება გადამწყვეტ ფაზაშია შესული. დღეს და ხვალ მეოთხედფინალის პირველი მატჩებია. დღეს მიუნხენის „ბაიერნი" „მანჩესტერ იუნაიტედს" უმასპინძლებს, ამავდროულად, ლიონში ფრანგული დუელი გაიმართება: „ლიონი"-"ბორდო".

### ბაიერნი-მანჩესტერი

„მანჩესტერმა" მერვედფინალიდან „მილანი" გააგდო და მიუხედავად იმისა, რომ წელს „როსონერი" თავის თავს არ ჰგავს, **სერ ალექს ფერგიუსონის** გუნდს ეს უდიდეს მიღწევად უნდა ჩავუთვალოთ, რადგან გაგდებაცაა და გაგდებაც, „მანჩესტერმა" კი „მილანი" ყველა ასპექტში დაჩაგრა, გაანადგურა, მიწასთან გაასწორა. ფერგის გუნდის მომდევნო გაჩერება კი „ბაიერნია" - გერმანიის რეკორდმაისტერი, რომელიც თვეების განმავლობაში ძალიან კარგად გამოიყურებოდა. წარსულში იმიტომ ვსაუბრობთ, რომ „ბაიერნმა" მაინცდამაინც მაშინ აურია, როცა „მანჩესტერთან" სეზონის უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვს. მიუნხენელებმა ბუნდესლიგაში ზედიზედ ორი თამაში წააგეს. აღსანიშნავია, რომ „აინტრახტთანაც" იგებდნენ და „შტუტგარტთანაც", მაგრამ ორივე მატჩში ორ-ორი გოლი გაუშვეს, რასაც ის მოჰყვა, რომ **ლუის ვან გაალის** გუნდმა გერმანიაში ლიდერობა დაკარგა. შესაბამისად, მიუნხენში განგაშის ზარებს შემოჰკრეს, მაგრამ როგორც სჩვევიათ, „მანჩესტერთან" თამაშის წინ მაინც ოპტიმისტურად არიან განწყობილები. ერთადერთი, რაც „ბაიერნის" ფანებს აღარდებთ, არის ის, რომ კითხვის ნიშნის ქვეშაა გუნდის ლიდერის, **არიენ რობენის** თამაში, თუმცა ამაზე ქვემოთ...

„მანჩესტერი" ფავორიტად მიიჩნევა, მაგრამ „ბაიერნი" „იუნაიტედისთვის" არასახარბიელო მეტოქეა, რაზეც ისტორია და სტატისტიკა მეტყველებს. თვითონ განსაჯეთ: ეს გუნდები ერთმანეთს სულ შვიდჯერ შეხვდნენ და ამ შვიდი დაპირისპირებიდან, „მანჩესტერმა" მხოლოდ ერთი მოიგო. „ბაიერნისთვის" ცუდი მხოლოდ ის არის, რომ ის ერთადერთი მატჩი, რომელიც ინგლისელებმა თავის სასარგებლოდ დაასრულეს, ჩემპიონთა ლიგის ფინალი იყო. ალბათ მიხვდით, 1999 წლის ფინალზე გვაქვს საუბარი, ლეგენდარულ, ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მატჩზე, რომელსაც გერმანული გრანდი თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში იგებდა და ბოლო ორ წუთში ორი გოლი გაუშვა. იმ გუნდიდან დღეს ფერგიუსონის განკარგულებაში სამი მოთამაშეა: **გარი ნევილი, რაიან გიგზი** და **პოლ სქოულზი**.

„მანჩესტერმა" ამ უქმეებზე „ბოლტონს" 4:0 მოუგო და პრემიერლიგაში ლიდერობა შეინარჩუნა. აღსანიშნავია, რომ ფერგიუსონმა დაასვენა როგორც ლიდერი **უეინ რუნი**, ისე დაცვის ბურჯი **რიო ფერდინანდიც**. შესაბამისად, „ბოლტონს" ოთხიდან ორი გოლი ბულგარელმა თავდამსხმელმა **დიმიტარ ბერბატოვმა** გაუტანა, რომელსაც დღეს საღამოს ძირითად შემადგენლობაში ალბათ ვერ ვიხილავთ, რადგან ფერგი ისევ ნახევარდაცვის გაძლიერებას მოისურვებს და ხუთი შუამარბით ითამაშებს, ცენტრფორვარდი კი მხოლოდ ერთი ეყოლება - ერთი, მაგრამ როგორი: უეინ რუნი, რომელიც კარიერის საუკეთესო ფორმაშია.

ფერგიუსონის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური სვლებისა და ხრიკების შესახებ ყველაფერი იცის. „მილანთან" საპასუხო მატჩის წინ მან იცრუა, რუნი ვერ ითამაშებსო. ამჯერად კი, „ბაიერნს" სხვა მხრიდან მოუარა და ფეხი პირდაპირ კოჟრზე დაადგა: *„ძალიან მომწონს ფრანკ რიბერი*, - განაცხადა ფერგიუსონმა გუშინ, „სანდი ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში, - *მისი შეძენა წინა ზაფხულსაც მინდოდა, მაგრამ „ბაიერნმა" 80-100 მილიონი ევრო მოითხოვა, რაც, ცხადია, ასტრონომიული თანხა იყო. როგორც ვიცი, ამ სეზონში რიბერის უკვე აქვს იმის უფლება, რომ გაცილებით იაფად დატოვოს მიუნხენი. ამბობენ, რიბერის ესპანეთში გადასვლა უნდაო, მაგრამ მე ვამბობ, რომ რიბერი მეც ძალიან მომწონს"*.

„სანდი ექსპრესი" წერს, რომ ფერგიუსონს დღესვე (!), თამაშის შემდეგ სურს „ბაიერნის" შეფებთან რიბერის საკითხზე საუბარი და მზადაა, ფრანგ დრიბლიორში 45 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ როგორც ვთქვით, დიდი შანსია, რომ ეს სერ ალექსის მორიგი ფანდი იყოს. თანაც, რიბერი „ბაიერნისთვის" ძალიან მტკივნეული თემაა და თამაშის წინ ამ თემაზე საუბრით, ფერგიუსონი „ბაიერნს" პირდაპირ ნატკენზე აბიჯებს!

რაც შეეხება „ბაიერნს". კაპიტანი **მარკ ვან ბომელი** ამბობს, რომ „მანჩესტერთან" საკუთარ მოედანზე უგოლო ფრეც დააკმაყოფილებს. ყოველ შემთხვევაში, ჰოლანდიელ საყრდენ ნახევარმცველს მიაჩნია, რომ თუ დღეს 0:0 დაფიქსირდება, ეს „ბაიერნისთვის" ურიგო შედეგი არ იქნება. მიუნხენური გრანდის მეორე ლიდერი, **ფილიპ ლამი** კი ფიქრობს, რომ მიუნხენურმა კლუბმა დღევანდელი თამაში აუცილებლად უნდა მოიგოს და კარიც მშრალად შეინახოს. ამისათვის პირველ რიგში ისაა საჭირო, რომ რეკორდმაისტერის მცველები მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ და კარგად ითამაშონ, რასაც ბოლო დროს იშვიათად ახერხებენ. დასტურად, ბუნდესლიგის ბოლო ორ მატჩში ოთხი გოლის გაშვება გამოდგება. მწვრთნელი ვან გაალი კი თავის შეგირდებს პირველ რიგში ტაქტიკურ დისციპლინას სთხოვს.

ვან გაალმა შვებით ამოისუნთქა, რადგან მცველები გამოუჯანმრთელდნენ და დღეს, რეკორდმაისტერის უკანა ხაზი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებით იქნება დაკომპლექტებული. არგენტინელმა **მარტინ დემიკელისმა** „შტუტგარტთანაც" ითამაშა, რაც იმას ნიშნავს, რომ დღესაც ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ (**დანიელ ვან ბუიტენის** გვერდით). აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა **ჰოლგერ ბადშტუბერი** დაცვის მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლებს. მართალია, თინეიჯერმა **დავიდ ალაბამ** „ფიორენტინასთან" საპასუხო შეხვედრაში კარგად ითამაშა, მაგრამ „მანჩესტერთან" მისი გამწესება ვან გაალისთვის ზედმეტად სარისკოა.

სამაგიეროდ, ჰოლანდიელ მწვრთნელს ერთ ურთულეს კითხვაზე აქვს პასუხი გასაცემი: **ბასტიან შვაინშტაიგერი** დისკვალიფიცირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ არავინ იცის, ვინ იქნება მეორე საყრდენი ნახევარმცველი, ვან ბომელის გვერდით. თუ ვან გაალის ბოლოდროინდელ ნაბიჯებს გადავხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკრაინელ **ანატოლი ტიმოშჩუკს** სასტარტოში მოხვედრის შანსი არ აქვს, რადგან ლუისი მას ძალიან იშვიათად ათამაშებს და თანაც, უკრაინელი უფრო დაცვაზე ორიენტირებული საყრდენია. ვან გაალს კი ასეთი უკვე ჰყავს ვან ბომელის სახით. იგივე ეხება **ჰამით ალთინთოფსაც**. აქედან გამომდინარე, შვაინის ალბათ **დანიელ პრანიჩი** შეცვლის.

მიუნხენელთა მთავარი ამოცანა, რუნის შეჩერება იქნება. აი, რას ფიქრობს კაპიტანი ვან ბომელი: *„რუნის გაუვნებლება ძალიან ძნელია, რადგან უეინი შესანიშნავი ფეხბურთელია. წესით, ასეთი ფეხბურთელების წინააღმდეგ პერსონალურ დაცვას მივმართავთ ხოლმე, მაგრამ ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ასეთი მიდგომა არ გამოდგება, რადგან რუნი გენიალურია. უმჯობესია, მის წინააღმდეგ ზონურ დაცვას მივმართოთ. ასეთ შემთხვევაში მის შეჩერებას ერთდროულად რამდენიმე ფეხბურთელი შეეცდება."*

დაბოლოს, „ბაიერნისთვის" ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი: რობენი. ჰოლანდიელი გარემარბი „შტუტგარტთან" მატჩში დაშავდა და დიდი შანსია, დღეს ვერ იასპარეზოს. თუმცა არიენს კვირას კუნთი აღარ სტკიოდა, რაც „ბაიერნის" ექიმებს ოპტიმისტურად განაწყობს. ითამაშებს თუ არა რობენი, საბოლოოდ დღეს უნდა გადაწყდეს. თუმცა ორშაბათს რობენმა ვერ ივარჯიშა, რაც დღეს მის თამაშს კიდევ უფრო დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

*„ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ რობენი ხვალ საღამომდე მწყობრში იყოს*, - თქვა ვან გაალმა გუშინ, - *მაგრამ თუ გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო, ერთპროცენტიან რისკზეც კი არ წავალ. არიენს ტრავმა არ აქვს, მაგრამ მისი კუნთი დაღლილია."* სხვათა შორის, „ბაიერნს" **მარიო გომესი** გამოუჯანმრთელდა, მაგრამ ვან გაალი ძირითად შემადგენლობაში მაინც **მიროსლავ კლოზეს** ათამაშებს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი (4-4-2):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ბადშტუბერი - თ. მიულერი (ან რობენი), ვან ბომელი, პრანიჩი, რიბერი - კლოზე, ოლიჩი.

**მანჩესტერი (4-3-2-1):** ვან დერ სარი - გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - პარკი, ფლეტჩერი, ქერიკი - ვალენსია, ნანი - რუნი.

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

### ლიონი-ბორდო

„ბაიერნი"-"მანჩესტერის" გამო, „ლიონისა" და „ბორდოს" ფრანგული დუელი ჩრდილშია მოქცეული, მაგრამ თუ კლუბების შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, დაბეჯითებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ ვინც საყურებლად ამ მატჩს აირჩევს, ნამდვილად არ მოიწყენს.

ფაქტია, რომ ამ კლუბებს შორის მეგობრული ურთიერთობა არასდროს ყოფილა, მაგრამ ამ უქმეებზე, ისედაც მტრული ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. საქმე იმაშია, რომ რაკი „ბორდოს" შაბათს ლიგის თასის ფინალში „მარსელთან" უნდა ეთამაშა (ითამაშა და წააგო ანგარიშით 1:3), ხოლო „ლიონის" მატჩი (გრენობლთან 2:0) პარასკევს იყო დაგეგმილი, „ბორდოს" ხელმძღვანელებმა „ლიონის" მატჩის შაბათს გადატანა მოითხოვეს, რათა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ ჯახს ორივე კლუბი თანაბრად დაღლილი შეხვედროდა. ფეხბურთის ფედერაციამ მოთხოვნა დააკმაყოფილა, რასაც „ლიონის" შეფების აღშფოთება მოჰყვა. პრეზიდენტმა **ჟან-მიშელ აულამ** ოლიმპიურ კომიტეტსაც კი მიმართა გადაწყვეტილების შესაცვლელად, მაგრამ უშედეგოდ. აი, ფეხბურთელები კი შედარებით მშვიდად არიან. *„ჩვენ ერთმანეთს ძალიან კარგად ვიცნობთ და ერთმანეთის პლუსები თუ მინუსები ზეპირად ვიცით*, - ამბობს „ბორდოს" გამთამაშებელი **იოან გურკუფი**, - *ცხადია, ერთმანეთს არაფერს დავუთმობთ, მაგრამ ისიც ხაზგასასმელია, რომ ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ."*

„ლიონს" **ჟან-ალან ბუმსონგი** გამოუჯანმრთელდა, **ფრანსუა კლერი** და **კლებერ ანდერსონი** კი ისევ დაშავებულები არიან. ჟირონდელთა ძირითად შემადგენლობაში სავარაუდოდ ვერ ვიხილავთ **მარკ პლანუსს**, **გრეგორი სერტიჩის** თამაში კი გამორიცხულია. ვერ ითამაშებს **ალუ დიარაც**.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი - რეველიერი, კრისი, ბუმსონგი, სისოხო - ტულალანი, კალსტრიომი - გოვუ, პიანიჩი, დელგადო - ლისანდრო ლოპესი.

**ბორდო (4-1-4-1):** კარასკო - შალმე, კიანი, ენრიკე, ტრემულინა - სანე - პლასილი, ფერნანდო, გურკუფი, ვენდელი - შამახი.

**არბიტრი:** ფელიქს ბრიხი (გერმანია)

**გოტფრიდ ლენცი**



# ნამდვილი ლილის დაბრუნება

## ტიტული 17 წლის შემდეგ

ინგლისში, იტალიასა და გერმანიაში ჩემპიონობაზე პრეტენზიას 3-3 გუნდი აცხადებს, ესპანეთში - სულაც ორი. აი, საფრანგეთის ლიგა 1 კი უნიკალურია, ცხრილის ზედა ექვსეულში საოცარი სიმჭიდროვეა და ნებისმიერ მათგანს შეუძლია ტიტულის მოგება. 30-ე ტური არასრული გამოდგა, რადგან შაბათს საფრანგეთის ლიგის თასის ფინალი გაიმართა. სხვათა შორის, ქვეყნის ლიგის თასის მფლობელი „მარსელი" გახდა, რომელმაც ფინალში ჩემპიონი „ბორდო" 3:1 დაამარცხა. ოთხივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა, თამაშის ბედი 6-წუთიან მონაკვეთში გადაწყდა, როცა ჯერ **სულეიმან დიავარამ**, შემდეგ კი **მატიო ვალბუენამ** დალაშქრეს ჟირონდელთა კარი. ამის შემდეგ „ბორდოს" მცველმა **მატიო შალმემ** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, ბორდოელი **ლუდოვიკ სანეს** გოლი 84-ე წუთზე კი ოდენ პრესტიჟისა გამოდგა. მოკლედ, საფრანგეთში სეზონის პირველი ტიტული **დიდიე დეშამის** „მარსელისაა". 17 წელიწადია „მარსელს" ტიტული არ მოუგია.

**დიდიე დეშამი** (მარსელი): *„მსურს ტიტული რობერტ ლუის-დრეიფუსს ვუძღვნა, იმისთვის, რაც მან კლუბისთვის გააკეთა. სამწუხაროდ, ის ჩვენთან აღარ არის და ვერ გაიგებს ჩვენი წარმატების შესახებ. კლუბი ასე უხდის მადლობას მას. გამარჯვება დავიმსახურეთ, ეს ეჭვგარეშეა. სამწუხაროა, რომ მამადუ ნიანგი დაგვემტვრა, მაგრამ ლიდერის ფუნქცია შესანიშნავად იკისრა მატიო ვალბუენამ".*

30-ე ტურში განსაკუთრებულ ინტერესს მოწინავე ექვსეულის ორი წევრის დაპირისპირება იწვევდა, „ლილი" „მონპელიეს" მასპინძლობდა. სტუმრებს რომ ემარჯვათ, ერთპიროვნული ლიდერები ხდებოდნენ, მასპინძლებმა კი მათ „ბართლომეს ღამე" მოუწყვეს - 4:1 მოუგეს და ორ ქულამდე მიუახლოვდნენ ცხრილში. „ნამდვილი „ლილის" დაბრუნება", - ასე დაასათაურა „ეკიპმა" მატჩისადმი მიძღვნილი სტატია, მართლაც ამ გუნდს კარგა ხანია არ უთამაშია ასე კარგად.

მასპინძელთა სასტარტოში ტრავმის შემდეგ პირველად ვიხილეთ აფრიკელი ფორვარდი **ჟერვინიო**, სწორედ მან გახსნა ამ შეხვედრაში ანგარიში. კოტდივუარელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ **რუდი გარსიას** გუნდის მნიშვნელოვანი წევრია. ჟერვინიომ მუხლზე მცირე ოპერაცია გადაიტანა, რის გამოც მან თვე გამოტოვა. ის „ბორდოსთან" მატჩში (1:3) დაბრუნდა, როცა შეცვლაზე შევიდა. ახლა კი თავიდანვე დაიწყო თამაში. მე-17 წუთზე მან ანგარიში გახსნა, ეს მისი მე-12 გოლი იყო სეზონში და პირველი სამთვიანი პაუზის შემდეგ. ყველაფერი ბელგიელმა თინეიჯერმა **ედენ ჰაზარდმა** შეასრულა, მისი პასის შემდეგ ჟერვინიო **ჟოფრეი ჟურდრენთან** პირისპირ გავიდა, მოატყუა მეკარე და „ლილი" 1:0 დააწინაურა.

ამ თამაშამდე „ლილმა" ექვსეულის წევრებთან შვიდიდან ხუთი მატჩი წააგო. ახლა კი მისი უპირატესობა აშკარა იყო. ტაიმის დასრულებამდე ორჯერ ჩაერთო საქმეში ჟურდრენი, ორჯერვე **იოან კაბაიეს** დარტყმების შემდეგ.

„მონპელიეს" სენეგალელ ფორვარდ **კამარას** ბევრი არ გააქვს, მაგრამ როცა კი ამას აკეთებს, ყოველთვის ლამაზად გამოსდის, მეორე ტაიმის მეორე წუთზეც ასე იყო - 25 მეტრიდან საოცარი ძალით დაარტყა და სეზონში მე-7 გოლი შეაგდო - 1:1. ეს გოლი აშკარად ვერ „ჯდებოდა" თამაშის ხასიათში, სადაც „ლილი" აშკარად დომინირებდა, ამიტომაც საყაიმო შედეგს დიდხანს არ გაუძლია. ხუთ წუთში **გარი ბოკალიმ** საჯარიმოში მოცელა იოან კაბაიე და თავად დაზარალებულმა პენალტის ნიშნულიდან გაიტანა - 2:1.

თამაშის დაწყებიდან საათიც არ იყო გასული, როცა მატჩის ბედიც გადაწყდა, ამაში დიდი წვლილი ჰაზარდს მიუძღვის, გუნდის ბელგიურმა მარგალიტმა, რომელსაც „ლილს" ბოლოსა გუნდები დიდხანს აღარ გაუჩერებენ, ნახევარი მოედანი გადმოიარა და ფორვარდ **ფროს** საგოლედ ჩაუწოდა - 3:1. ჰაზარდმა ბრწყინვალე თამაშით გოლი დაიმსახურა, მაგრამ მას ამ თამაშში ბედმა არ გაუღიმა, საფინალო სასტვენამდე 11 წუთით ადრე კი თავი შეცვლაზე შესულმა **ტურემ** გამოიჩინა.

**რუდი გარსია** (ლილი): *„ჩვენ ჰაერივით გვჭირდებოდა მოგება და შევძელით კიდეც. გახარებული ვარ თუ რა ფორმით მიაღწია მიზანს გუნდმა. ბოლოს და ბოლოს მატჩისთვის მოსამზადებლად მთელი კვირა გვქონდა და ეს პაუზა კარგად გამოვიყენეთ. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ისევე როგორც სატურნირო მდგომარეობითაც - ჩვენ კვლავ ვინარჩუნებთ ჩემპიონობის შანსებს. თუმცა მხოლოდ მოწინავე ხუთეულში შესვლას ვგეგმავთ. შემდეგი მეტოქე „რენია", ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი".*

**რენე ჟირარი** (მონპელიე): *„ძალიან მძიმე დარტყმა განვიცადეთ. „ლილი" ერთი თავით გვჯობდა, ეს კი დაუშვებელია, როცა რამე სერიოზულზე აცხადებ პრეტენზიას. მეტოქემ „ცოცხლად შეგვჭამა". ჩვენ ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით, უმთავრესად გამოუცდელობის გამო. ასეთი თამაშის ხარისხით კმაყოფილი როგორ უნდა ვიყო, ბუნებრივია, ფეხბურთელებთან პრეტენზიები მაქვს. „ლილმა" დაამტკიცა, რომ ტიტულისთვის ბრძოლა მართლა შეუძლია".*

მოულოდნელად უხვგოლიანი გამოდგა „ნანსისა" და „ლანსის" შეხვედრა. მასპინძლებმა მეტოქე 5:1 გაანადგურეს, რაშიც ლომის წილი 22 წლის ტანმორჩილმა ფორვარდმა **ისიარ დიამ** დაიდო. დიას ანგარიშზე ჰეთ-თრიკია. არადა, აქამდე შვიდი მატჩიდან მხოლოდ ერთში მოუგო „ნანსიმ" „ლანსს".

**ჯიმი ბრიანის** დუბლის წყალობით „რენმა" სტუმრად 3:1 მოუგო ქართველთა „ლე მანს" და ფაქტობრივად გასავარდნად გაწირა. საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა ერთმანეთზე უკეთესი გოლები გაიტანა ჩვენთვის კარგად ნაცნობი **დიდიე ოვონოს** კარში.

„პარი სენ ჟერმენს" გულშემატკივართა უმსგავსობის გამო ცარიელი ტრიბუნების წინაშე მოუწია „ბულონის" დამარცხებამ, რაც მაინცდამაინც არ გასჭირვებია - 3:0. კვირას ქვეყნის თასის ნახევარფინალების წილისყრაც მოეწყო, რომელსაც საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი **ალენ ჟირესი** უძღვებოდა. გუნდები ჟირესმა ასე დააწყვილა: „მონაკო"-"ლანსი" და „კუევილი"-"პარი სენ ჟერმენი". შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში გასული „კუევილი" მე-4 დივიზიონის გუნდია.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

**3 აპრილი. ბორდო-ნანსი, გრენობლი-ლორიანი, ნიცა-სოშო, რენი-ლიონი, სენტ ეტიენი-ლე მანი, ლავანსიენი-ლილი, მონპელიე-მონაკო. 4 აპრილი. ბულონი-ტულუზი, მარსელი-ლანსი, ოსერი-პარი სენ ჟერმენი.**

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII ტური

**მანჩესტერ სიტი-უიგანი 3:0**

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, კომპანი, კოლო ტურე, გარიდო (88. ონუა), საბალეტა, ვიეირა, დე იონგი, ა. ჯონსონი, რაიტ-ფილიპსი (46. ბელამი), ადებაიორი, ტევესი (88. სილვინიო).

**უიგანი:** სტოიკოვიჩი, ბრემბლი, კოლდუელი, ფიგეროა, მელხიოტი, დიამი, თომასი (52. ნ'ზოგბია), მორენო (82. გოური), შარნერი, როდალეგა (82. სქოთლენდი), მაკკარტი.

**გოლები:** 1:0 ტევესი (72), 2:0 ტევესი (74), 3:0 ტევესი (84)

**გაძევება:** კოლდუელი (56. უიგანი)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 8-0; **კარში დარტყმა:** 13-10 (6-2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 43 534

### ესპანეთი. ლა ლიგა. XXIX ტური

**ბილბაო-რასინგი 4:3**

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ამორებიეტა, კასტილიო - სუსაეტა, მარტინესი, იტურასპე (49. გურპეგი), გაბილონდო - ტოკერო (78. მუნიაინი), ლორენტე (86. დ. ლოპესი).

**რასინგი (4-2-3-1):** კოლტორტი - პინილიოსი, ენრიკე, ორიოლი, კრისტიანი - კოლსა, ლასენი - მუნიტისი (70. არანა), კანალესი, სერანო (64. დიოპი) - ტჩიტე (76. ბოლადო).

**გოლები:** 1:0 ლორენტე (13), 2:0 ტოკერო (17), 2:1 ტჩიტე (41), 3:1 ლორენტე (78-პენ), 3:2 ბოლადო (80), 4:2 სუსაეტა (87), 4:3 ბოლადო (93)

**გაძევება:** ორიოლი (81. რასინგი)

**გაფრთხილება:** 1-5; **კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 10-16; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 12-9 (5-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 27 000

**ლიონი-გრენობლი 2:0**

**ლიონი (4-3-3):** ლორისი - რეველიერი, კრისი, ბოდმერი, სისოხო - გონალონსი, ტულალანი, მაკუნი (68. პიანიჩი) - ედერსონი, გომისი (73. ლოპესი), ბაშტოში (67. დელგადო).

**გრენობლი (4-2-3-1):** მობლო - სოჟე, სესარი, ვიტაკიჩი, რობენი - რომაო, დიოზი - ბოია (61. კურტუა), ბატლე (54. აკრური), მაცუი (70. რავე) - ლიუბოია.

**გოლები:** 1:0 ბაშტოში (47), 2:0 დელგადო (90)

**გაძევება:** სესარი (76. გრენობლი)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 22-7 (9-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 32 323

**ლე მანი-რენი 1:3**

**ლე მანი (4-4-2):** ოვონო - კორჩია, ანდრადე, სერდანი, ბაალი - დოსევი, ტომასი, გულონი (78. აბდი), ლამა (84. სისე) - ლე ტალეკი, მაიგა (73. ჰელსტადი).

**რენი (4-3-3):** დუშეზი - ფანი, მანგანე, ჰანსონი, ბოკანეგრა, ლემოანი, მვილა, ტეტეი - ბანგურა (68. კემბო-ეკოკო), ბრიანი (88. დანზე), მარვო (83. ლეროა).

**გოლები:** 0:1 ბანგურა (51-პენ), 1:1 დოსევი (58), 1:2 ბრიანი (74), 1:3 ბრიანი (86)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 8-14 (5-5); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 7 749

**ლორიანი-სტ. ეტიენი 4:0**

**ლორიანი (4-4-2):** ოდარი - სოსა, მარშალი, კოშილნი, მორელი - დიუბაბრიე (54. ვაირუა), დიუკასე, მვუემბა (78. მანსური), დიარა (74. ფანშონი) - ამალფიტანო, გამეირო.

**სტ. ეტიენი (4-4-2):** ჟანო - დაბო (74. ოტკო), დიახატე, ბენალუანი, მონსორო (46. ფერნანდესი) - მირალიაში, ფერნანდესი, მატუიდი, პაიე - ბერხესიო, რივიერი.

**გოლები:** 1:0 ამალფიტანო (35), 2:0 გამეირო (38), 3:0 დიუბაბრიე (49), 4:0 გამეირო (73)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 11-15 (8-7); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 12 378

**ნანსი-ლანსი 5:1**

**ნანსი (4-2-3-1):** ბრასილიანო - შრეტიე, სამი, ანდრე ლუისი, ლემაიტრი (37. მერანჟი) - ბერენგერი, ნდიაიე - დია (76. ზაკარი), ფერე, ბრიზონი (63. მალონგა) - ჰაჯი.

**ლანსი (4-2-3-1):** რუნიე - დემონი (73. ტურე), იაჰია, შელი, რამოსი - სოუ (84. სარტრე), ერმახი - აკალე (58. ჟემაა), რუდე, ბედიმო - ედუარდო.

**გოლები:** 1:0 დია (43), 2:0 დია (45), 3:0 ჰაჯი (60), 4:0 დია (61), 5:0 ბერენგერი (68), 5:1 ჟემაა (94-პენ)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 18-15; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 17-7 (7-1); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 16 231

**პსჟ-ბულონი 3:0**

**პსჟ (4-4-2):** ედელი - ჟალე, კამარა, ტრაორე, არმანი - ჟიული (62. მორისი), მაკელელე (82. ნგოი), კლემანი, სესენიონი (63. შანტომი) - ოარო, კეჟმანი.

**ბულონი (4-3-3):** ბედენიკი - ლეკოინტი, ბელაი, სუმარე, ლევეკი - მარკი, აგუაზი (74. მუსილუ), დიუკატელი - კაპო (31. პერინელი), იატაბარე, კუვილიე (46. ტილი).

**გოლები:** 1:0 ლეკოინტი (26-საკ. კარში), 2:0 ოარო (36-პენ), 3:0 კეჟმანი (80)

**გაძევება:** სუმარე (28. ბულონი)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 6-0; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 20-4 (6-0); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 0 (უმაყურებლოდ)

**ტულუზი-ნიცა 0:2**

**ტულუზი (4-2-3-1):** ბლონდელი - ნუნკეუ, სეტო, კონგრე, მბენგე - კაპუე (64. ჟინიაკი), სირიეი (46. მაშადო) - ბრაატენი, სისოკო, ტაბანუ (46. მანსარე) - კაზიმ რიჩარდსი.

**ნიცა (4-2-3-1):** ოსპინა - კულიბალი, აპამი, სიველი, გასე - დიგარი (75. ემუაფნი), ელბიკი - ბენ საადა (57. საბლე), ფაე, მუნიე - ბაგაიოკო (82. მულუნგუი).

**გოლები:** 0:1 მუნიე (41), 0:2 მულუნგუი (84)

**გაძევება:** მანსარე (56. ტულუზი)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 7-9 (0-4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 16 253

**ლილი-მონპელიე 4:1**

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - დებიუში, რამი, ჩედჯუ, ბერია - ბალმონი (84. დიუმონი), მავუბა, კაბაიე - ჰაზარდი, ფრო (77. ტურე), ჟერვინიო (80. ობრანიაკი).

**მონპელიე (4-3-3):** ჟურდრენი - ბოკალი (81. ბენჰამიდა), იანგამბივა, ელ-კაუტარი, ჟენშამი - მარვო (61. აიტ-ფანა), პიტო, კოშტა - კამარა (70. კოიტა), მონტანიო, ბელჰანდა.

**გოლები:** 1:0 ჟერვენიო (17), 1:1 კამარა (46), 2:1 კაბაიე (54-პენ), 3:1 ფრო (58), 4:1 ტურე (79)

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 17-20; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 17-7 (8-2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 16 545

**მონაკო-ოსერი 0:0**

**მონაკო (4-2-3-1):** რუფიე - მოდესტო, მონგონგუ, პიუგრენიე, ტრაორე - პერესი, მანგანი - პინო (65. მააზუ), ალონსო, ნენე - პარკი.

**ოსერი (4-4-2):** სორენი - ენგბარი, კულიბალი, მინიო, გრიხტინგი - ოლიეჩი, დუდკა, ნდინგა (77. შაფნი), ბირსა - ნიკულაე, ჟელენი (81. კონტუტი).

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 18-12; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 9-12 (1-1); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 2 500

**ვალანსიენი-ბორდო გადაიდო**

**სოშო-მარსელი გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 28 | 17 | 5 | 6 | 46-23 | 56 |
| 2. მონპელიე | 30 | 17 | 5 | 8 | 41-34 | 56 |
| 3. ოსერი | 30 | 16 | 8 | 6 | 30-24 | 56 |
| 4. ლილი | 30 | 16 | 6 | 8 | 56-32 | 54 |
| 5. ლიონი | 30 | 15 | 9 | 6 | 49-31 | 54 |
| 6. მარსელი | 28 | 15 | 8 | 5 | 50-30 | 53 |
| 7. რენი | 30 | 14 | 7 | 9 | 45-29 | 49 |
| 8. ლორიანი | 30 | 13 | 7 | 10 | 44-31 | 46 |
| 9. მონაკო | 30 | 13 | 6 | 11 | 32-33 | 44 |
| 10. ვალანსიენი | 29 | 12 | 5 | 12 | 40-41 | 41 |
| 11. პსჟ | 30 | 11 | 7 | 12 | 42-33 | 40 |
| 12. ნანსი | 30 | 11 | 6 | 13 | 38-43 | 39 |
| 13. ტულუზი | 30 | 10 | 8 | 12 | 29-28 | 38 |
| 14. სოშო | 28 | 10 | 6 | 12 | 23-35 | 36 |
| 15. ლანსი | 30 | 9 | 8 | 13 | 27-37 | 35 |
| 16. ნიცა | 30 | 10 | 5 | 15 | 31-45 | 35 |
| 17. სტ. ეტიენი | 30 | 7 | 8 | 15 | 20-38 | 29 |
| 18. ბულონი | 30 | 5 | 8 | 17 | 22-50 | 23 |
| 19. ლე მანი | 29 | 5 | 6 | 18 | 26-46 | 21 |
| 20. გრენობლი | 30 | 3 | 6 | 21 | 20-48 | 15 |

**ბომბარდირები:** 15 - ნიანგი (მარსელი); 13 - ნენე (მონაკო); 12 - გამეირო (ლორიანი), ჟერვინიო (ლილი), ერდინგი (პსჟ), ასამოა გიანი (რენი), ლოპესი (ლიონი); 11 - ფრო (ლილი), რემი (ნიცა); 10 - მონტანიო (მონპელიე), ჟელენი (ოსერი).

### ლიგა 2

### XXX ტური

**ვანი-კაენი 0:3**

**გოლები:** 0:1 ელუშანი (21), 0:2 ელუშანი (25), 0:3 ელ არაბი (59)

**ტური-სტრასბური 2:0**

**გოლები:** 1:0 ჟირუ (51), 2:0 ბელლაზუანი (57)

**ნიმი-აიაჩო 2:0**

**გოლები:** 1:0 აიტე (65), 2:0 აიტე (77)

**ისტრი-კლერმონი 1:3**

**გოლები:** 1:0 დუმბია (15), 1:1 აკვინი (43), 1:2 ბრაჰიმი (75), 1:3 ჰამდანი (90)

**გაძევება:** ნაჯიჰი (62. კლერმონი)

**დიჟონი-არლი 1:1**

**გოლები:** 0:1 სუპრაიენი (51-საკ. კარში), 1:1 კიტამბალა (59)

**ბასტია-სედანი 2:0**

**გოლები:** 1:0 პენტეკო (14), 2:0 პენკო (55)

**მეცი-შატორუ 0:0**

**ლავალი-ნანტი 0:1**

**გოლი:** 0:1 ბეკამენგა (35)

**გაძევება:** დარშევილი (45. ნანტი)

**ბრესტი-ანჟერი 2:0**

**გოლები:** 1:0 აპანგა (16), 2:0 სოკრიე (43)

**გაძევება:** რუ (62. ბრესტი), შარბონიე (66. ანჟერი)

**ლე ავრი-გენგამი 2:1**

**გოლები:** 1:0 ჟოვიალი (43), 2:0 ჟოვიალი (58), 2:1 ჟილმარი (90)

**გაძევება:** კონე (60. გენგამი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაენი | 30 | 16 | 11 | 3 | 44-22 | 59 |
| 2. ბრესტი | 30 | 16 | 7 | 7 | 42-26 | 55 |
| 3. მეცი | 30 | 12 | 11 | 7 | 36-31 | 47 |
| 4. ნიმი | 30 | 12 | 9 | 9 | 33-35 | 45 |
| 5. ლე ავრი | 30 | 12 | 8 | 10 | 35-35 | 44 |
| 6. არლი | 30 | 11 | 10 | 9 | 34-33 | 43 |
| 7. ანჟერი | 30 | 11 | 9 | 10 | 36-35 | 42 |
| 8. ლავალი | 30 | 9 | 14 | 7 | 40-32 | 41 |
| 9. ტური | 30 | 10 | 11 | 9 | 42-39 | 41 |
| 10. კლერმონი | 30 | 11 | 7 | 12 | 38-35 | 40 |
| 11. აიაჩო | 30 | 11 | 7 | 12 | 33-32 | 40 |
| 12. სედანი | 30 | 9 | 12 | 9 | 38-37 | 39 |
| 13. დიჟონი | 30 | 8 | 14 | 8 | 34-34 | 38 |
| 14. ნანტი | 30 | 10 | 8 | 12 | 34-40 | 38 |
| 15. სტრასბური | 30 | 8 | 12 | 10 | 35-38 | 36 |
| 16. ვანი | 30 | 7 | 12 | 11 | 31-40 | 33 |
| 17. შატორუ | 30 | 7 | 11 | 12 | 38-45 | 32 |
| 18. გენგამი | 30 | 6 | 13 | 11 | 26-33 | 31 |
| 19. ისტრი | 30 | 7 | 9 | 14 | 25-44 | 30 |
| 20. ბასტია | 30 | 6 | 7 | 17 | 32-41 | 25 |

**ბომბარდირები:** 20 - ჟირუ (ტური); 18 - მოდესტე (ანჟერი); 12 - რუ (ბრესტი); 11 - ფოვერჟი (სტრასბური), რიბასი (დიჟონი), ანდრე (ბასტია); 10 - აიტე (ნიმი), ალარი (სედანი).




ვესტ ჰემი

# ძოლამ დარჩენა... ცაში გადაწყვიტა

დღეს **ჯანფრანკო ძოლა** „ვესტ ჰემის" მეპატრონეებს ეტყვის, რომ ის მწვრთნელის თანამდებობაზე დარჩენასა და ბოლომდე ბრძოლას აპირებს. აპტონპარკელთა თავკაცი შაბათ საღამოს, „სტოკთან" 0:1 დამარცხების შემდეგ მშობლიურ იტალიაში, კერძოდ კუნძულ სარდინიაზე გადაფრინდა, სადაც ჩანაფიქრის თანახმად უნდა დაესვენა და თან მოეფიქრებინა, გააგრძელებდა თუ არა გუნდთან ერთად პრემიერლიგაში დარჩენისთვის ბრძოლას. ლონდონში ელოდნენ, რომ ძოლას ფიქრისთვის რამდენიმე დღე მაინც დასჭირდებოდა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა: შინ ჩასულმა სპეციალისტმა ბავშვობის მეგობრებს უთხრა, რომ ბრძოლის ბოლომდე გაგრძელება აქვს გადაწყვეტილი.

მოგეხსენებათ, „სტოკთან" დამარცხება „ჩაქუჩებისთვის" ზედიზედ მეექვსე გახლდათ. გუნდი გავარდნის ერთ-ერთი პირველი კანდიდატთაგანია. ჩავხედოთ ცხრილს - „ვესტ ჰემს" 27 ქულა აქვს და „ჰალზე" ზევით მხოლოდ და მხოლოდ გატანილ-გაშვებულთა უკეთესი ბალანსის გამოა - ჩემპიონატი დღეს რომ დამთავრდეს, ძოლა და მისი გუნდი გადარჩებოდნენ, „ჰალი" კი გავარდებოდა.

შაბათს, როდესაც მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ძოლას ჰკითხეს აპირებდა თუ არა გადადგომას, მან უპასუხა: *„თუ პრობლემა მე ვარ, რატომაც არა, გადავდგები. ეს ყველაფერი კარგად უნდა მოვიფიქრო. ფეხბურთელები მთელი მონდომებით თამაშობენ, ასე რომ, ახლა გასარკვევია, შემიძლია თუ არა მათი დახმარება".*

ამბობენ, რომ გუნდში დარჩენისა და ბოლომდე ბრძოლისკენ ძოლას



ჯანფრანკო ძოლა გადარჩენისთვის ბოლომდე იბრძოლებს

კლუბის მეპატრონეების **დევიდ სალივანისა** და **დევიდ გოლდის** განცხადებამ უბიძგა. რაოდენ მოულოდნელი უნდა იყოს, ბიზნესმენთა წყვილმა მწვრთნელს მხარი კვირასაც დაუჭირა, თუმცა ამავე ჭკუაზე იქნებიან თუ არა იმ შემთხვევაში, თუკი „ვესტ ჰემი" ზედიზედ მეშვიდედაც წააგებს - შემდეგი თამაში „ჩაქუჩებს" სტუმრად აქვს „ევერტონთან" - ამწუთას ვერავინ იტყვის.

ძოლა კი, როგორც გითხარით, სარდინიაზე დაბრუნდა. ის გამოცდილი პილოტია და დარდს ზეცის სერვაში აქარვებს. შინ, შოტლანდიაში წავიდა ძოლას ასისტენტი **სტივ კლარკი**. რამდენიმედღიანი დასვენება აქვთ ზედიზედ ექვსი თამაშის წამგებ ფეხბურთელებსაც. როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, გოლდი და სალივანი ძოლას სეზონის დამთავრებამდე არ მოხსნიან, რადგან, საამისოდ სწორი მომენტის შერჩევა სურთ. სალივანმა ასე განაცხადა:

*„მისტერ ძოლა სარდინიაზე გაემგზავრა. მან ფეხბურთელებს სამდღიანი დასვენება მისცა. ვარჯიშები ოთხშაბათს განახლდება, მანამდე კი ბიჭები „ევერტონთან" თამაშის წინ დაისვენებენ და გახალისდებიან. რაც შეეხება გადადგომას... მწვრთნელს გუნდის შემდეგი თამაშისთვის მომზადებაზე უარი რომ ეთქვა, „ვესტ ჰემის" დირექტორატი გაოცებული დარჩებოდა. ჩვენ, შაბათს, თამაშის შემდეგ, მასთან ძალიან მეგობრული შეხვედრა გვქონდა და ამ შეხვედრის დროს მას არსად გაქცევის სურვილი არ გამოუთქვამს".*

ერთი სიტყვით, მიმომხილველებმა დაასკვნეს, რომ რაც უნდა მოხდეს სეზონის დარჩენილ დროში, გოლდი და სალივანი ძოლას მომხსნელები ზაფხულამდე არ არიან. აი, ზაფხულში კი, „ჩაქუჩებს", სავარაუდოდ, ახალ მწვრთნელს დაუნიშნავენ. ძოლას შესაძლო შემცვლელების ძებნა დაწყებულია. ცნობილი გახდა, რომ ზემოხსენებული კლარკისთვის უკვე უკითხავთ, თუ ძოლა თანამდებობიდან წავა, მის თანამდებობას თუ შეითავსებო.

შაბათის დამარცხების შემდეგ გუნდის ეგვიპტელმა ფეხბურთელმა **მიდომ** თქვა: *„ჩვენ „სტოკთან" ძალ-ღონე არ დაგვიშურებია, მაგრამ მონდინებამ შედეგი არ გამოიღო და ამან საშინლად დაგვწყვიტა გული. მეორე მხრივ კი გასახდელში ბიჭებს სახეზე რომ შევხედე, ვიგრძენი, რომ ჩემ წინ პრემიერლიგიდან გავარდნილი და დამარცხებული ხალხი არ იჯდა".*

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფლეტჩერი სქოულზამდე ამაღლდა

ზაფხული რომ მოვა **დარენ ფლეტჩერი** „მანჩესტერ იუნაიტედის" წარმომადგენლებთან ახალი კონტრაქტის შესახებ დაიწყებს მოლაპარაკებას. ამბობენ, რომ მოლაპარაკების საგანი კვირაში 80 ათასი ფუნტის ტოლფასი გასამრჯელო იქნება.

თუმცა, ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ გაზრდილ ჯამაგირს ფლეტჩერი ითხოვს, „იუნაიტედის" აღმასრულებლები კი წინააღმდეგნი არიან და მოლაპარაკებების დროს დავაა მოსალოდნელი. პირიქით, ბოლო დროს ფლეტჩერი ისე კარგად ათამაშდა, რომ ინგლისის ჩემპიონთა დირექტორატს თავადვე სურს ფეხბურთელს ამაგი დაუფასოს და ხელფასი გაუზარდოს - სხვათა შორის, ის, რომ ფლეტჩერი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდა და ჯამაგირის გაზრდა სჭირდება, სერ **ალექს ფერგიუსონის** იდეა ყოფილა. დღეისათვის ხსენებული ნახევარმცველის შემოსავალი წელიწადში 3 მილიონი ფუნტი გახლავთ და მოქმედი კონტრაქტის თანახმად „მანჩესტერ იუნაიტედთან" კიდევ ორი წელიწადი აკავშირებს, მაგრამ მალე მას ახალ სახელფასო სქემაში ჩასვამენ.

აღსანიშნავია, რომ ნახევარდაცვაში ფლეტჩერის მეწყვილე, **მაიკლ ქერიკი** უკვე იღებს კვირაში 80 ათასს და ზედაც კარგა ბლომად სარეკლამო იმიჯისას ამატებს. ასეთივე პირობებზეა **პოლ სქოულზი**. თუ გუნდის აშკარად გამოკვეთილ ლიდერს **უეინ რუნის** არ ჩავთვლით, ამ სეზონში, შოტლანდიის ნაკრების კაპიტანი ფლეტჩერი ყველაზე სტაბილური და თანამიმდევრული მანჩესტერელია. მან, გასულ წელიწადს, დისკვალიფიკაციის გამო ჩემპიონთა ლიგის ფინალი გამოტოვა, მაგრამ ამ სეზონში განუზომლად ძლიერად თამაშობს. ნოემბერში „ევერტონის" კარში კარიერაში თავისი ერთ-ერთი ულამაზესი გოლიც გაიტანა.

პრემიერლიგა

ტურის მიმოხილვა



ფერნანდო ტორესი და მისი თანაგუნდელები ეფექტური გოლით ხარობენ

# ტორესი და მისი საქმე

**ფერნანდო ტორესმა** „სანდერლენდს" ორი ფანტასტიკური გოლი გაუტანა, რაც ინგლისურმა საფეხბურთო მედიამ და საზოგადოებამ პრემიერლიგის მეოთხე ადგილისთვის მებრძოლი კონკურენტების გაფრთხილებად აღიქვა - კიდევ უფრო მეტს დარჩენილ შეხვედრებში უნდა ველოდეთ. მოგეხსენებათ, ამ სეზონში ესპანელი ვარსკვლავი ტრავმებმაც არ დაინდო, მაგრამ ეს არად ჩათვალა და აგერ, მიმდინარე სეზონში, ყველა შეჯიბრებაში ერთად გატანილი გოლების რაოდენობა ოცამდე გაზარდა. მათგან პრემიერლიგაში გატანილი თვრამეტია. დამარცხებულ სანდერლენდელთა მწვრთნელმა **სტივ ბრუსმა** მას შეუჩერებელი უწოდა, თავად „ელ ნინიომ" კი თქვა:

*„უკეთესი გოლებიც გამიტანია, რომელთა ბადალს, იმედი მაქვს, მომავალში კიდევ გავიტან. ეს ჩემი საქმეა, ჩემი პროფესია. როგორც ახლა, შემდგომ თამაშებშიც უნდა გავიდე მოედანზე და გოლები შევყარო. აშკარაა, სეზონის ბოლო მონაკვეთი ჩვენთვის გაცილებით იღბლიანია და გამარჯვებებისთვის წინ კიდევ ექვსი შეხვედრა გვაქვს. ძალიან მნიშვნელოვანია, სტუმრადაც ისეთივე ძლიერები ვიყოთ, როგორებიც შინ. „სანდერლენდთან" ყველამ ნახა, რომ „ლივერპული" პირველივე წუთიდან სულ სხვა გუნდი იყო. ეს „ლივერპული" და ის, რომელმაც სეზონი დაიწყო, დამეთანხმებით, სხვადასხვაა. ჩვენ საკუთარ ძალებში დარწმუნებულები ვართ. ახლა, ისღა დაგვრჩენია, ყველა დარჩენილი თამაში მოვიგოთ და ვნახოთ, ბოლოს რა გამოვა".*

ვინც „ლივერპულისა" და „სანდერლენდის" თამაში ნახა შევახსენებთ, რომ ტორესმა მერსისაიდელთა სამი გოლიდან თავისი ორი **გლენ ჯონსონის** გოლამდე და მერე შეაგდო. კაცმა რომ თქვას, მერსისაიდელებს უამრავი ხელსაყრელი მომენტი რომ არ გაეშვათ ხელიდან, სტივ ბრუსის გუნდი უფრო დიდი ანგარიშითაც დამარცხდებოდა. ტორესმა ერთ ეპიზოდში ძელსაც გაარტყა ბურთი. დამარცხებულთა მწვრთნელმა თქვა:

*„არის დღეები, როდესაც უნდა აღიარო, რომ შენზე ძლიერმა გუნდმა დაგამარცხა. როდესაც ტორესი და სტივენ ჯერარდი ასეთ განწყობაზე არიან, მათ წინააღმდეგ თამაში ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის ურთულესი საქმეა. ტორესის პირველი გოლი ხომ დიდებული იყო. ეს ბიჭი შეუჩერებელია. მითხარით ვინმემ, როგორ უნდა შეუშალო მას გოლის გატანაში ხელი"?*

ფეხბურთელობისას ბრუსი „მანჩესტერ იუნაიტედში" გამოდიოდა და „ენფილდ როუდიდან" შინ ხშირად გაკენწლილ-გალანძღული ბრუნდებოდა. ახლაც მოისმინა ბრუსმა ნაცნობი შეძახილი, რომლის შინაარსი ქართულად ასეთია: თავი პლაჟის ბურთს მიგიგავსო, - მაგრამ ახლა „სანდერლენდის" თავკაცს ამაზე მხოლოდ ეცინება:

*„ეს შეძახილი ძალიან მომწონს, თუმცა, გაზეთებშიც რომ ბეჭდავენ, არ მსიამოვნებს. სხვა რა გზაა, ტრიბუნების შეძახილები მშვიდად უნდა მივიღო, დიდი-დიდი წამალი მივაყოლო. და კიდევ, უნდა ვცადო შემდეგზე „ენფილდზე" უფრო პატარა თავით მოვიდე".*

# ჯეიმი 620

**„დეილი მეილის" მიმომხილველი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და „ტოტენჰემ ჰოთსპურის" მწვრთნელ ჰარი რედნაპის ვაჟი ჯეიმი რედნაპი შაბათ-კვირის საფეხბურთო ამბების ტრადიციულ მიმოხილვას გვთავაზობს. ყველა იმ ინგლისურ ამბავს, რომელიც მისი აზრით გასულ უქმეებზე ჩვენს ყურადღებას იმსახურებდა, ის ქვეთავებით გამოჰყოფს და ჩვენც მის ნააზრევს გთავაზობთ.**

## საბედისწერო ფრენკი

გასული ტურის გმირი უთუოდ ფრენკ ლემპარდია. გასულ კვირაში მან ხუთი გოლი გაიტანა, რომელთაგან ოთხი შაბათს ერთ შეხვედრაში შეაგდო. დიდებულია: ის გახლავთ ნახევარმცველი, რომელსაც ყოველ სეზონში 20 გოლი გააქვს. მისი სათამაშო სტილი უკიდურესად თანამედროვეა. თან, ის განლაგება, რომლითაც „ჩელსი" თამაშობს, მას გოლების გატანაში მაქსიმალურად უწყობს ხელს. ის **ნიკოლა ანელკას** უკნიდან მოქმედებს და ეს საშუალებას აძლევს, მოულოდნელად დაესხას ხოლმე თავს მოწინააღმდეგის კარს, საჯარიმო მოედანში შევარდეს.

## განსაკუთრებული ჯეიმი

კვირას, **ფერნანდო ტორესმა** საოცარი სილამაზის გოლი გაიტანა და დაამტკიცა, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ საუცხოო ფორმაში ჩადგა - ოთხ შეხვედრაში შვიდი შეაგდო - მაგრამ „ენფილდ როუდზე" ჩემს ფავორიტად ჩემი ძველი მეგობარი **ჯეიმი კარაგერი** რჩება. იმ დღეს ჯეიმიმ „ლივერპულის" შემადგენლობაში 620-ე შეხვედრა ჩაატარა! ასე და ამგვარად, კარაგერი მერსისაიდელთა ერთგულების სიაში **ალან ჰანსენს** გაუტოლდა. ასეთ ფეხბურთელს ბევრი გუნდი მხოლოდ თუ ინატრებს, არა?

## ღვინისფერი და ცისფერი

ყველა იმ გუნდისთვის, ვისაც ფორმაში ღვინისფერი და ცისფერი ურევია, საშინელი ტური იყო. „ასტონ ვილასთვის" უბრალოდ გამანადგურებელი, მაგრამ „ბარნლისა" და „ვესტ ჰემისთვისაც" საკმაოდ საძაგელი. **ჯანფრანკო ძოლას** გამო ძალიან მწყდება გული. ვუყურებდი მას აუტის ხაზთან და განადგურებულ კაცს ვხედავდი. ასეა, თუ „ვესტ ჰემი" ვეღარ იგებს, ის „აპტონ პარკზე" აღარავინაა. იმედი მაქვს, ამ კვირას იტალიაში დაისვენებს და ახალი ენერგიით აღვსილი დაბრუნდება. ის ისეთი ბიჭია, ვისაც ყველა წარმატებას უსურვებს.

## გამარჯვებული პერდიუ

პირველ ლიგაში გავარდნილი „საუთჰემპტონის" თავკაცი **ალან პერდიუ** ორი საშინელი წელიწადის შემდეგ ჩვეულ მდგომარეობას უბრუნდება. დიახ, „საუთჰემპტონს" სატრანსფერო ბაზარზე დასახარჯად გარკვეული თანხაც ჰქონდა და ეს ფული უაზროდაც არ გაუფლანგავს. ამ კლუბმა იცის, როგორ უნდა იმოქმედოს ბაზარზე, რა შეეფერება და რა აღემატება მის ძალებს. ეს ამბავი ფანებმაც კარგად იციან. სხვათა შორის, „საუთჰემპტონს" ფანები არ აკლია: ბოლოს „უემბლიზე" რომ იყვნენ, მის მხარდასაჭერად 44 ათასი კაცი მივიდა! ერთი სიტყვით, კარგ მწვრთნელს შესაფერისი ბიჭები ჰყავს და ვინ იცის, თანდათანობით აღმასვლაც დაიწყონ.

## ფრთხილად დინ-ამიტია

როდესაც ფეხბურთელი ფორმიდან ამოვარდება და ზედიზედ ცუდად თამაშობს, მოედანზე აღარ უშვებენ ხოლმე. ფორმიდან ამოვარდნილ მსაჯებს როგორღა ეპყრობიან? **მაიკ დინზე** მოგახსენებთ, რომელსაც აგერ უკვე რა ხანია შეცდომა შეცდომაზე მოსდის. იგივე განმეორდა ბარნლიში, „ბარნლისა" და „ბლექბერნის" შეხვედრაში. მოკლედ, დინი ტურს არ აგდებს: წინაზე სტოკში შეცდა უხეშად. მერედა, ეს ექსცენტრიკული ჟესტიკულაცია რაღაა?

## კეროლი ფორმაშია

**ენდი კეროლი** კარგ ფორმაშია. მოედნის გარეთ, შესაძლოა, თანაგუნდელთან ამასწინანდელი ჩხუბის დროს ერთი-ორი მასაც მოხვდა, მაგრამ მოედანზე მოუხელთებელია. მას გოლებიც გააქვს და თანაგუნდელებს პრემიერლიგაში დაბრუნებისკენაც შთამბეჭდავად მოუწოდებს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## სპილოებს ერიქსონი გაწვრთნის

კოტდივუარული ფეხბურთის მამებს თავიანთი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში **გუუს ჰიდინკის** დანიშვნა არ გამოუვიდათ და საბოლოოდ, პოსტი **სვენ-გორან ერიქსონს** შესთავაზეს. მოლაპარაკებები დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც ამბობენ, შვედი სპეციალისტი „სპილოების" მუნდიალზე წაყვანას იოლად დათანხმდა.

კოტდივუარელები იმედოვნებენ, რომ გამოცდილი სპეციალისტის ხელმძღვანელობით მუნდიალზე დიდ წარმატებას მიაღწევენ. არადა, ამის გაკეთება საკმაოდ რთული იქნება, რადგან ჯგუფში **დროგბასა** და კომპანიის მეტოქეები ბრაზილია, პორტუგალია და ჩრდილოეთი კორეა იქნებიან.

აფრიკელთა მიზანი მინიმუმ მერვედფინალის საგზურის მოპოვებაა. წინა მუნდიალზე „სპილოებმა" საკმაოდ მაღალ დონეზე იასპარეზეს, მაგრამ არგენტინასა და ჰოლანდიასთან ვერას გახდნენ და ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახეს.

ერიქსონის თქმით, მისთვის დიდი სიამოვნებაა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე კიდევ ერთხელ გასვლა. მან იმედი გამოთქვა, რომ ახალ გუნდთან ერთად ხანგრძლივად და ნაყოფიერად იმუშავებს. ჯერჯერობით, უცნობია, ერიქსონი კოტ დივუარის ნაკრებს მხოლოდ სამხრეთ აფრიკაში უხელმძღვანელებს და მათთან ამის შემდეგაც ითანამშრომლებს.

ერიქსონმა ამ პოსტზე ბოსნიელი **ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი** შეცვალა, რომელსაც აფრიკის ერთა თასზე წარუმატებელი გამოსვლა არ აპატიეს. შვედისთვის კი ეს მესამე მუნდიალი იქნება. შეგახსენებთ, 2002 და 2006 წლებში იგი მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრებთან ერთად იყო და ბრძოლას ორჯერვე მეოთხედფინალიდან გამოეთიშა.

## დიეგოს ტრავმა, ბეტეგას სასჯელი

სერია A-ს მომდევნო ტურში „იუვენტუსს" „უდინეზესთან" შეხვედრაში **დიეგო** დააკლდება. 25 წლის ბრაზილიელმა ფლეიმეიქერმა „ატალანტასთან" მატჩის პირველ ტაიმში ფეხის კუნთი დაიჭიმა და შესაცვლელი შეიქნა. როგორც სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, დაზიანება საგანგაშო არაა, მაგრამ შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად, დიეგოს რამდენიმედღიანი პაუზა მაინც სჭირდება.

კრიზისში მყოფი „ბებერი ქალბატონის" საკადრო პრობლემები ამით არ ამოიწურება. „უდინეზესთან" თამაშს ვერც „იუვენტუსის" მცველი **ჯორჯო კიელინი** შეძლებს.

„იუვენტუსის" დირექტორი **რობერტო ბეტეგა** კი 20 აპრილამდეა დისკვალიფიცირებული. ამ დრომდე მას იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ყველა ტურნირში მონაწილეობა აკრძალული აქვს. ბეტეგა ასე მკაცრად იმიტომ დასაჯეს, რომ „ატალანტასთან" მატჩისას არბიტრი სიტყვიერად შეურაცხყო.

## კაკაუ წასვლას აპირებს

„შტუტგარტის" თავდამსხმელი კაკაუ ამ ზაფხულს, ალბათ, კლუბს შეიცვლის. ბრაზილიელ ფორვარდს, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ გერმანიის ნაკრებში ჰქონდა დებიუტი, შვაბებთა კონტრაქტი სეზონის დასრულებისთანავე ეწურება და შეეცდება, ისეთი კლუბი მოძებნოს, რომელიც ამჟამინდელზე უკეთეს ფინანსურ პირობებს შესთავაზებს. კაკაუს გადაწყვეტილების მიზეზი ისიცაა, რომ „შტუტგარტი" მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე ვერ ითამაშებს. იგი უპირატესობას იმ კლუბს მიანიჭებს, რომელიც უპრესტიჟულესი ევროტურნირის საგზურს მოიპოვებს.

კაკაუს მსურველთა შორის ძირითადად, გერმანულ კლუბებს ასახელებენ: „შალკეს", „ვერდერს", „ვოლფსბურგსა" და „ჰოფენჰაიმს". თუმცა არც ისაა გამორიცხული, მან კარიერა სხვა ქვეყანაში გააგრძელოს. მაგალითად, ესპანურ პრესაში დაიწერა, რომ „ვალენსიაში" კაკაუ დავიდ ვილიას შემცვლელად ესახებათ.

კაკაუმ ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში 20 მატჩი ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა, გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში კი 4-ჯერ ითამაშა და გოლების ანგარიში ჯერ არ გაუხსნია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სერია A

ტურის გამოხმაურება

# ლეონარდო თავისას არ იშლის



ლეონარდო ბოლომდე იბრძოლებს

„მილანმა" კიდევ ერთხელ გააწბილა გულშემატკივრები, უმნიშვნელოვანეს პაექრობაში „ლაციოს" ვერაფერი მოუხერხა და მხოლოდ ქულას დასჯერდა. არადა, ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერის დამარცხების შემთხვევაში, „როსონერი" ლიდერთან სხვაობას მინიმუმამდე შეამცირებდა და ამით, სასკუდეტო მარათონს კიდევ უფრო საინტერესოს გახდიდა. „მილანი" ინარჩუნებს ჩემპიონობის შანსს, მაგრამ დღეს ეს შანსი გაცილებით მცირეა, ვიდრე თუნდაც ორიოდე კვირის წინ. მართალია, „მილანმა" „ინტერთან" ქულათა სხვაობა ოთხიდან სამამდე დაიყვანა, მაგრამ სამაგიეროდ, მეორიდან მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა. ასე რომ, სკუდეტოს მოსაპოვებლად, „მავწითლებს" „ნერაძურისთან' ერთად „ჯალოროსის" გადასწრებაც მოუწევთ. ჩემპიონატის დასრულებამდე შვიდი ტურია დარჩენილი და ამოცანა რომ ერთობ რთული შესასრულებელია, თავადაც ხვდებით. ყველა სიკეთესთან ერთად, „მილანი" არ ჰგავს იმ გუნდს, რომელმაც ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლოს. გასაკვირიც კია, რომ „როსონერი" დღეს სკუდეტოს მაძიებელთა შორის გახლავთ - გუნდი აშკარად მოძველებულ, მძიმე და უსიცოცხლო ფეხბურთს თამაშობს.

„ლაციოსთან" პაექრობაში **ლეონარდომ** ახალი ტაქტიკა გამოსცადა, მან 4-4-2 გამოიყენა, თუმცა შედეგი ვერც ამან გამოიღო. ბრაზილიელის გადაწყვეტილება ლოგიკური გახლდათ, რადგან გარემარბების გარეშე მოუწია ფონს გასვლამ. **ალეშანდრე პატო** ტრავმირებულია, **რონალდინიომ** კი დისკვალიფიკაცია მოიხადა. ახალმა სქემამ ვერ იმუშავა, რაც მოსალოდნელიც იყო - ადრეც ვთქვით და კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ თუ ფეხბურთელებმა არ ირბინეს, ვერც ერთი ტაქტიკური მოდელი საქმეს ვერ გამოასწორებს. მოკლედ, „მილანმა" მორიგი უფერული მატჩი ჩაატარა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ გუნდში რეფორმების გატარებაა საჭირო. მიუხედავად ამისა, ლეონარდო არ ტყდება და აცხადებს, რომ მის გუნდს სკუდეტოს მოპოვება ჯერ კიდევ შეუძლია:

*„ბოლო შვიდ ტურში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, რადგან მიმდინარე სეზონი სიურპრიზებით არის აღსავსე. „ლაციოსთან" ურიგოდ ნამდვილად არ გვითამაშია, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერ ვივარგეთ და ეს შედეგზე აისახა. მეორე ნახევარში დიდი ძალებით შევუტიეთ და გოლთან ახლოს ვიყავით, მაგრამ ფორტუნამ აშკარად გვიმუხთლა. ეს თამაში უკვე წარსულია და მომავალზე უნდა ვიფიქროთ, არსებული ხარვეზების გამოსწორება და კიდევ უფრო მეტი მოტივაციით თამაშია საჭირო. ვფიქრობ, ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილი უკიდურესად დაძაბული იქნება - „ინტერის" მთავარ მწვრთნელს ფეხბურთელთა დიდი არჩევანი აქვს და გუნდი სამ ფრონტზე აგრძელებს ბრძოლას, „რომამ" კარგი ტემპი აკრიფა და თამაშს თამაშზე იგებს, რაც შეგვეხება ჩვენ, ნებისმიერ დროს შეიძლება ავფეთქდეთ და მოგებათა სერია გამოვაცხოთ. ასე რომ, საჩემპიონო მარათონიდან გამოთიშვას ნამდვილად არ ვაპირებთ".*

აქვე ვთქვათ იმის შესახებ, რაზეც ბოლო დღეებია იტალიურ პრესაში აქტიურად საუბრობენ - ვგულისხმობთ, **მარიო ბალოტელის** „მილანში" გადაბარგების პერსპექტივებს. როგორც იცით, მარიოს **ჟოზე მოურინიოსთან** კონფლიქტი აქვს და ფაქტობრივად მოკვეთილია გუნდიდან. ისიც გემახსოვრებათ, რომ **სილვიომ ბერლუსკონიმ** გამოთქვა ახალგაზრდა ფორვარდის გადაბირების სურვილი. „მილანის" მეპატრონემ პირდაპირ განაცხადა: თუ არ სჭირდებათ, ჩვენ წავიყვანთო. ბუნებრივია, იტალიელმა ჟურნალისტებმა ეს ამბავი აიტაცეს და საქვეყნოდ გაავრცელეს. მედიის წარმომადგენლებმა უმალ გაიხსენეს, როგორ გამოტყდა მარიო, ბავშვობიდან „როსონერის" ტიფოზი ვარო. მართალია, შემდეგ განაცხადა, გავიხუმრე, „მილანის" ქომაგი არასდროს ვყოფილვარო, მაგრამ პირველ ნათქვამს ყოველთვის უფრო მეტად დაეჯერება. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, ჟურნალისტებმა აქტიურად დაიწყეს იმაზე საუბარი, რომ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისას ბალოტელი „მილანში" ამოყოფს თავს. ეს ამბავი გუშინ ფეხბურთელის პირადმა აგენტმა უარყო და უმჯობესია, მას გადავცეთ სიტყვა:

*„ყოველდღე მირეკავენ „ინტერის" გულშემატკივრები და მეკითხებიან, მართლა გადადის თუ არა მარიო „მილანში". ყველას ვეუბნები, რომ ეს ჟურნალისტების მიერ აგორებული ჭორებია. „მილანიდან" არავინ დამკავშირებია, სატელეფონო კავშირიც კი არავისთან მქონია და წარმოდგენა არ მაქვს, საიდან ვრცელდება ასეთი ცრუ ინფორმაციები. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს კლიენტს საუკეთესო დროება არ უდგას, „ინტერიდან" წასვლის სურვილი არასდროს გამოუთქვამს".*

### ლიპი რომამ გააკვირვა

**მარჩელო ლიპი** გაკვირვებული და კმაყოფილია იმით, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა უკიდურესად დაიძაბა. ლიდერ „ინტერს", „რომა" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება და იქვეა „მილანიც', რომელიც ასევე ინარჩუნებს პირველობის შანსებს. ამით მხოლოდ გულშემატკივარი დარჩება მოგებული, აცხადებს მაესტრო და თემას შემდეგნაირად განავრცობს:

*„სატურნირო ცხრილში ბოლოს ასეთი დაძაბულობა 2001/02 წლებში იყო, მას შემდეგ კი სკუდეტოს ბედი ყოველთვის ნაადრევად წყდებოდა. ნეიტრალურ გულშემატკივარს „რომას" მიერ „ინტერის" ძლევა ძალიან გაახარებდა, რადგან ამით ინტრიგა იზრდება. იმედია, „ჯალოროსი" არც მომავალში დათმობს პოზიციებს და ჩემპიონობისთვის ბოლომდე იბრძოლებს. იგივე შეიძლება ითქვას „მილანზეც", რომელიც ბოლო დროს არცთუ დამაჯერებლად ასპარეზობს. იმედია, ლეონარდოს გუნდი მალე დაძლევს ჩავარდნას და კვლავ დაიწყებს ქულების მოგროვებას. ჩემი სურვილია, რომ სამივე გუნდმა ბოლო ტურამდე შეინარჩუნოს ჩემპიონობის შანსი".*

**ლაშა წიკლაური**

უეფას პრეზიდენტი

# პლატინი: იტალიაში ბევრს ლაპარაკობენ, საქმე კი არ კეთდება



მიშელ პლატინის მიაჩნია, რომ 25 წლის წინ იტალიური ფეხბურთი გაცილებით მაღალი დონის იყო

გასულ ტურში, „იუვენტუსმა" შინ „ატალანტას" სძლია, თუმცა ტურინელთა თამაშის ხარისხმა, რბილად რომ ვთქვათ, აშკარად უკეთესის სურვილი დატოვა. სტუმრებს აშკარად არ გაუმართლათ და თამაშის მიმდინარეობიდან გამომდინარე, მინიმუმ ფრეს იმსახურებდნენ. ნამატჩევს, ეს იტალიელმა ჟურნალისტებმა არაერთგზის აღნიშნეს და „იუვე" კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ტურინული გრანდის კრიზისზე თვით უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** გააკეთა კომენტარი:

*„ჩემი აზრით, „იუვენტუსის" მესვეურებმა არაერთი შეცდომა დაუშვეს, რამაც გუნდი ასეთ შედეგამდე მიიყვანა. ჯერ კიდევ მაშინ შეცდნენ, როდესაც გუნდიდან დიდიე დეშამი გაუშვეს. უფრო მეტად აღარ დავკონკრეტდები, რადგან კლუბებში არსებული ვითარების განხილვა ჩემი პრეროგატივა არ არის. იმედია, „იუვე" მალე დააღწევს თავს კრიზისს და ძველებურად ათამაშდება. ამ გუნდში წლების განმავლობაში ვიასპარეზე და ბუნებრივია, რომ ვგულშემატკივრობ კიდეც. შეუძლებელია ისეთ გუნდს, როგორიც „ბიანკონერია", ასეთი მძიმე ჩავარდნა დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდეს".*

პლატინიმ ზოგადად იტალიურ ფეხბურთზე ისაუბრა და ამ შემთხვევაშიც კრიტიკული პოზიცია დააფიქსირა:

*„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ იტალიურ ფეხბურთში მოღვაწე ადამიანები, გაცილებით მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე საქმეს აკეთებენ. სულ კამათია, პოლემიკა, პრობლემების გადაჭრის გზები ისახება და ასე შემდეგ. თუმცა, რეალური საქმე ჯერჯერობით არ ჩანს. კარგი იქნება თუ ნაკლებს ილაპარაკებენ, საქმე კი მეტი გაკეთდება. ბუნებრივია, ეს ყველას არ ეხება - არიან პროფესიონალებიც, რომლებმაც თავისი საქმე იციან. იტალიური ფეხბურთიდან 25 წლის წინ წამოვედი, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს დროს, სერია A გაცილებით უფრო მაღალი დონის ტურნირი იყო. ვიტოვებ იმედს, რომ იტალიური საკლუბო ფეხბურთი ძველ სიმაღლეს დაუბრუნდება".*

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამხრეთი კორეა

**სამხრეთი კორეა მსოფლიოს ჩემპიონატების უცვლელი მონაწილე გახდა - აზიური ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერი ზედიზედ მეშვიდედ გავიდა პლანეტის პირველობის ფინალურ ეტაპზე (ეს სერია 1986 წლიდან იღებს სათავეს).**



თუმცა წინა ექვს შემთხვევაში კორეელებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს ჯგუფური ეტაპიდან გაღწევა - ეს 2002 წელს „საშინაო" ჩემპიონატზე მოხდა, სადაც სამხრეთმა კორეამ **გუუს ჰიდინკის** მეცადინეობით სენსაციურად მეოთხე ადგილი დაიკავა. მანამდე და შემდეგ ვერც **დიკ ადვოკაატმა** და ვერც **ანტოლი ბიშოვეცმა** ვერ შეძლეს თუნდაც მიახლოებული შედეგის ჩვენება. თუმცა სამხრეთ აფრიკაში აზიელებს აქვთ ჯგუფიდან გასვლის შანსი და აქ საქმე მხოლოდ ვეფხვის წელიწადში არ არის. არც 1986 წელს და არც 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კორეელებს ამ ცხოველმა დახმარება ვერ გაუწია.

სამხრეთ კორეას ასეთი ძლიერი გუნდი 2002 წლის შემდეგ არ ჰყოლია. აზიელთა ნაკრებს ზედიზედ 27-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა. დაუმარცხებლად განვლეს მათ აზიის შესარჩევი ტურნირი, სადაც მთავარ მეტოქედ ჩრდილოელი მეზობელი - კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა ჰყავდათ. მხოლოდ გასული წლის ნოემბერში შეძლო სერბეთის ნაკრებმა სამხრეთი კორეის ამ ბრწყინვალე სერიის შეწყვეტა. ასეთი შთამბეჭდავი გამოსვლის მთავარი შემოქმედი „კორეელ ჯადოქრად" შერაცხული, 55 წლის მწვრთნელი **იუნ-მუ ჰუ** გახდა, რომლის განკარგულებაში ბევრი ძლიერი მოთამაშეა, მათ შორის რამდენიმე ლეგიონერი.

კორეელებს სურდათ, რომ მათი გუნდისთვის მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე უცხოელ მწვრთნელს ეხელმძღვანელა. მაგრამ ჰოლანდიელმა **პიმ ვერბეეკმა** ქვეყანა დატოვა, ირლანდიელ **მიკ მაკარტისთან** მოლაპარაკებები ჩიხში მოექცა, ფრანგმა **ჟერარ ულიემ** თავიდან თანხმობა განაცხადა „ვეფხვების" გაწვრთნაზე, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა. 2007 წლის დეკემბერში ცაიტნოტის პირობებში მთავარ მწვრთნელად ქვეყანაში ერთ-ერთი ავტორიტეტული სპეციალისტი და წარსულში ცნობილი ფეხბურთელი - იუნ-მუ ჰუ დაამტკიცეს. მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატზე ის ნაკრების კაპიტანი იყო (სულ ეროვნულ გუნდში 84 მატჩი ჩაატარა და 15 გოლი გაიტანა). ლეგენდარულ **ბუმ-კუნ ჩასთან** ერთად, სწორედ ჰუმ გაჭრა ფანჯარა ევროპაში, სადაც რამდენიმე სეზონი ჰოლანდიის „ეინდჰოვენის" შემადგენლობაში ითამაშა.

იუნ-მუ ჰუ პირველად არ უდგას სათავეში სამხრეთი კორეის ნაკრებს. ორჯერ ის უცხოელ სპეციალისტს შესწირეს მსხვერპლად - თავიდან რუს ბიშოვეცს და შემდეგ ჰიდინკს. სხვათა შორის, რუსმაც და ჰოლანდიელმაც ხაზი გაუსვეს წინამორბედის კარგ მუშაობას და აღნიშნეს, რომ ნაკრებში საჭირო არ იყო საქმის ნულიდან დაწყება. თუ 1994 წელს იუნ-მუ ჰუმ მშვიდად აღიქვა ნაკრებიდან წასვლა, ექვსი წლის შემდეგ გათავისუფლებამ დიდად იმოქმედა მის თავმოყვარეობაზე. მისი ხელმძღვანელობით კორეელები საკმაოდ კარგად თამაშობდნენ (32 მატჩში 18 მოგება) და იუნ-მუ ჰუმ მიიჩნია, რომ მას არასამართლიანად მოექცნენ. კორეელი იმის გამოც იყო აღშფოთებული, რომ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატება მთლიანად გუუს ჰიდინკს ჩაუთვალეს, ჰუ კი არავის გახსენებია.

ასე რომ, სამხრეთ კორეის საფეხბურთო ასოციაციას დიდი ჯაფა დაადგა ადგილობრივი სპეციალისტის ნაკრებში დასაბრუნებლად. მწვრთნელი, როგორც იქნა, დათანხმდა ეროვნულ გუნდში მუშაობას, მაგრამ ერთი პირობა წამოაყენა - მის ზურგსუკან უცხოელ მწვრთნელებთან არანაირი მოლაპარაკებები არ უნდა გამართულიყო. ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია დანაპირებს ასრულებს - ჰუს შემცვლელს არ ეძებს და მწვრთნელიც დიდი ენთუზიაზმით ეკიდება სამუშაოს. ამბობენ, რომ იუნ-მუ ჰუს გრანდიოზული გეგმები აქვს - ევროპაში იპოვოს სამუშაო და პირველი კორეელი მწვრთნელი გახდეს „ბებერი კონტინენტის" რომელიმე წამყვან ლიგაში. იყო ინფორმაციები ჰოლანდიურ კლუბებთან კონტრაქტზე. მაგრამ „ვეფხვების" მწვრთნელი ევროპაში სამუშაოს იმ შემთხვევაში ელირსება, თუ სამხრეთ კორეა წარმატებით გამოვა მსოფლიოს ჩემპიონატზე.

■ ■ ■

იუნ-მუ ჰუს განკარგულებაში ბევრი ძლიერი ფეხბურთელია და მწვრთნელს ბევრი ფიქრი მოუწევს საბოლოო არჩევანის გასაკეთებლად. კანდიდატთა შორის თითქმის ორმოცდაათი ფეხბურთელი ფიგურირებს - მათ შორის გამოცდილი მოთამაშეები, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატის სკოლა გაიარეს და ევროპაში თამაშიც მოასწრეს და ახალგაზრდა, სრულიად უცნობი ფეხბურთელები. უახლოესი საწვრთნელი შეკრებებისთვის, რომელიც სამხრეთ აფრიკასა და ესპანეთში გაიმართება, იუნ-მუ ჰუმ 25 მოთამაშე გამოიძახა - მწვრთნელმა გადაწყვიტა ამჯერად ლეგიონერების გარეშე ჩაეტარებინა წვრთნები.

მაგრამ „უცხოელების" გარეშეც სამხრეთი კორეის ნაკრებში საკმარისად არიან მნიშვნელოვანი ფიგურები. მაგალითად, 36 წლის მეკარე **ვუნ-ჟაე ლი**, რომლისთვისაც მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატი მეოთხე იქნება კარიერაში. ერთ დროს კაპიტნის სამკლავურის მფლობელი ლი ორი წლის წინ ლოთობისთვის გააძევეს ნაკრებიდან, მაგრამ მოგვიანებით ვეტერანმა ულირსი საქციელი მოინანია და ეროვნულ გუნდში ადგილი დაიბრუნა. კაპიტნის სამკლავური კი კორეის ნაკრების მთავარ ევროპელ ვარსკვლავს - „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველ **ჟი-სუნ პარკს** გადაეცა.

ევროპისთვის ცნობილი კიდევ ერთი ფეხბურთელი გახლავთ **იან-პიო ლი,** რომელიც გუუს ჰიდინკის „ეინდჰოვენში" თამაშობდა, შემდეგ „ტოტენჰემში" ცდიდა ძალებს, ახლა კი საუდის არაბეთში „ალ-ჰილალის" ღირსებას იცავს. სავარაუდოდ, ეს ვეტერანი მოხვდება საბოლოო განაცხადში, მის კონკურენტს, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს" მცველ **დონ-ჟინ კიმს** ჯერ კიდევ მოუწევს შემადგენლობაში მოსახვედრად ბრძოლა.

რუსეთის ჩემპიონატში თამაშობს კორეის ნაკრების კიდევ ერთი ვარსკვლავი **ნამ-ილ კიმი**, რომელიც „ტომის" ღირსებას იცავს. ეროვნული გუნდის ვიცე-კაპიტანს მესამე ჩემპიონატზე მოუწევს გამოსვლა. კიმს საინტერესო მეტსახელი აქვს - „ვაკუუმის მტვერსასრუტი". ეს სახელი მან 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე საიმედო გამოსვლის გამო დაიმსახურა. თავად ფეხბურთელი თვლის, რომ მის წინსვლაში ყველაზე დიდი წვლილი ჰიდინკს მიუძღვის - სწორედ ჰოლანდიელმა დაინახა შემტევ ნახევარმცველში მაღალი კლასის საყრდენი. კორეაში ამბობენ, რომ ნამ-ილ კიმს ბუზიც კი ვერ ჩაუფრენს.

ბევრს ელიან „მონაკოს" ფორვარდ **ჩუ-იან პარკისგან** და ნახევარმცველ **სუნ-იონ კისგან**, რომელსაც მეტად შთამბეჭდავი მეტსახელები აქვს - „ორმაგი დრაკონი" და „კორეელი ჯერარდი". კორეული პრესა „სელიტიკის" 20 წლის ფეხბურთელს ყველაზე ნიჭიერს უწოდებს იმათგან, ვინც კორეულ მიწაზე დაბადებულა.

წილისყრამ სამხრეთ კორეის ნაკრები B ჯგუფში გაუშვა - არგენტინის, ნიგერიისა და საბერძნეთის ნაკრებებთან. მსგავი კომპანია შეიყარა 1994 წელს ამერიკაში, თუმცა იქ კორეის ნაცვლად ბულგარეთის ნაკრები თამაშობდა, რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა ჯგუფში. „ვეფხვებს" შეუძლიათ ბერძნების ძლევა. ჯერჯერობით გაუგებარია, რას წარმოადგენს ნიგერიის ნაკრები, თუმცა „სუპერარწივებს" დაუმარცხებელი გუნდი ნამდვილად არ ჰყავთ. ამიტომაც სამხრეთი კორეის მერვედფინალში გასვლა სენსაცია სულაც არ იქნება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## სამხრეთ კორეა

სამხრეთ კორეის საფეხბურთო ასოციაცია 1928 წელს დაარსდა. ფიფა-ს წევრია 1948 წლიდან. ფიფა-ს რეიტინგში 52-ე ადგილი უკავია.

მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე პრიზიორი (2002), აზიის თასის ორგზის მფლობელი (1956, 1960)

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე შვიდჯერ ითამაშა, ჩაატარა 24 მატჩი: +4=7-13, ბურთების შეფარდება: 22-53

მთავარი მწვრთნელი: იუნ-მუ ჰუ

ნაკრების რეკორდსმენი ჩატარებული თამაშების რაოდენობით: მიუნ-ბო ჰონი (136)

ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი - ბუმ-კუნ ჩა (55)

ჯგუფური ეტაპი

12 ივნისი. ს. კორეა-საბერძნეთი (პორტ-ელიზაბეტი)

17 ივნისი. არგენტინა-ს. კორეა (იოჰანესბურგი)

22 ივნისი. ნიგერია-ს. კორეა (დურბანი)

## შესარჩევი ტურნირი

### II რაუნდი

06.02.08 ს. კორეა-თურქმენეთი 4:0 (ტაე ჰი კვაკი, კი-ჰიეონ სეოლი-2, ჟი-სუნ პარკი)
26.03.08 ჩრ. კორეა-ს. კორეა 0:0
31.05.08 ს. კორეა-იორდანია 2:2 (ჟი-სუნ პარკი, ჩუ-იან პარკი)
07.06.08 იორდანია-ს. კორეა 0:1 (ჩუ-იან პარკი)
14.06.08 თურქმენეთი-ს. კორეა 1:3 (დო-ჰეონ კიმი-3)
22.06.08 ს. კორეა-ჩრ. კორეა 0:0

### III რაუნდი

10.09.08 ჩრ. კორეა-ს. კორეა 1:1 (სუნ-იონ კი)
15.10.08 ს. კორეა-საემიროები 4:1 (კეუნ-ჰო ლი-2, ჟი-სუნ პარკი, ტაე ჰი კვაკი)
19.11.08 ს. არაბეთი-ს. კორეა 0:2 (კეუნ-ჰო ლი, ჩუ-იან პარკი)
11.02.09 ირანი-ს. კორეა 1:1 (ჟი-სუნ პარკი)
01.04.09 ს. კორეა-ჩრ. კორეა 1:0 (ჩი-ვუ კიმი)
06.06.09 საემიროები-ს. კორეა 0:2 (ჩუ-იან პარკი, სუნ-იონ კი)
10.06.09 ს. კორეა-ს. არაბეთი 0:0
17.06.09 ს. კორეა-ირანი 1:1 (ჟი-სუნ პარკი)

## შესარჩევში ითამაშეს

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მეკარეები** | | | | |
| სუნ-რიონ იუნი | 04.01.85 | სეონგნამი | 7 | - |
| ვუნ-ჟაე ლი | 26.04.73 | სუვონი | 6 | - |
| იუნ-დაე კიმი | 11.10.79 | სეული | 1 | - |
| **მცველები** | | | | |
| ბეომ-სეოკ ო | 29.07.84 | ულსანი | 11 | - |
| იუნ-ჰიუონ ჩო | 03.11.83 | ჯეჯუ იუნაიტედი | 10 | - |
| იან-პიო ლი | 23.04.77 | ალ-ჰილალი (ს. არა) | 10 | - |
| მინ-სუ კანი | 14.02.86 | სუვონი | 9 | - |
| იან-სუ ლი | 08.01.80 | კაშიმა (იაპ) | 9 | - |
| დონ-ჟინ კიმი | 29.01.82 | ზენიტი (რუს) | 7 | - |
| ჩი-ვუ კიმი | 11.11.83 | სეული | 4 | 1 |
| ჰი-ჟუ კვაკი | 05.10.81 | სუვონი | 2 | - |
| ტაე-ჰი კვაკი | 08.07.81 | ჩუნამი | 2 | 2 |
| ჰიუნ-ილ კიმი | 27.04.84 | პოჰანი | 1 | - |
| კიუ-ჟინ კიმი | 16.02.85 | სეული | 1 | - |
| ჟაე-ვონ ხვანი | 13.04.81 | პოჰანი | 1 | - |
| **ნახევარმცველები** | | | | |
| ჟი-სუნ პარკი | 25.02.81 | მანჩესტერ იუნ (ინგ) | 11 | 5 |
| ჩუნ-იან ლი | 02.07.88 | ბოლტონი (ინგ) | 10 | - |
| ვონ-ჰი ჩო | 17.04.83 | სუვონი | 10 | - |
| სუნ-იონ კი | 24.01.89 | სეული | 8 | 2 |
| ნამ-ილ კიმი | 14.03.77 | ტომი (რუს) | 7 | - |
| იუნ-ვუ კიმი | 09.05.82 | სონამი | 6 | - |
| დო-ჰეონ კიმი | 14.07.82 | სუვონი | 6 | 3 |
| კი-ჰუნ იეომი | 30.03.83 | ულსანი | 4 | - |
| ჰიუ-ჟინ ჩოი | 18.08.83 | პოჰანი | 3 | - |
| იან-ეუნ ო | 24.07.85 | ულსანი | 1 | - |
| ჰიუნ-ბუმ კიმი | 01.01.84 | ჩონბუკი | 1 | - |
| ჩან-სუ ლი | 09.07.81 | ალ-ნასრი (ს. არა) | 1 | - |
| ხვან-ვუ ლი | 25.02.78 | სუვონი | 1 | - |
| ტაე-იუ ჰანი | 31.03.81 | სეული | 1 | - |
| ტაე-უკ ჩოი | 13.03.81 | ჩონბუკი | 1 | - |
| ვონ-ჟაე პარკი | 28.05.84 | ომიია (იაპ) | 1 | - |
| **თავდამსხმელები** | | | | |
| ჩუ-იან პარკი | 10.07.85 | მონაკო (საფ) | 12 | 4 |
| კეუნ-ჰო ლი | 11.04.85 | ჯუბილო ივატა (იაპ) | 10 | 3 |
| კი-ჰიეონ სეოლი | 08.01.79 | ფულჰემი (ინგ) | 4 | 2 |
| შუნ-ჰუნ ჟინი | 04.07.79 | პუსანი | 3 | - |
| იუნ-ხვან ანი | 27.01.76 | დალიანი (ჩინ) | 3 | - |
| ჟე-ჟინ ჩო | 09.07.81 | გამბა (იაპ) | 2 | - |
| კი-გუ კო | 31.07.80 | ჩუნამი | 2 | - |
| დონ-ჰიუნ ანი | 28.03.86 | პუსანი | 2 | - |
| სან-კუკ ჩოი | 08.02.83 | გვანჯუ | 1 | - |
| დენ-ჰენ სეო | 05.06.85 | სუვონი | 1 | - |
| კი-იონ ბაე | 26.05.83 | სუვონი | 1 | - |
| იუნ-როკ შინი | 27.03.87 | ტომი (რუს) | 1 | - |

ძიუდო

# ღარიბული საჩუქარი ჩემპიონისთვის

შესაძლოა, დღევანდელი ქართული სპორტის თავზე სპორტსმენთა ანაზღაურება დამოკლეს მახვილივით უკვე აღარ ჰკიდია, მაგრამ პერიოდულად მაინც შეგვახსენებს ხოლმე თავს. ეს შეხსენება უმეტესად უარყოფითი კონტექსტისაა, უფრო იშვიათად - დადებითიც, მაგრამ, როგორიც უნდა იყოს მისი რეზონანსი ან გამომწვევი მიზეზი, ერთი რამ ცხადია - თემა მუდამ აქტუალურია და განუწყვეტლივ მუსირებს.

არ ვამბობთ, რომ ჩვენთან ეს პრობლემა სამუდამოდ მოიხსნა და სპორტსმენთა სასარგებლოდ მოგვარდა, მაგრამ მაგალითი, რომელზეც ახლა გიამბობთ, იმის დასტური ნამდვილადაა, რომ ხშირად ჩვენში უფრო აფასებენ სპორტსმენებს, ვიდრე - უცხოეთში და საზღვარგარეთისადმი ქართველ ათლეტთა ლტოლვა იმ დროის გადმონაშთია, როცა ჩვენში სპორტს მართლა არ აფინანსებდნენ და სპორტსმენებს 100-ლარიან ხელფასებს უნიშნავდნენ; როცა სპორტსმენები ზემდგომთ 200-ლარიან ანაზღაურებას ევედრებოდნენ...

თუმცა ამგვარ მაგალითებზე, ანუ ათლეტთა დაფასების ამბავში მთლად წყალწაღებულები რომ არ ვართ, აქამდეც დაგვიწერია და უპრიანია, რამდენიმე მაგალითი ახლაც გავიხსენოთ. მაგალითად, ტაჯიკი ძიუდოისტის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის პრიზიორ **რასულ ბოკიევის** (73) შემთხვევა გავიხსენოთ, რომელიც ჯერ ხომ უპატრონოდ, მწვრთნელი მამის ამარა დადიოდა ტურნირებზე და მამა-შვილს ფედერაციისგან არანაირი ყურადღება არ ჰქონდა, პეკინის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მოპოვების შემდეგ ტაჯიკეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სტიპენდიაც კი მოუხსნა. შედეგად, ბოკიევმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და ამ ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. ტაჯიკები მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ და სასწრაფოდ დააბრუნეს უკან, თან სპონსორიც უშოვეს და შეჯიბრებებში მონაწილეობის გარანტიაც მისცეს. საყურადღებოა, რომ მაშინაც აქცენტს არა ხელფასზე, არამედ იმაზე აკეთებდნენ, რომ ბოკიევს ყველა სასურველ ტურნირზე დააფინანსებდნენ, ანუ მისთვის ესეც პრობლემაა. თვით ყაზახეთში, რომელიც ჩვენებისთვის ლამის აღთქმულ ქვეყნად იქცა, „თავისუფალთა" ნაკრების თავკაცი აზერბაიჯანში მიწვეულ კოლეგას შეჰნატრის, იმას 10 000 დოლარი აქვს ხელფასი, მე - მხოლოდ 1000-იო. რუს ძიუდოისტებს შარშან, აპრილში, თბილისში, ევროპის პირველობაზე მოპოვებული პრემიები ამ წლის დასაწყისშიც არ ჰქონდათ მიღებული... ამგვარი მაგალითის დასახელება ბლომად შეიძლება, ცხადია, საპირისპიროებისაც, მაგრამ ისე ნამდვილად არაა საქმე, როგორც ხშირად ჩვენი სპორტსმენები წარმოაჩენენ და რითაც უცხოეთში წასვლის სურვილს ამართლებენ. ბოლო-ბოლო, მსოფლიოში განა რამდენია ისეთი ქვეყანა, რომელმაც ოლიმპიურ ჩემპიონებს მილიონები დაურიგა? პრეცედენტი არც მახსენდება, მაგრამ ის კი უდავოა, რომ ბევრი ნამდვილად არ იქნება. ქართული პრემიები, მაშინდელი 400 ათასი ჯერ კიდევ ათენის შემდეგ გასკდა ბომბივით, მილიონი კი ბომბზე მეტი გამოდგა.

ამ პირობებში კიდევ უფრო გასაკვირია მიგრაციის არსებობა ქართულ სპორტში, რაც ადრინდელი მასშტაბების აღარაა, მაგრამ მაინც არსებობს. სწორედ ამიტომ კიდევ ერთხელ გვინდა ხმამაღლა მოვუწოდოთ სპორტის სამინისტროს და სპორტის დეპარტამენტს, სერიოზულად მიხედონ ამ პრობლემას. ვეჭვობთ, ბოლო სეზონებში რამდენიმე მოჭიდავე სწორედ ამ მიზეზით გადავიდა დედის გვარზე. ცხადია, ამას ვერავის დავუშლით - ეს მათი პიროვნული უფლებაა, მაგრამ ახალი პასპორტის ასაღებად კარგი საბაბია. არადა, ძალიან ბევრი მაგალითია, როცა ახალგაზრდებმა ჯერ წასვლაზე დახარჯეს დრო, მერე იქ ფეხი ვერ მოიკიდეს და კი დაბრუნდნენ, მაგრამ ბევრიც გაუცდათ და უკვე ძველი პერსპექტივისა არაფერი ეტყობათ. ისინი დღესაც ვარჯიშობენ, მაგრამ სასურველი ფორმისგან შორს არიან.

ახლა კი იმ მაგალითზე, რამაც ამ წერილის დაწერა გადაგვაწყვეტინა. ამ დღეებში ალტაის მხარის დედაქალაქ ბარნაულში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს მხარის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულ **ივან ნიფონტოვს** (81), რომელიც შარშან ძიუდოში ევროპის ჩემპიონიც გახდა და მსოფლიოსიც. მთელ ამ ამბავში ჩვენთვის საინტერესო ის საჩუქარია, რაც ნიფონტოვმა მიიღო - ერთოთახიანი ბინა, მაგრამ მისი ღირებულების 5-10 პროცენტიც საკუთარი ჯიბიდან უნდა დაფაროს! სიმართლე გითხრათ, ეს 5-10 პროცენტი რას ნიშნავს, ეგეც ვერ გავიგეთ, მაგრამ იმხელა მხარეში, იმხელა რუსეთში ერთოთახიანი ბინის მეტი როგორ ვერ გაიმეტეს და ისიც ბოლომდე არ აჩუქეს! არა მგონია, საქართველოში ასეთი რამ მომხდარიყო. იქნებ ვინმემ ის ბინები გაგვახსენოს, პეკინის ოლიმპიადის მედალოსნებს ჯერაც რომ არ მიუღიათ, მაგრამ ეს გლობალური კრიზისითაა გამოწვეული და არა სიძუნწით. თანაც ჩვენები იმ ბინებს, სავარაუდოდ, მაინც მიიღებენ და ეგეც არ იყოს, ოლიმპიელებმა სოლიდური ფულადი პრემიები მიიღეს.

22 წლის ნიფონტოვი ალტაის მხარის ყველაზე წარმატებული სპორტსმენი კია, თუმცა ის ამჟამად რიაზანში ცხოვრობს, სადაც ხუთი წლის წინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ნაკრებში გამოსვლისას გადაბარგდა მწვრთნელ **დმიტრი სერგეევის** ფაქტორის გამო. თურმე იმდენად კმაყოფილი დარჩა მისი მუშაობით, ოჯახი დატოვა და უცხო ქალაქში გადავიდა. ამის მიუხედავად, აცხადებს, რომ ბარნაული მისთვის უმთავრესია, როგორც მშობლიური ქალაქი, სადაც მეგობრები, ნათესავები, ოჯახის წევრები ჰყავს და სადაც ბავშვობა გაატარა. ბარნაული ჩემთვის პატარა სამშობლოა, უთხრა ერთხელ რუს ჟურნალისტებს ნიფონტოვმა, რომელსაც თურმე კითხვა იმდენად უყვარს, ტურნირებზე მიმავალს ყოველთვის მიაქვს წიგნები და კითხულობს ყველგან - თვითმფრინავში თუ სასტუმროში, სადაც თავისუფალ დროს იშოვის, ხოლო სხვათა გვერდით **გაბრიელ გარსია მარკესის** „მარტოობის ასი წელიც" წაკითხული ჰქონია. აი, ბარნაულში კი თურმე ისეთ პირობებში ცხოვრობდა, ბინა ნამდვილად სჭირდებოდა - ოროთახიან ბინაში მშობლებთან და ცოლშვილიან ძმასთან ერთად! ბინის გარდა, ალტაის მხარის გუბერნატორმა **ალექსანდრ კარლინმა** საუკეთესო სპორტსმენისთვის განკუთვნილი ცხენებშებმული ეტლის სტატუეტიც გადასცა, ძიუდოისტმა კი რუსეთის პრემიერ **ვლადიმირ პუტინთან** სპარინგისას გადაღებული ფოტო უფეშქაშა. ეს სპარინგი დეკემბერში სანკტ-პეტერბურგში შედგა, როცა შეკრებაზე მყოფ ნაკრებს ბაზაზე პუტინი ესტუმრა და ყოფილმა ძიუდოისტმა მათთან ბლარძუნიც ისურვა. ცხადია, მას მომზადება აკლია, მაგრამ აქტიურ სპორტულ ცხოვრება ეწევა და მაინც კარგ ფორმაშიაო, განაცხადა ნიფონტოვმა, კარლინმა კი რუსეთის ფაქტობრივ მმართველთან მის ასეთ სიახლოვეზე მთელი იმედები დაამყარა და ოცნების კოშკების აგებას შეუდგა - პუტინთან მისი ასეთი სიახლოვე დაგვეხმარება ალტაის მხარეში საბრძოლო სახეობათა ცენტრის აშენებაში და ამ საქმეში საბიუჯეტო სახსრების მოზიდვაშიო, განაცხადა გუბერნატორმა.

**ირაკლი თავაძე**



ელენე ქებაძემ საქართველოში ქალთა ძიუდოს ახალ ეტაპს დაუდო სათავე. ჭიდაობის კულტურით განთქმულ საქართველოს ისტორია ქალთა ძიუდოშიც მოეპოვება, მაგრამ ეს შორეულ საბჭოთა ეპოქაში იყო, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი ქალთა ძიუდო ახალ ცხოვრებას შეუდგა. ახალი თაობის ძიუდოისტებს მედლები ადრეც მოუპოვებიათ (მათ შორის, იმავე ქებაძესაც), მაგრამ ოფიციალურ ტურნირში, ანუ ევროპული თუ მსოფლიოს ფედერაციისგან მინიჭებული რანგის მქონე ტურნირში ეს პირველად ახლა მოხდა. ამ წარმატების შემდეგ უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალთა ძიუდო სწორ გზას დაადგა და შედეგები აუცილებლად იქნება, ოღონდ ამას ცოტა დრო კიდევ დასჭირდება.

ლაგოდეხელმა ქებაძემ ანთალიაში მართლაც დაიმსახურა ქება - ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო. ცხადია, ყველაზე ფასეული ფინალში გამარჯვება იყო, მაგრამ არა მხოლოდ შედეგის გამო - ამით ელენემ უხიაგ მეტოქესაც საკადრისი პასუხი გასცა. მას ახლახან ძიუდოს ფედერაციაში შევხვდით. ელენეს ლაგოდეხში, მშობლიურ გიორგეთში მიეჩქარებოდა. ამიტომ დიდად არც ჩვენ დაგვიყოვნებია.

*ინტერვიუ ელენე ქებაძესთან*

# ქებაძე ქებას იმსახურებს

**- ელენე, ჭიდაობა სად დაიწყეთ და ვისთან?**

- ლაგოდეხიდან ვარ, სოფელ გიორგეთიდან. ვარჯიშიც იქვე დავიწყე ჯიმშერ მუმლაძესთან 2004 წელს.

**- რატომ მაინცდამაინც ძიუდო, რომელიც ჩვენში არაქალურ სპორტად მიიჩნევა?**

- მოგეხსენებათ, იმ წელს ზურაბ ზვიადაურმა ოლიმპიადაზე გაიმარჯვა. ძიუდოში მეც სწორედ იმ აჟიოტაჟმა მიმიზიდა, რაც მის წარმატებას მოჰყვა მთელ ქვეყანაში და გადავწყვიტე კიდეც ვარჯიშის დაწყება. თავიდან ცოტა გართობასავით ვეკიდებოდი ამას, მაგრამ თანდათან, როცა ტურნირებზე დავიწყე გამოსვლა და პერსპექტივაც გაჩნდა, დამაინტერესა და უფრო სერიოზულად შევხვდე ძიუდოს.

**- ალბათ, თქვენი კერპიც ზვიადაური იქნება და პირადადაც გაიცნობდით?**

- ზვიადაური მოგვიანებით მართლაც გავიცანი, მაგრამ ჭიდაობაში კერპი არ მყავს. მინდა, უფრო საკუთარ თავს ვგავდე.

**- პირველი ტურნირი სად გქონდათ?**

- პირველად ბაქოში ვიჭიდავე და იქაც ჩემპიონი გავხდი. მერე ნელ-ნელა სხვა შეჯიბრებებიც დაემატა...

**- ანთალიაში მოგება გაგიჭირდათ?**

- ძალიან გამიჭირდა-მეთქი, ვერ ვიტყვი, რადგან მომზადებულიც ვიყავი - ანკარაში გავიარეთ შეკრება და იქიდან გადავედით ანთალიაში, მაგრამ იოლადაც არ მომიგია. ძალიან ძლიერი ტურნირი იყო, ბევრი მონაწილე გამოდიოდა და მეტოქეებიც ძლიერები იყვნენ. თუმცა ფორმაშიც ვიყავი და გავიმარჯვე.

**- ფინალში სერბი მილიცა ზაბიჩი მართლა ისე თავდაჯერებული გამოვიდა საჭიდაოდ, რომ ღიმილით გადმოგხედათ?**

- ეგ გოგო ყოველთვის ირონიულად გადმომხედავდა ხოლმე, როცა ტურნირებზე ვხვდებოდი. ალბათ, ახლაც ეგონა, რომ მომიგებდა, მაგრამ პირიქით მოხდა. მერე, როცა მოვუგე, აღარ იცინოდა. ილეთზე მე ჩავუხტი, მაგრამ ვერ დავაგდე. სამაგიეროდ, გადავატრიალე და შევბოჭე.

**- და უკვე თქვენი სიხარულის ჯერიც დადგა...**

- ეს ყველაზე ძლიერი ტურნირი იყო, სადაც კი წარმატებით მიჭიდავია. მართლაც სულ სხვა შეგრძნება იყო, ძალიან გამიხარდა. ორმაგად გახარებული ვიყავი - ერთი იმით, რომ მოვიგე, მეორე კი იმით, რომ ჩემი მწვრთნელი გია თენაძე გავახარე.

**- ძიუდოს გარდა სხვა რა გიტაცებთ? სწავლას და ვარჯიშს როგორ უთავსებთ ერთმანეთს?**

- გამორჩეულად სხვა არაფერი მიზიდავს. მინდა, მთელი დრო ძიუდოს დავუთმო, ჩემი მიზნები ამას უკავშირდება და მსურს, რაც შეიძლება ბევრს მივაღწიო. აი, სწავლაში კი ხელი მეშლება - ძალიან ბევრს ვაცდენ, რადგან ხშირად ვარ შეკრებებზე და სწავლას ვერ ვახერხებ.

**- კარგად სწავლობთ თუ სპორტი გირჩევნიათ?**

- ვაღიარებ, რომ სპორტი მირჩევნია.

**- სამაგიეროდ, ამ გამარჯვების შემდეგ არც მასწავლებლები გისაყვედურებენ გაცდენებისთვის. ალბათ, ლაგოდეხში დიდი ამბით გელოდებიან...**

- კი, ძალიან გაუხარდათ და მირეკავდნენ იქიდან. ერთი სული აქვთ, როდის ჩავალ. დღესვე მივდივარ სახლში.

**- ალბათ, გადაწყვეტილია, რომ ევროპის ჩემპიონატზე გამოხვალთ. იმედია, სეზონის სხვა მნიშვნელოვან ტურნირებშიც წარმატებით იჭიდავებთ.**

- იმედია. ყოველ შემთხვევაში, შრომას და ცდას არ დავაკლებ.

ელენესთან საუბრის შემდეგ შეგირდის დახასიათება **გია თენაძესაც** ვთხოვეთ, რომელმაც ეს გვითხრა:

- ელენე უაღრესად მოწესრიგებული გოგოა. იმის მიუხედავად, რომ მძიმეწონოსანია, მჩატეწონოსანივით მუშაობს, ვარჯიშობს, შრომობს. სირბილი იქნება, ძალოსნობა თუ სხვა, ყველგან გულმოდგინედ ირჯება. შედეგსაც ამიტომ მიაღწია. როცა ნაკრებში მივედი, წელიწად-ნახევარი სავარჯიშო სისტემის ჩამოყალიბებას მოვუნდი. გუნდიდან არავინ გამიშვია, თავისით წავიდნენ ისინი, რომლებმაც ამ სისტემას, ამ დატვირთვებს ვერ გაუძლეს. ესენი, უმეტესად, უფროსი ასაკისანი იყვნენ, უმცროსები კი უფრო მიჯერებენ და შედეგიც გამოჩნდა.

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა | რიგის ტურნირი

# ახალგაზრდული წარმატება რიგაში

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ვაჟებმა წარმატებით იჭიდავეს რიგაში ფრაინდელფელდსის სახელობის საერთაშორისო ტურნირში. ოქროს ოთხი და ვერცხლის ორი მედალი – ასეთია ჩვენი ცხრაკაცა ნაკრების მონაგარი. ტურნირის ჩემპიონები **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60), **დავით მარსაგიშვილი** (84), **თორნიკე ხიდეშელი** (96) და **გიორგი საკანდელიძე** (120) გახდნენ. 96 კილოგრამში სულაც ქართული ფინალი გაიმართა – ხიდეშელმა **ომარ გუსოშვილი** დაამარცხა, ხოლო ჩვენი გუნდის მეორე ვეცხლი **დავით ხუციშვილის** (74) მონაგარია.

ეს წარმატება თავისი მასშტაბურობის გარდა სასიხარულო იმითაცაა, რომ მედალოსანთა უმრავლესობა აგრძელებს შარშან აღებულ წარმატებულ სტარტს. შეგახსენებთ, რომ შარშან საკანდელიძე და მარსაგიშვილი ევროპის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ, ხუციშვილი კი მესამეზე გავიდა. თუმცა ამათგან მაინც საკანდელიძის გამარჯვებას გამოვარჩევთ, რომელიც წლეულს უფროსებში საქართველოს ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ იმის შემდეგ, ცოტა არ იყოს, უფერული ჭიდაობით მწვრთნელები მაინც გააწბილა. იმედია, რიგაში კრიზისი საბოლოოდ დასძლია, თუმცა ამასობაში უფროსთა ნაკრების კანდიდატებს საევროპოდ გამოაკლდა. Aახალგაზრდულ ნაკრებში ახალი სახეა ჩოჩიშვილი, ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონ ხიდეშელს კი დებიუტი შარშან ჰქონდა – მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაგრამ უშედეგოდ. იმედია, წლეულს უკეთესად გამოვა. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდულის თავკაც **ნუგზარ სხირელს** გასარკვევი მხოლოდ ამ წონის კონკურენცია ჰქონდა.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ ორშაბათიდან დუშეთში დასკვნით შეკრებაზეა „თავისუფალთა" ეროვნული ნაკრები. ზაზა თურმანიძის განკარგულებაში ბაქოში 13-18 აპრილს გასამართ ევროპის პირველობაზე წასვლის ყველა კანდიდატია **ოთარ თუშიშვილის** (66) გარდა. როგორც ადრე გაცნობეთ, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს, ევროპისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს მხრის სამთავა კუნთი ეტკინა. როგორც ექიმები ამბობენ, ტრავმა არაა საშიში, მაგრამ ათლეტი ნაკრებს გუშინ დუშეთში არ გაჰყოლია, რადგან ექიმებმა შეაყოვნეს ორიოდ დღით.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ფინიშის სწორზე ყაიმები სჭარბობს

ტაშკენტში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც **გიორგი აგზამოვის** ხსოვნას ეძღვნება. გუშინ მეშვიდე ტურში **მიხეილ მჭედლიშვილი** შავი ფიგურებით ყირგიზ დიდოსტატ **ლეონიდ იურტაევს** დაუზავდა. ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთაგან, ასევე, გაიყვეს ქულები **გადირ ჰუსეინოვმა** (აზერბაიჯანი) და **ვიტალი გოლოდმა, ალექსეი დრეევმა** (რუსეთი) და **მაქსიმ ტუროვმა** (რუსეთი), **პაველ კოცურმა** (ყაზახეთი) და **ანუარ ისმაგამბეტოვმა** (ყაზახეთი), **სიროჯიდინ ნაზმედდინოვმა** (უზბეკეთი) და **მარატ ჯუმაევმა** (უზბეკეთი), **ევგენი პაკმა** (ყაზახეთი) და **სერგეი ტივიაკოვმა** (ჰოლანდია). სამაგიეროდ, წარმატებას მიაღწია ბელარუსმა **სერგეი ჟიგალკომ**, რომელმაც რუსი **ვიტალი ცეშკოვსკი** დაამარცხა და 6 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა. **რინატ ჯუმაბაიევმა** (ყაზახეთი) **ანდრეი კვონს** (უზბეკეთი) მოუგო, **ვლადიმირ ეგინმა** (უზბეკეთი) **საიდალ იულდაშევს** (უზბეკეთი) აჯობა, ხოლო **ანტონ ფილიპოვმა** (უზბეკეთი) თანამემამულე **ადხან ემინოვს** სძლია.

შვიდი ტურის შემდეგ ერთპიროვნულ ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით 8 მოჭადრაკე ჩამორჩება. 5-5 ქულით 7 მოჭადრაკე მეათე-მეთექვსმეტე ადგილებს იყოფს. მათ შორისაა მიხეილ მჭედლიშვილი, რომელიც დღეს თეთრი ფიგურებით უზბეკ ბაჰოდირ ჰოლმირზაევს დაუპირისპირდება. ასევე, ინტერესს იწვევს დრეევ-ჟიგალკოს, გოლოდ-ფილიპოვის, ტუროვ-იურტაევის, ჯუმაბაიევ-ჰუსეინოვისა და ეგინ-კოცურის შეხვედრები.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ზირაქაშვილისა და ფეიქრიშვილის წყვილი ლელო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტურით ადრე პლეი ოფში თამაში სამმა „ქართულმა გუნდმა" გაინაღდა. „კლერმონი", „კასტრი" და „ტულონი" ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობენ. დივიზიონიდან გავარდნის საფრთხე ემუქრება ქართველ მორაგბეთა ორ გუნდს, „მონპელიესა" და „მონტობანს".

სატურნირო ცხრილს სათავეში 71 ქულით **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი" უდგას. ჩვენებურის გუნდმა 23-ე ტურში შინ დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი, ბასკური „ბაიონი" - 26:10. სტუმრებმა პირველ ნახევარში სერიოზული წინააღმდეგობა გასწიეს და მეტოქეს მხოლოდ სამი ქულით დაწინაურების საშუალება მისცეს - 10:13. კასტრელებმა „ბაიონი" მეორე ნახევარში გატეხეს, მეტწილად ფულბეკ **რომენ ტულეს** კარგი თამაშის წყალობით.

ამ შეხვედრაში გიორგაძეს მონაწილეობა არ მიუღია. მან ფეხზე სერიოზული ოპერაცია გაიკეთა და სეზონის ბოლომდე თამაშს ვერ შეძლებს.

„კასტრს" ერთი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი". „ვულკანებმა" საკუთარ მოედანზე **მამუკა გორგოძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიე" გაანადგურეს - 41:3. ზირაქაშვილმა, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იყო, 61-ე წუთზე ლელო გაიტანა და ათ წუთში შეცვალეს. გორგოძეს და ჩხაიძეს არ უთამაშიათ.

„მონპელიე" ამ მარცხის შემდეგ ძალზე რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ჩვენებურთა გუნდი 42 ქულით ბოლოსწინა, მეცამეტე ადგილზეა და დივიზიონის დატოვების საფრთხე რეალურად ემუქრება. მომდევნო ტურში მონპელიელები დივიზიონიდან უკვე გავარდნილ „ალბის" უმასპინძლებენ. მათი უშუალო კონკურენტი „ბაიონი" კი სტუმრად ეთამაშება „ტულონს".

პლეი ოფში გასული მესამე „ქართული გუნდი" სწორედ **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონია", რომელიც 67 ქულით მეოთხე ადგილზეა. ტულონელებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს სტუმრად „ბურგუენთან" - 13:9. ცამეტივე ქულა გუნდს არგენტინელმა მგეზავმა **ფელიპე კონტეპომიმ** მოუტანა (ლელო, გარდასახვა და ორი საჯარიმო). ქუბრიაშვილმა სრულად ითამაშა.

„ალბი" დაამარცხა სტუმრად დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლმა **გოდერძი შველიძისა** და **ბექა შეყლაშვილის** „მონტობანმა" - 26:12. სტუმრები უპირატესობას თავიდანვე დაეუფლნენ და პირველი ტაიმი მშრალად - 19:0 მოიგეს. მეორე ნახევარში მონტობანელთა მწვრთნელმა შეცვლის ყველა უფლება გამოიყენა. მასპინძლები ოდნავ გამოცოცხლდნენ, თუმცა მატჩის ბედის შემობრუნება ვერაფრით შეძლეს.

შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე შეცვალეს. შეყლაშვილი თამაშში 61-ე წუთიდან ჩაერთო. მომდევნო ტურში „მონტობანს" ძნელი გამოცდა ელის სტუმრად „ბიარიცთან", რომელსაც პლეი ოფში მოხვედრის შანსი ჯერ კიდევ აქვს.

პლეი ოფში მოხვედრის თეორიულ შანსს ინარჩუნებს **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივიც", რომელიც ამჟამად 52 ქულით მე-8 ადგილზეა. ბრიველებმა 23-ე ტურში სტუმრად წააგეს უშუალო კონკურენტ „მეტრო რასინგთან" - 18:25. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 62-ე წუთზე შეცვალეს. მორიგ შეხვედრას ბრიველები შინ გამართავენ „ბურგუენთან", რომელიც გასავარდნ ზონაში იმყოფება.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XXIII ტური: **ბურგუენი - ტულონი 9:13, პერპინიანი - სტად ფრანსე 44:23, კლერმონი - მონპელიე 41:3, მეტრო რასინგი - ბრივი 25:18, კასტრი - ბაიონი 26:10, ალბი - მონტობანი 12:26, ბიარიცი - ტულუზი 26:10**

სატურნირო მდგომარეობა: 1. კასტრი - 71 ქულა, 2. პერპინიანი - 71, 3. კლერმონი - 70, 4. ტულონი - 67, 5. ტულუზი - 65, 6. მეტრო რასინგი - 59, 7. ბიარიცი - 52, 8. ბრივი - 52, 9. სტად ფრანსე - 49, 10. ბურგუენი - 45, 11. მონტობანი - 45, 12. ბაიონი - 43, 13. მონპელიე - 42, 14. ალბი - 20.

ელიტური, მეორე დივიზიონის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა. ლიდერმა **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენმა" უახლოეს მდევართან, **გიორგი ჟღენტის** „ოიონაქსთან" უპირატესობა ისევ ხუთ ქულამდე გაზარდა.

25-ე ტურში აჟენელები შინ აუტსაიდერ „ლანამეზანს" ეთამაშნენ და 43:3 მოუგეს. ფეიქრიშვილმა, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იყო, მე-18 წუთზე ლელო გაიტანა და მე-40 წუთზე შეცვალეს.

სტუმრად „პოსთან" მოულოდნელად დამარცხდა გიორგი ჟღენტის „ოიონაქსი" - 6:17. სტუმრებმა უჩვეულოდ ცუდად ითამაშეს და კონკურენტ „აჟენს" დაწინაურების საშუალება მისცეს. ჟღენტი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 43-ე წუთიდან ჩაერთო.

პლეი ოფში მოხვედრის კარგი შანსი აქვს **გურამ კავთიძის** „ლიონს". ჩვენებურის გუნდმა 25-ე ტურში საკუთარ მოედანზე მოუგო „მონ დე მარსანს" - 26:6. კავთიძე თამაშში 58-ე წუთიდან ჩაერთო. ლიონელებს ახლა 71 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზე არიან.

სტუმრად დაამარცხა „ექსი" **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკმა" - 23:18. „ჩაქუჩამ" სრულად ითამაშა და არბიტრმა 31-ე წუთზე გაასინბინა. „ორიაკი" ახლა 62 ქულით მე-9 ადგილზეა და პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს.

შინ მოუგო მეექვსეადგილოსან „ნარბონს" **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბმა" - 23:11. მაგრაქველიძე თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო. საკუთარ მოედანზე დამარცხდა მესამეადგილოსან „ლა როშელთან" **გიორგი კუთარაშვილის** „დაქსი" - 13:17. კუთარაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე 56-ე წუთიდან გამოჩნდა.

II დივიზიონი. XXV ტური: **ლიონი - მონ დე მარსანი 26:6, ტარბი - ნარბონი 23:11, გრენობლი - ოში 19:0, კოლომიე - ბორდო 20:22, დაქსი - ლა როშელი 13:17, აჟენი - ლანამეზანი 43:3, ექსი - ორიაკი 18:23, პო - ოიონაქსი 17:6**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. აჟენი - 85 ქულა, 2. ოიონაქსი - 79, 3. ლა როშელი - 76, 4. ლიონი - 71, 5. გრენობლი - 68, 6. ნარბონი - 64, 7. ბორდო - 63, 8. პო - 63, 9. ორიაკი - 62, 10. ტარბი - 59, 11. დაქსი - 55, 12. მონ დე მარსანი - 52, 13. ოში - 44, 14. კოლომიე - 39, 15. ექსი - 31, 16. ლანამეზანი - 18**



დავით ზირაქაშვილი

შეკითხვა ლელოს

### პატივცემულო რედაქცია

როგორც ცნობილია, ნებისმიერ ტურნირში გამარჯვებულია ის, ვინც მეტ ქულას დაიმსახურებს. მორაგბეთა ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში საქართველოს ნაკრებმა ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა.

გვაინტერესებს, მოიპოვა თუ არა ჩვენმა ნაკრებმა ეს ჯილდო?

თუ მოიპოვა, საზეიმო ვითარებაში რატომ არ გადაეცათ თასი ჩვენს სპორტსმენებს, როგორც ეს წინათ ხდებოდა?

გულშემატკივართა სახელით: გ. მიქელაძე, დ. იორამიშვილი, ა. კვიწინიძე, ა. ახალაია, ნ. ბულისკერია, გ. მიქელაძე...

- ერთა თასის გათამაშებაში უცნაური ვითარება შეიქნა. წლევანდელი გათამაშების დასრულებისთანავე FIRA AER-ისა და IRB-ის ოფიციალურ ვებგვერდებზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ერთა თასი საქართველოს ნაკრებმა მოიგო. ამ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელები ტელეფონით დაუკავშირდნენ საერთაშორისო ფედერაციის მაღალჩინოსნებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ვებგვერდებზე გავრცელებული ცნობა არის შეცდომა. ასე რომ, საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია. ახალ ინფორმაციას მკითხველს ვაცნობებთ დაუყონებლივ.

სუპერ 14



დენიელ ალანგაუ

# ბლუ ბულზი ისევ უძლეველია

ზე 14-ის გათამაშებაში მეშვიდე ტურის შემდეგ ისევ დაუმარცხებლადასპარეზობს შარშანდელი ჩემპიონი, პრეტორიის „ბლუ ბულზი". თითო-თითო ნაგება აქვთ კეიპთაუნის „სტორმერზსა" და ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზს". სავარაუდოდ, სწორედ ეს გუნდები შეძლებენ საბოლოოდ პლეი ოფში გაღწევას. მწვავე ბრძოლა იქნება ნახევარფინალის მეოთხე საგზურისთვის. მასზე პრეტენზიას ერთბაშად ოთხი გუნდი აცხადებს.

გათამაშების ლიდერი „ბლუ ბულზი" მეშვიდე ტურში სტუმრად თამაშობდა პერთში აუტსაიდერ „ფორსთან" და 28:15 გაიმარჯვა. „ლურჯი ხარები" მთელი მატჩის განმავლობაში უდიდეს სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა მის სრულად რეალიზებას ვერაფრით ახერხებდნენ.

ანგარიში სამხრეთაფრიკელებმა დასაწყისშივე, მე-8 წუთზე გახსნეს. „ბულზმა" მეტოქის მისადგომებთან ხუთწუთიანი შტურმი მოაწყო. რას არ ეცადნენ აფრიკელები, მაგრამ „ფორსის" დაცვას ვერაფერი მოუხერხეს. ბოლოს ისევ მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო რვა ნომერმა **პიერ სპისმა** იყოჩაღა და ბურთი ლელოში შეიტანა. მგეზავმა **მორნი სტეინმა** გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 7:0.

მასპინძლები მრისხანე მეტოქეს „მცირე ჩხვლეტებით" პასუხობდნენ და საკმაოდ შედეგიანადაც. ავსტრალიურმა გუნდმა მეტოქის ნახევარზე თითქმის ყველა გადასვლისას საჯარიმო გამოიმუშავა. ოთხიდან ოთხივეჯერ „ბლუ ბულზის" კარი შუამარბად გამწესებულმა **ჯიმი ოკონორმა** დალაშქრა. ამაზე სტეინმა მხოლოდ ერთხელ გასცა საჯარიმოთი პასუხი და მასპინძლებმა პირველი ტაიმი ორი ქულის სხვაობით მოიგეს - 12:10.

მეორე ტაიმის დასაწყისში ოკონორმა კიდევ ერთხელ გაიტანა საჯარიმოდან - 15:10 და „ბლუ ბულზი" მარცხის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. აფრიკელებმა მაქსიმალური სიმძლავრეები აამოქმედეს და ჯერ სტეინმა, ხოლო მერე ფულბეკმა **ზენ კირხნერმა** თითო ლელო მიითვალეს, რასაც სტეინმა ერთი საჯარიმოც მიუმატა და მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა - 28:15.

კრიზისი დაძლია და ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო დურბანის „ნატალ შარქსმა". აღსანიშნავია, რომ „ზვიგენებმა" მეორე გამარჯვება სტუმრად, ველინგთონის „ჰარიკენზთან" მატჩში მიითვალეს - 29:26. თავი დურბანელთა ცხრა ნომერმა **რუან პინარმა** გამოიჩინა. მან გუნდს 16 ქულა მოუტანა (ოთხი საჯარიმო და ორი გარდასახვა). პინარმა ბოლო წუთზე, როცა ანგარიში საყაიმო იყო, დიდი ნებისყოფა გამოავლინა და საჯარიმოთი გუნდს გამარჯვება მოუტანა.

საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა მატჩი კანბერაში, სადაც „ბრამბიზი" შარშანდელ ფინალისტს ჰემილთონის „ჩიფსს" დაუპირისპირდა. მასპინძლებმა მეტოქე შვიდი ქულის სხვაობით დაამარცხეს - 30:23.

პირველ ტაიმში **ჯოშ ვალენტაინისა** და **მაიკლ ჰუპერის** ორ ლელოს, რომლებიც **მეთ გიტომ** გარდასახა, ჰემილთონელმა **ბრენდონ ლეონარდმა** ერთით უპასუხა. გიტოს ერთი საჯარიმოს საპირწონედ **სტივენ დონალდმა** სამი გაიტანა და გუნდები შესვენებაზე მასპინძელთა ერთქულიანი უპირატესობით წავიდნენ - 17:16.

მეორე ტაიმის პირველივე წუთზე „ჩიფსის" შუამარბმა **რიჩი კაჰუიმ** ლელო გაიტანა, დონალდმა გარდასახა - 23:17. ამან ბრამბიზელები ერთობ გაალიზიანა. იმდენად, რომ მოწინააღმდეგეს ქულების მოპოვების ყველანაირი შანსი მოუსპეს. გიტომ კი ორი საჯარიმო გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა - 23:23.

თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე მგეზავმა **მეთ ტოომუამ** გამარჯვების ლელო გაიტანა, გიტომ გარდასახა - 30:23. „ბრამბიზმა" ამ გამარჯვების შემდეგ 21 ქულა დააგროვა და სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზეა.

საგრძნობი პროგრესი აქვს შარშანდელთან შედარებით სიდნეის „ვორათაზს". ავსტრალიურმა გუნდმა შინ დაამარცხა ოქლენდის „ბლუზი" - 39:32. მატჩის გმირი ვორათაზელთა მგეზავი **დენიელ ალანგაუ** გახდა. მან გუნდს 24 ქულა მოუტანა (ორი ლელო, ოთხი გარდასახვა და ორი საჯარიმო). „ვორათაზი" 23 ქულით მეოთხე ადგილზეა და პლეი ოფში გასვლის კარგი შანსი აქვს.

| VII ტური | |
|---|---|
| ჰაილენდერზი-ლაიონზი | 39:29 |
| ბრამბიზი-ჩიფსი | 30:23 |
| ჩიტაზი-რედსი | 10:31 |
| ჰარიკენზი-ნატალ შარქსი | 26:29 |
| ვორათაზი-ბლუზი | 39:32 |
| ფორსი-ბლუ ბულზი | 15:28 |

სატურნირო მდგომარეობა: 1. ბლუ ბულზი - 28 ქულა, 2. სტორმერზი - 23, 3. კრუსეიდერზი - 23, 4. ვორათაზი - 23, 5. ბრამბიზი - 21, 6. რედსი - 19, 7. ჩიფსი - 17, 8. ჰარიკენზი - 16, 9. ბლუზი - 16, 10. ნატალ შარქსი - 12, 11. ჰაილენდერზი - 10. 12. ჩიტაზი - 9, 13. ლაიონზი - 3, 14. ფორსი - 1

**VIII ტური**

**2 აპრილი**

ჰარიკენზი-კრუსეიდერზი
ფორსი-სტორმერზი

**3 აპრილი**

ჩიფსი-ჰაილენდერზი
ნატალ შარქსი-რედსი
ვორათაზი-ჩიტაზი
ბლუზი-ბლუ ბულზი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ფაჩულია ტოპათეულში მესამეა

## ეფექტური ჩაჭრა, დიდებული დრიბლინგი, ჯადოსნური პასი



**NBA-ს ოფიციალური** საიტი ყოველდღიურად საუკეთესო ათი მომენტის ამსახველ ვიდეოებს აქვეყნებს. კვირის ტოპათეულში მესამე პოზიციით **ზაზა ფაჩულიას** ეფექტური თამაშიც მოხვდა. აი, რა გააკეთა 212 სმ სიმაღლის ქართველმა ცენტრმა: „ატლანტა"-"ინდიანას" მატჩის დასრულებამდე 7:22 წუთით ადრე საკუთარ საჯარიმოში ბურთი **დენი გრეინჯერს** ჩაუჭრა (რომელიც **როი ჰიბერტის** მისამართით აკეთებდა პასს), სწრაფი დრიბლინგით მოედანი მთელ სიგრძეზე გადაკვეთა და „ინდიანას" ფარს მიახლოებულმა ზურგსუკნიდან პასი **ჯოშ სმიტს** გადააწოდა. ჯოშს კი ფრენა და ეფექტური ჩატენვები არ ეშლება...

ამ ეპიზოდს ზაზას თანაგუნდელებიც გამოეხმაურნენ და ამერიკული პრესაც. გამოცემა SBnation-მა ქართველის შედეგიან გადაცემას „ჯადოსნური" უწოდა. მატჩის ამერიკელმა კომენტატორმა კი გაოცებულმა თქვა: „ატლანტას" ცენტრმა ისეთი დრიბლინგი შეასრულა, თითქოს გამთამაშებელი ყოფილიყოო...

- დიდებული გარღვევა იყო. ასეთი ეპიზოდების ხილვა ყოველთვის სასიამოვნოა, მით უმეტეს, ჩემი თანაგუნდელების შესრულებით, - განაცხადა „ატლანტას" კაპიტანმა **ჯო ჯონსონმა**. შეტევის დამაგვირგვინებელმა ჯოშ სმიტმა კი ზაზას პასი მოუწონა:

- ფაჩულიას შეეძლო, თავისივე შეტევა ჩატენვით დაესრულებინა, მაგრამ მან ბურთი მე გადმომაწოდა, რითაც იერიშს ეშხი შემატა. ზაზა თავის საქმეს ყოველთვის კარგად ასრულებს, უყვარს ეფექტური თამაში.

ზემონახსენებ საიტზე მატჩის მიმოხილვაში წერია: მეოთხე პერიოდის დასაწყისში **მერვინ უილიამსმა** და ჯოშ სმიტმა ზაზა ფაჩულიას მცირე დახმარებით სხვაობა 15 ქულამდე გაზარდეს და მატჩის ბედიც ნაადრევად გადაწყვიტეს.

ახლა გავარკვიოთ, რაში გამოიხატება „მცირე დახმარება": მესამე პერიოდის დასრულებამდე 28 წამით ადრე ზაზამ ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა და კალათში ჩააბრუნა - 72:63. მეოთხე თორმეტწუთეული ფაჩულიას ორქულიანით გაიხსნა და „ჰოქსი" 11 ქულით დაწინაურდა. ამას მოჰყვა ზაზას სამი მოხსნა და ეპიზოდი, რომელიც NBA-ს ტოპათეულში მოხვდა. ზაზას პასისა და სმიტის ჩატენვის შემდეგ „ატლანტა" 82:67 დაწინაურდა... ჯორჯიელებს მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა აღარ გასჭირვებიათ - 94:84.

ზაზა ფაჩულიასთვის „ინდიანასთან" დაპირისპირება არა მხოლოდ ეფექტური, „უხვმოსავლიანიც" იყო: მან 4-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, 6 ქულას 6 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიამატა. 13 წუთში ამაზე ეფექტური მონაგარი იშვიათად ფიქსირდება...

საინტერესოა, რომ მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით საუკეთესოები „ატლანტას" სათადარიგოები იყვნენ - **ჯამალ კროუფორდი** (+20), **მორის ევანსი** (+14), ზაზა ფაჩულია (+13). სხვათა შორის, მეორე პერიოდში ჯამალის შორეულ სამქულიანში წვლილი ზაზასაც მიუძღვის - ფაჩულიამ ბურთი ფარქვეშ მიიღო და დაუფიქრებლად პერიმეტრზე მდგომი კროუფორდი მოძებნა, რომლის სამქულიანი ზუსტი აღმოჩნდა.

„ინდიანა პეისერსის" ძლევის შემდეგ „ატლანტა" აღმოსავლეთის კონფერენციაში „ბოსტონ სელტიქსს" დაეწია. მათ 47-47 მოგება, 26-26 წაგება აქვთ და მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებენ.

„ჰოქსი" მომდევნო მატჩს 31 მარტს ჩაატარებს - „ლეიკერსს" უმასპინძლებს. 2 აპრილს ზაზა და მისი თანაგუნდელები კონფერენციის ლიდერ „კლივლენდს" (58 გამარჯვება) ესტუმრებიან.

**ატლანტა–ინდიანა 96:84**

ზაზა ფაჩულია: 13 წუთი, 6 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 ფოლი

| | |
|---|---|
| **II პერიოდი** | |
| 11:16 | ფოლი: 1 |
| 10:52 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 10:21 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 09:52 | ორქულიანი: 2ქ (35:36) |
| 09:29 | პასი: 1 (კროუფორდი 3ქ, 38:36) |
| 06:59 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:36 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 00:58 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:28 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 00:28 | ორქულიანი: 4ქ (72:63) |
| **IV პერიოდი** | |
| 11:43 | ორქულიანი: 6ქ (74:63) |
| 10:35 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 07:53 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 07:31 | მოხსნა: შეტ-3, დაც-3 |
| 07:22 | ჩაჭრა: 1 (გრეინჯერს ჩაუჭრა) |
| 07:18 | პასი: 1 (სმიტი 2ქ, 82:67) |
| 05:30 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ტრავმიანობამ ტრამვაივით ჩამოიარა...

**იტალიის** ჩემპიონატიდან ორი კარგი ამბავი გვაქვს, ერთიც - ცუდი. ცუდით დავიწყოთ: **მანუჩარ მარკოიშვილმა** კოჭი იტკინა და „რომასთან" საშინაო მატჩში ვერ ითამაშა. იტალიელი ჟურნალისტების თქმით, მანუს ფეხის მოსაშუშებლად 10 დღე მოუწევს დასვენება.

ახლა კარგი ამბავი: „კანტუმ" რომაელები დამაჯერებლად დაამარცხა (79:61) და პლეი ოფისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 7 ტურით ადრე კანტუელებს 14 მოგება აქვთ (9 წაგება) და სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილზე არიან. ისინი 3 მოგებით უსწრებენ მეცხრეადგილოსან „ბენეტონს". პლეი ოფში საუკეთესო რვა გუნდი გადის. ძნელი წარმოსადგენია, დარჩენილ მატჩებში მანუს გუნდმა 3-მოგებიანი უპირატესობა გაანიავოს.

■ ■ ■

15 გამარჯვებით მეოთხე ადგილზეა **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსი". ბოლონიელებმა ბოლო ტურში მნიშვნელოვანი მატჩი მოიგეს - „კასერტა" მისსავე მოედანზე 74:67 დაამარცხეს. ესეც მეორე კარგი ამბავი.

ვიქტორი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო 13 წუთი ითამაშა, 2 ქულა (1-დან 1 ორქულიანი) და 1 მოხსნა მოაგროვა. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ სანიკიძესაც ფეხი სტკიოდა და რამდენიმე ვარჯიში გაუცდა.

■ ■ ■

ტრავმის გამო ვერც **გიორგი ცინცაძემ** ითამაშა. იგი „სოპოტს" „პოლფარმასთან" გასვლით შეხვედრაში ვერ დაეხმარა.

- ქართველი გამთამაშებელი მძიმე მატჩის წინ დაგვაკლდა. იგი ნელ-ნელა უმატებს და გუნდსაც კარგად მოერგო. იმედია, გიორგი მომდევნო მატჩში დაგვეხმარება, - განაცხადა „სოპოტის" ლიდერმა **პოლ მალესამ**.

„ბუს" არყოფნის მიუხედავად, სოპოტელებმა მესამე ადგილზე მყოფ „პოლფარმას" სტუმრად 79:78 აჯობეს და მასთან სხვაობა ორ მოგებამდე შეამცირეს. 25 ტურის შემდეგ „სოპოტს" 16 გამარჯვება აქვს და ცხრილში მეოთხეა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# ქვეყნის დასალიერში

**შორეულ** ციმბირში, ხანტი-მანსიისკის ხალიჩაზე სტარტი აიღო „იუგრა ოუფენმა", ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირმა, რომლის საპრიზო ფონდიც 50 ათასი დოლარია. რადგან ტურნირი ქვეყნის დასალიერში იმართება, მასში მონაწილეთა შემადგენლობა შედარებით სუსტია - მაგალითისთვის, საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი **ოქსანა კალაშნიკოვა** (161) მე-4 ნომრად არის განთესილი მაშინ, როცა ერთი კვირის წინათ მოსკოვის ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდიც ხანტი - მანსიისკის ნახევარია, ოქსანა მხოლოდ მე-5 ნომრად იყო განთესილი. საქართველოს პირველი ჩოგნის მეტოქე ჯერ არ გარკვეულა, ის საკვალიფიკაციო წრის ერთ-ერთი გამარჯვებული იქნება. ოქსანამ შარშანაც ითამაშა ხანტი-მანსიისკში, მაშინ მან მერვედფინალში წააგო.

ანთალიაში, მორიგი 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გასვლა სცადეს **თეონა ტატიშვილმა, თამარ ცხაკაიამ** და **ირინა თოიძემ**. თოიძე პირველ წრეში ისვენებდა, სხვებმა კი წააგეს - ცხაკაიამ შვედ **ვალერია ოსადჩენკოსთან** 3:6, 2:6 დათმო, ხოლო ტატიშვილმა - გერმანელ **იულია კიმელმანთან** - 0:6, 2:6. მეორე წრეში წააგო თოიძემაც, მე-4 ნომრად განთესილ არგენტინელ **გვადალუპე მორენოსთან** (724) - 1:6, 1:6. ქაიროს ტურნირში (10 ათასი დოლარი) განთესილთა შორის იქნება **სოფიო ქვაცაბაია** (432), ძირითად ბადეშია აგრეთვე **ეკა გორგოძე** (553).

ანთალიაში ანალოგიური ტურნირი იმართება ვაჟთა შორის, სადაც ძირითად ბადეშია **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (540).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



თავისუფალი ჭიდაობა

# ხსოვნის ტურნირი

**პირველად** ჩატარდა საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული მეომრის და სპორტსმენის **იური ომანიძის** ხსოვნის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. პირველობისთვის ამჯერად 1996-1998 წლებში დაბადებულმა ჭაბუკებმა იბრძოლეს. ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ აფხაზეთის მეომართა კავშირი, საქართველოს ვეტერანთა დეპარტამენტი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და კომპლექსური სპორტსკოლა „აფხაზეთი".

**კვარცხლბეკი:**

26 კგ: 1. ნიკა ბიკაშვილი (დედოფლისწყარო), 2. გენო კაპანაძე (საჩხერე), 3. გიორგი ელბაქიძე (ამბროლაური), 3. ანდრია გუჩუა (აფხაზეთი).

29 კგ: 1. გიორგი გელაშვილი (ხარაგაული), 2. ლადო გამყრელიძე (ამბროლაური), 3. საბა სორდია (აფხაზეთი), 3. ერშნი ნიფტანოლლი (ქარელი);

32 კგ: 1. თემურ ვანიშვილი (გორი), 2. ზურაბ დარახველიძე (ამბროლაური), 3. ბექა ლომიძე (საჩხერე), 3. ვანო გოდელაშვილი (ხაშური);

35 კგ: 1. გაიოზ გონგლაძე (ხაშური), 2. ირაკლი მხეიძე (აჭარა), 3. ჯონი დიასამიძე (ბათუმი), 3. გიორგი დეკანაძე (ხულო);

38 კგ: 1. ტატო ხარაული (ქარელი), 2. თორნიკე კვინიკაძე (ხაშური), 2. ნიკოლოზ კენჭაძე, 3. თორნიკე ცხვირაშვილი (ორივე - ამბროლაური);

42 კგ: 1. დავით კენჭაძე (ამბროლაური), 2. რამაზ ზოიძე (აჭარა), 3. მამუკა ყეინიშვილი (დედოფლისწყარო), 3. დავით წურწუმია (აფხაზეთი);

47 კგ: 1. ფერდო გონაშვილი (დედოფლისწყარო), 2. ჯონი ციმაკურიძე (კაზრეთი); 3. დავით ჯაოშვილი (რუსთავი), 3. გუგა ხეთაგური (ცერცვაძის კლუბი);

53 კგ: 1. ტარიელ გაფრინდაშვილი (აფხაზეთი), 2. ომარ დოლუზაშვილი (გორი), 3. ჰუსეინ გულიევი, 3. ჯანგირ ახმედოვი (ორივე - ქარელი);

59 კგ: 1. დიმიტრი ჯანაშია (აფხაზეთი), 2. ედუარდ ნიკოლიშვილი (ოლიმპ. მზადების ცენტრი), 3. შამო ქარიმოვი, 3. შოთა ბასილაშვილი (ორივე - ხაბელოვის კლუბი).

66 კგ: 1. დავით ლომთაძე (ამბროლაური), 2. გიგა მეშველიანი (რუსთავი), 3. თეიმურაზ თადაშვილი (ხაბელოვის კლუბი), 3. თორნიკე თორია (აფხაზეთი);

73 კგ: 1. ბადრი დოქიძე, 2. დემურ ეფრემიძე (ორივე - აფხაზეთი), 3. მიხედ მუსტაევი (რუსთავი), 3. ხვიჩა ჩიკვილაძე (ცერცვაძის კლუბი);

85 კგ: 1. თორნიკე კახობერაშვილი (ცერცვაძის კლუბი), 2. დავით მეტრეველი (აფხაზეთი), 3. შოთა სულთანიშვილი (ფალავანთა კლუბი), 3. ზურაბ ჩქარეული (სტეფანწმინდა).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ინტერვიუ ლაშა გამყრელიძესთან

# მთავარი მატჩი ბრაუნშვაიგშია

**გერმანიის** ბუნდესლიგის პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის ლაშა გამყრელიძის „მიტელდოიჩერი", რომელსაც 29 მატჩიდან 15 აქვს მოგებული და ცხრილში მეცხრემეათე ადგილებს „არტლანდთან" ინაწილებს. საპლეიოფო ზონაში მყოფ (მერვეზე) „ბრაუნშვაიგს" 16 მოგება უწერია.

ბევრს გადაწყვეტს 5 აპრილს გასამართი „ბრაუნშვაიგი"-"მიტელდოიჩერის" დაპირისპირება. მასში დამარცხება ლაშას გუნდს შეიძლება ძვირად დაუჯდეს...

მანამდე „მიტელდოიჩერმა" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა - უშუალო კონკურენტ „ლუდვიგსბურგს" შინ 82:59 აჯობა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრის ბედი გადაწყდა მეორე პერიოდში, რომელიც „დოიჩერმა" 22:4 მოიგო.

კოჭის ტრავმის შემდეგ ფორმააღდგენილმა გამყრელიძემ სასტარტო ხუთეულში დაიბრუნა ადგილი. მან 24 წუთში 10 ქულა (4-დან 2 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი, 3-დან 3 საჯარიმო), 1 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ქართველი გამთამაშებლის დარად, 10-10 ქულა გაიფორმეს გრინფელდმა და პალჩევიჩმა. მათზე მეტი მხოლოდ ერთმა მიტელდოიჩერელმა ჩააგდო - რადინოვიჩი 14 ქულას გამორჩა.

ქვემოთ გამყრელიძის ინტერვიუს გთავაზობთ.

**- ტრავმის მოშუშების შემდეგ სასტარტო ხუთეულში დაიბრუნე ადგილი...**

- არ იყო დრო?! თავს კარგად ვგრძნობ და ვეცდები, გადამწყვეტ მატჩებში გუნდს ბოლომდე დავეხმარო.

**- „ლუდვიგსბურგთან" მოგება ბევრს წყვეტდა...**

- იგი ჩვენი უშუალო კონკურენტია. ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. მასთან წაგება საქმეს ძალიან გაართულებდა. ამიტომ მატჩს მაქსიმალურად მობილიზებულები შევხვდით და დიდი სხვაობითაც მოვიგეთ.

**- ამის მიუხედავად, პლეი ოფში მოხვედრა მაინც რთული იქნება.**

- „ლუდვიგსბურგზე" ძლიერი კონკურენტები გვყავს: „ბრაუნშვაიგი" და „არტლანდი", რომელთა გასწრება რთული ამოცანაა. მომდევნო ტურში ბრაუნშვაიგელებს ვეთამაშებით და მოგების შემთხვევაში ქულათა რაოდენობით დავეწევით. მაგრამ გამარჯვება ძალიან ძნელი იქნება, რადგან მატჩი მეტოქის მოედანზე გაიმართება.

**- თუმცა ზოგჯერ გასვლით მატჩებს უკეთესად ატარებთ, ვიდრე საშინაოებს...**

- ზოგჯერ ასეა. იმედია, ამჯერად საშინაო მოგებას გასვლითს მივაყოლებთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი — NBA რეგულარული ჩემპიონატი

# არენასი უიზარდში დარჩება



სასამართლომ საბოლოო განაჩენი გამოუტანა "ვაშინგტონ უიზარდსის" ლიდერ **გილბერტ არენასს**, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისთვის წაუყენეს ბრალი.

პროკურორმა 28 წლის კალათბურთელისთვის 3-თვიანი პატიმრობა მოითხოვა, მაგრამ გილბერტი მკაცრ სასჯელს გადაურჩა. არენასს 30 დღით მოუწევს ციხეში ჩაჯდომა, 400 საათი საზოგადოებრივი სამუშაოთი უნდა იყოს დაკავებული და 5 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა უნდა გადაიხადოს. ამ ყველაფერს ემატება ორწლიანი პირობითი პატიმრობა. შეგახსენებთ, რომ არენასმა ბანქოს ვალის გამო თანაგუნდელ **ჯავარის კრიტერტონთან** იჩხუბა, რის შემდეგაც გასახდელში ოთხი პისტოლეტი მიიტანა, რომელთაგან ერთ-ერთი კრიტერტონის ხელში აღმოჩნდა.

"ვაშინგტონის" პრეზიდენტ **ედი გრიუნფელდის** თქმით, კლუბი არ აპირებს კალათბურთელთან ექვსწლიანი და 111-მილიონიანი კონტრაქტის გაწყვეტას. ასე რომ, არენასს მომავალ სეზონში კვლავ ვიხილავთ დედაქალაქური კლუბის მაისურით.

**ბოსტონი-სან ანტონიო 73:94**

23:19, 20:25, 17:33, 13:17

ბ: პირსი (18+5 პასი), გარნეტი (12+10 მოხსნა), უილიამსი (11).
სა: ჯინობილი (28+7 პასი), ჯეფერსონი (16+11 მოხსნა), პილი (15).

**ატლანტა-ინდიანა 94:84**

26:31, 22:19, 24:13, 22:21

ა: სმიტი (21+13 მოხსნა), პორფორდი (18+12 მოხსნა), კროუფორდი (17+6 პასი).
ი: მერფი (21+14 მოხსნა), გრეინჯერი (18), რაში (14).

**მაიამი-ტორონტო 97:94**

26:23, 17:26, 24:28, 30:17

მ: უეიდი (32+7 მოხსნა+6 პასი+5 ჩაჭრა), პასლემი (23), ენტონი (13), აროიო (12+8 პასი).
ტ: ბოში (19), ჯეკი (18), ბარნიანი (17), კალდერონი (12+7 პასი).

**კლივლენდი-საკრამენტო 97:90**

30:21, 28:31, 20:24, 19:14

კ: ჯეიმსი (34+8 პასი+7 მოხსნა), ჯეიმისონი (26+9 მოხსნა), პიქსონი (10), პარკერი (10).
ს: ნოჩიონი (21), უდრიხი (18+15 პასი+10 მოხსნა), ლენდრი (17), ტომპსონი (16+14 მოხსნა), კასპი (13).

**მილუოკი-მემფისი 108:103 (ო)**

24:23, 22:21, 24:29, 24:21, 14:9

მილ: ჯენინგსი (29+8 პასი+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), სალმონსი (25+6 პასი), ბოგუტი (18+11 მოხსნა), რიდნური (14+7 პასი).
მემ: რენდოლფი (31+15 მოხსნა), გეი (20), კონლი (18+10 პასი+4 ჩაჭრა), მაიო (17), გასოლი (11+5 დაფარება).

**დეტროიტი-ჩიკაგო 103:110**

22:28, 22:34, 32:22, 27:26

დ: ჰემილტონი (29+5 პასი), სტაკი (20), პრინსი (13+6 პასი), ცერებკო (12), უოლასი (4+10 მოხსნა).
ჩ: მიურეი (23), როუზი (21+9 პასი), მილერი (17+5 პასი), უორიკი (14), პაინრიხი (11).

**ორლანდო-დენვერი 103:97**

22:24, 30:27, 25:26, 26:20

ო: რედიკი (23+8 მოხსნა+7 პასი), ანდერსონი (19), პოვარდი (18+11 მოხსნა+5 პასი), ბარნსი (16), ლუისი (10).
დ: ენტონი (26+8 მოხსნა), ბილაპსი (18+5 პასი), ნენე (13), სმიტი (13), ალენი (10).

**მინესოტა-ფინიქსი 105:111**

25:26, 19:40, 31:17, 30:28

მ: ლავი (23+22 მოხსნა), ჯეფერსონი (19+16 მოხსნა), გომესი (16), სეშენსი (10), ბრიუერი (10), ფლინი (10).
ფ: სტაუდმაიერი (30+17 მოხსნა), ფრაი (17), ბარბოზა (16), ნეში (14+11 მოხსნა+5 პასი), რიჩარდსონი (11).

**ოკლაჰომა-პორტლენდი 87:92**

21:30, 28:20, 22:24, 16:18

ო: დურანტი (29+13 მოხსნა), გრინი (14), უესტბრუკი (12+6 პასი), იბაკა (10).
პ: მილერი (26), როი (20+7 პასი), ოლდრიჯი (14), კემბი (11+12 მოხსნა).

**კლიპერსი-გ. სტეიტი 103:121**

36:29, 14:40, 33:26, 20:26

კ: ბატლერი (21), გორდონი (20), დეეისი (18+7 პასი), გუდენი (16+12 მოხსნა), ჯორდანი (10+10 მოხსნა).
გ-ს: უილიამსი (25+7 პასი), ტოლივერი (19), კარი (18+7 პასი), მაგეტი (17), ტურიაფი (13+8 მოხსნა+5 პასი), უოტსონი (11).

ოლიმპიზმი

## დიდი ბაზრობა ვანკუვერში

ვანკუვერში ზამთრის 2010 წლის ოლიმპიადიდან მორჩენილი ნივთების გაყიდვა დაიწყო, რომლებსაც თამაშების მსვლელობისას ორგანიზატორები იყენებდნენ.

ოლიმპიადის ნარჩენების შეძენა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. "ბაზარი" ვანკუვერის ერთ-ერთ გარეუბანში - დელტაში არის მოწყობილი. საწყობიდან გამოტანილია ბრტყელეკრანიანი ტელევიზორები, ტყავის სამეულები, ავეჯი, საოფისე მოწყობილობა, ნივთები ოლიმპიური სიმბოლიკით...

*"ყველა ნივთზე არ არის მითითებული ოლიმპიური ემბლემა, მაგრამ ნებისმიერი საგანი ასე თუ ისე დაკავშირებულია ოლიმპიური თამაშების ჩატარებასთან და ამიტომაც იზიდავს მყიდველს"*, - ამბობს ვანკუვერის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი წევრი **გრემ დუნკანი**.

მისი განცხადებით, სამედიცინო მოწყობილებები და დარჩენილი მედიკამენტები ჰაიტიში მიწისძვრით დაზარალებულებს გადაეცემათ.

კრივი

## კლიჩკოს 6 მილიონი

უკრაინელ ვლადიმერ კლიჩკოს ედი ჩემბერსთან საჩემპიონო ბრძოლამ დაახლოებით 6 მილიონი ევრო მოუტანა.

როგორც გერმანული პრესა წერს, სუპერმძიმე წონაში WBA-სა და IBF-ის ჩემპიონმა მარტო გერმანული ტელეარხი - RTL-ისგან ჰონორარის სახით 3 მილიონი ევრო მიიღო. კიდევ ერთი მილიონი ევრო შეადგინა სხვა კომპანიის მიერ ტრანსლაციების გაყიდვით შემოსულმა თანხამ, ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული წილი კი 2 მილიონ ევროს უდრის.

შედარებისთვის, ამერიკელმა ჩემბერსმა, რომელმაც ნოკაუტის შემდეგ ტვინის შერყევა მიიღო, ამ ბრძოლისთვის მხოლოდ 740 ათასი ევრო გამოიმუშავა.

დიუსელდორფში გამართულ ბრძოლას დაახლოებით 50 ათასი კაცი ესწრებოდა, RTL-ის არხზე ტელეტრანსლაციამ კი წელს სარეკორდო აუდიტორია შეკრიბა - 12,34 მილიონი ადამიანი.

ჭადრაკი

## ჩემპიონი გარდაიცვალა

შაბათს, მოსკოვში გარდაიცვალა მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონი ჭადრაკში, საბჭოთა დიდოსტატი **ვასილი სმისლოვი**. 89 წლის მოჭადრაკის სიკვდილის მიზეზი გულის შეტევა გახდა.

სმისლოვმა პირველი საჩემპიონო მატჩი 1954 წელს თანამემამულე **მიხაელ ბოტვინიკთან** ითამაშა. ის შეხვედრა ფრედ დასრულდა და ბოტვინიკმა ტიტული შეინარჩუნა. მომდევნო მატჩი 1957 წელს გაიმართა და სმისლოვის გამარჯვებით დასრულდა, თუმცა ერთი წლის შემდეგ ბოტვინიკმა მატჩ-რევანშში დაიბრუნა პირველობა.

ამის შემდეგ სმისლოვს საჩემპიონო მატჩში მონაწილეობა აღარ მიუღია, არადა ოფიციალურ შეჯიბრებებში 2001 წლამდე თამაშობდა, 1984 წელს კი 63 წლის ასაკში პრეტენდენტთა ტურნირის ფინალამდე მიაღწია, სადაც **გარი კასპაროვთან** დამარცხდა.

ჰოკეი

## მსოფლიოზე წამსვლელები

კანადის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კრეიგ მაკტავიშმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის წინასწარი შემადგენლობა დაასახელა. სიაში 23 ჰოკეისტია შესული:

**მეკარეები** - კრის მეისონი ("სენტ ლუისი"), დუეინ როლოსონი ("აილენდერსი"), მარტი ტურკო ("დალასი"), კემ უორდი ("კაროლინა");

**მცველები** - ჯეი ბოუმისტერი ("კალგარი"), დიონ ფანოფი ("ტორონტო"), მაიკ დელ ზოტო, მარკ სტაალი (ორივე - "რეინჯერსი"), ბრენტ ბერნსი ("მინესოტა"), სკოტ ნიდერმაიერი ("ანაჰაიმი");

**თავდამსხმელები** - მარტინ სენტ ლუისი, ვენსან ლეკავალიე, სტივენ სტემკოსი (ყველა - "ტამპა ბეი"), ჯერომ იგინლა ("კალგარი"), კორი პერი, რაიან გეტცლაფი (ორივე - "ანაჰაიმი"), ბრენდან მოროუ, ბრედ რიჩარდსი (ორივე - "დალასი"), დასტინ პენერი ("ედმონტონი"), რენე ბურკი ("კალგარი"), ჯონ ტავარესი ("აილენდერსი"), ერიკ სტაალი ("კაროლინა"), რიკ ნეში ("კოლამბუსი").

მსოფლიოს ჩემპიონატი 7-23 მაისს გერმანიაში გაიმართება.

ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ავსტრალია პირველია

დანიაში, ბალერუპში ოთხი დღე მიმდინარეობდა მსოფლიოს ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში.

ბალერუპის "სუპერარენაზე" 43 ქვეყნის 300-ზე მეტი სპორტსმენი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. პირველობაზე მედლების 19 კომპლექტი გათამაშდა და ჯილდოები ცხრა ქვეყანამ გაინაწილა - ავსტრალიამ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, აშშ-მა, კანადამ, ლიტვამ, ჰოლანდიამ, გერმანიამ და დანიამ. საერთო-გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი ავსტრალიის ნაკრებმა დაიკავა - ამ გუნდის სპორტსმენებმა ექვსი ოქროს, ორი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

თუ სათვალავში ავიღებთ იმ 10 დისციპლინას, რომელსაც 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადის პროგრამაში შეიტანენ, ამ შემთხვევაში საერთო-გუნდური ჩათვლის ლიდერად დიდი ბრიტანეთი უნდა მივიჩნიოთ - მან ოქროს სამი, ვერცხლის ოთხი და ბრინჯაოს ერთი მედალი მიითვალა.

მსოფლიოს ჩემპიონატი ნაწილია პროგრამისა - "კოპენჰაგენი - ველომრბოლთა ქალაქი", რომელსაც პრინცი **ფრედერიკი** პატრონობს. კოპენჰაგენი ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, რომელსაც ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირ-



მა "ველომრბოლთა ქალაქის" სტატუსი მიანიჭა. სხვათა შორის, 2011 წელს აქ საგზატკეცილო რბოლაში გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერ სიტი-უიგანი | 3:0 |
| **ჩემპიონატი** | |
| ნიუკასლი-ნოტინგემი | 2:0 |
| **კონფერენსი** | |
| ბაროუ-ჰისტონი | 0:0 |
| **ესპანეთი** | |
| ბილბაო-რასინგი | 4:3 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კაიზერი-მიუნხენი | 4:0 |
| **საფრანგეთი** | |
| მონაკო-ოსერი | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰავრი-გინგამი | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-ტოპ ოსი | 8:1 |
| **დანია** | |
| ოდენსე-მიდტიულანდი | 1:2 |
| **ნორვეგია** | |
| ბრანი-სანდეფიორდი | 3:2 |
| **შვედეთი** | |
| გაის-აიკ | 3:1 |
| ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 2:0 |
| ერებრუ-მიალბიუ | 0:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ივერდონი-ვინტერტური | 1:3 |
| **თურქეთი** | |
| ქაისერი-ტრაბზონი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ქარსიაქა-ქარაბუქი | 0:0 |
| **რუმინეთი** | |
| ტიმიშოარა-ვასლუი | 0:1 |
| ბრაშოვი-კლუჟი | 0:1 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-ბოჰემიანსი | გადაიდო |
| **ჩეხეთი** | |
| ბანიკი-სლავია | 3:1 |
| **ბულგარეთი** | |
| მონტანა-ლოკომოტივი (ს) | 0:1 |
| პირინი-ჩერნომორეცი | 1:3 |
| **კალათბურთი** | |
| **იტალია** | |
| სკავოლინი-მილანი | 83:77 |
| **ჰოკეი** | |
| **დანია** | |
| ფრედრიკშავნი-სონდერიისკი | 1:5 |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-სპარტა | 3:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვანი-ნიტრა | 4:0 |
| **ფინეთი** | |
| იუვიასკიულა-კერპეტი | 2:1 |
| კალპა-ტაპარა | 4:1 |
| ლუკო-ტურკუ | 2:4 |
| ჰიფკ-ჰკპ | 3:3 დ.დ. 0:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-სპარტა | 3:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მაიამი** | |
| ფიში-ფ. ლოპესი | 7:5, 6:3 |
| იუჟნი-ვავრინკა | 1:6, 7:6, 7:5 |
| ბერდიხი-სებალიოსი | 6:4, 7:5 |
| ფედერერი-სელა | 7:6, 7:6 |
| ჩილიჩი-ბაღდატისი | 6:3, 6:4 |
| **WTA. მაიამი** | |
| კუზნეცოვა-ბარტოლი | 3:6, 0:6 |
| ა. რადვანსკა-შვედოვა | 6:1, 6:4 |
| ვიკმაიერი-ბაშჩინსკი | 6:0, 6:1 |

TV პროგრამა

**30 მარტი. სამშაბათი**

**I არხი**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლიონი-ბორდო (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ინტერი.
08:45 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
09:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-უიგანი.
11:50 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. ბარსელონა-რეალი.
13:35 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
14:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
14:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ბოლონია.
16:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
18:10 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
18:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
20:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:30 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
22:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
00:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლიონი-ბორდო.
02:30 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. პარტიზანი-მაკაბი.
04:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-უიგანი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

07:30 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. ბარსელონა-რეალი.
09:10 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-კოლორადო.
10:50 100% დინამო.
11:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ინტერი.
13:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე.
15:45 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
16:10 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. ცსკა-კახა ლაბორალი.
17:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-არსენალი.
19:40 რინგ-საიდი. ანალიტიკური პროგრამა კრივზე.
20:45 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. ბარსელონა-რეალი.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლიონი-ბორდო (LIVE).
00:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-მანჩესტერ იუნ.
02:30 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
03:05 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-კოლორადო.
04:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე.
06:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT**

10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. II დღე. პეკინი (LIVE).
13:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
14:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. II დღე. პეკინი (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. მაიამი. აშშ.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:10 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
23:00 კრივი. უმძიმესი წონა. კრის ავალოსი (აშშ)-ხოსე ნიევესომი (პუერტო რიკო). აშშ.
01:00 ექსტრემალური სპორტი.
01:15 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტიმანი. პორტუგალია.
02:30 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
02:45 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. II დღე. პეკინი.

ჰოკეი — NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი-კალგარი 3:5**

0:4, 2:1, 1:0

გოლები: 0:1 კოტალიკი-10 (რენე ბურკი-29, ბეკლუნდი-5), 0:2 ი. უაიტი-11 (იგინლა-37, ჯორდანო-19), 0:3 ბოუმისტერი-3 (რენე ბურკი-30, ბეკლუნდი-6), 0:4 ჰაგმანი-23 (ი. უაიტი-24, სტაიანი-35), 1:4 ოვეჩკინი-46 (ნუბლი-22, ბექსტრიომი-61), 1:5 რენე ბურკი-24 (კონროი-11), 2:5 შტეკელი-5 (ლეინგი-1, შულტცი-17), 3:5 მ. პერო-3 (ოვეჩკინი-54, სიომინი-39).

**ჩიკაგო-კოლამბუსი 2:4**

1:1, 0:2, 1:1

გოლები: 1:0 ბოლანდი-5 (სიბრუკი-21), 1:1 ე. მიურეი-4 (ბრასარი-26, სტრალმანი-28), 1:2 ვორაჩეკი-15 (ბრასარი-27, უმბერგერი-30), 1:3 კომოდორი-2 (უმბერგერი-31, ვორაჩეკი-33), 2:3 შარპი-23 (სიბრუკი-22, კეიტი-53), 2:4 ვორაჩეკი-16 (ნეში-32, რასელი-15).

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 5:1**

2:0, 2:0, 1:1

გოლები: 1:0 მ. კარლი-5 (პარტნელი-29, ეშემი-14), 2:0 ლეინო-6 (ბრიერი-24, საიმონ განიე-22), 3:0 ტიმონენი-5 (პრონგერი-43, ჟირუ-28), 4:0 კრაიჩეკი-1 (ლაპერიერი-15, ბეტსი-10), 4:1 კოვალჩუკი-39 (როლსტონი-16, ე. გრინი-28), 5:1 საიმონ განიე-17 (ლეინო-4, ბრიერი-25).

**პიტსბურგი-ტორონტო 5:4 (ბ)**

1:1, 2:2, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 ორი-3 (უ. პრიმო-5, ვალინი-6), 1:1 ტაილერ კენედი-11 (ადამსი-10, რუპი-6), 1:2 კესელი-30 (კულემინი-20, ბოჟაკი-16), 2:2 კროსბი-46 (ორპიკი-21, პონიკაროვსკი-29), 3:2 კროსბი-47 (ორპიკი-22), 3:3 გუნარსონი-3 (სიოსტრიომი-8, ვალინი-7), 3:4 ბოჟაკი-8 (ფანოფი-19, კესელი-24), 4:4 კუკი-15 (ლეოპოლდი-15, ორპიკი-23).

ბულიტები გაიტანეს: კროსბი (პიტსბურგი), კულემინი (ტორონტო), დუპუი (პიტსბურგი).

**სტ. ლუისი-ედმონტონი 2:1**

0:1, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 ო'სალივანი-11, 1:1 უ. ჯონსონი-8 (ოში-28, კარია-23), 2:1 ტკაჩუკი-13 (ვინჩესტერი-5, ა. სტინი-22).

**სან ხოსე-კოლორადო 4:3**

1:0, 1:2, 2:1

გოლები: 1:0 სეტოგუჩი-18 (ბოილი-40, ჰიტლი-38), 1:1 პორტერი-2 (მაკლეოდი-8, სალეი-3), 1:2 პ. მიულერი-10 (დუშენი-29, კ. სტიუარტი-33), 2:2 ორტმაიერი-8 (კუტური-3, დ. მიურეი-11), 3:2 ბოილი-15, 3:3 პ. მიულერი-11 (კამისკი-12, ჰეიდუკი-18), 4:3 სეტოგუჩი-19 (პაველსკი-25, ქლოუ-34).

# ნალბანდიანმა ბოლომდე ვერ იბრძოლა

მორიგმა სათამაშო დღემ მაიამის მასტერსზე მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. **ენდი მიურეისა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩის** სენსაციური წაგებების შემდეგ, ფავორიტებმა წარმატებით დაასრულეს მეორე წრის ეტაპი.

ერთ-ერთი მათგანი გახლდათ **რაფაელ ნადალი**, რომელსაც შარშან, რომის მასტერსის მოგების შემდეგ, 11 თვეა ტიტული არ მოუპოვებია.

რაფას **დავიდ ნალბანდიანის** სახით სერიოზული მეტოქე ჰყავდა. როგორც იცით, არგენტინელს ტრავმის გამო თითქმის მთლიანად გაუცდა შარშანდელი სეზონი და ახლა ძველი სპორტული ფორმის აღდგენას ლამობს. სამხრეთამერიკელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დიდი წინააღმდეგობა გაუწია ნადალს და პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე მოგებაც კი შეძლო - ბოლო გეიმის ანგარიშია 10:8. არადა, ამ პარტიის მსვლელობისას ესპანელი ბრეიკით იყო დაწინაურებული.



მაგრამ ნალბანდიანს მომდევნო ორი სეტისთვის ძალა აღარ ჰქონდა შერჩენილი, შესაბამისად, რაფამ იოლად შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და მომდევნო ორ პარტია ერთნაირი ანგარიშით - 6:2 მოიგო. აღსანიშნავია, რომ აქამდე ესპანელს არგენტინელთან ურთიერთდაპირისპირებაში უარყოფილი ბალანსი ჰქონდა და ახლა შეძლო მასთან ანგარიშის გათანაბრება - 2:2.

მერვედფინალში ნადალი თავის თანამემამულეს - **დავიდ ფერერს** შეხვდება.

■ ■ ■

ქალებმა დაასრულეს მერვედფინალისტების გამორკვევა და დღემ აქაც სენსაციების გარეშე ჩაიარა. მეოთხე წრეში გააღწია ორივე ბელგიელმა ფავორიტმა.

**კიმ კლაისტერსს** სულ რაღაც 50 წუთი დასჭირდა ისრაელელი **შაარ პეერის** გასანადგურებლად. ბელგიელმა ზედიზედ ცხრა გეიმის მოგებით დაიწყო შეხვედრა, მეტოქეს ჯამში მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო და 6:0, 6:1 გაიმარჯვა. ეს ჩოგბურთელები მეორედ ხვდებოდნენ ერთმანეთს პროფესიულ ტურში - პირველ შემთხვევაშიც გამარჯვება ბელგიელს დარჩა.

კლაისტერსს მერვედფინალში სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს - მისი მეტოქე ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** იქნება.

გაცილებით მეტი ჯაფა დაადგა **ჟუსტინ ანენს**, ვისაც მეტოქედ სლოვაკი ამომავალი ვარსკვლავი **დომინიკა ციბულკოვა** ჰყავდა.

დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ, ანენი მეოთხე ტურნირს ატარებს ამ სეზონში, მაგრამ მის ანგარიშზე ჯერ არც ერთი ტიტული არ არის. თუმცა ჟუსტინი მაიამიში სერიოზული მიზნებით არის ჩასული - წინა წრეში მან ორ სეტში გაანადგურა სახელოვანი რუსი **ელენა დემენტიევა** და ამჯერადაც ორი პარტია იკმარა ახალგაზრდა ციბულკოვას დასამარცხებლად - 6:4, 6:4.

მერვედფინალში ანენს კიდევ ერთ რუსთან - **ვერა ზვონარევასთან** მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

**ATP**

SONY ERICSSON OPEN. მაიამი (აშშ)
**საპრიზო ფონდი:** 3 645 000 დოლარი. ჰარდი

**1/16 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 4)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ) 6:7(8), 6:2, 6:2; **ენდი როდიკი (აშშ, 6)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:2, 6:1; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 8)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 28) 6:2, 7:5; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 12)**-ჯონ ისნერი (აშშ, 17) 6:2, 3:6, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 15)**-ივო კარლოვიჩი (ხორ, 24) 7:6(5), 6:3; **ბენიამინ ბეკერი (გერ)**-ტომი რობრედო (ესპ, 18) 1:6, 6:4, 7:6(1); **ტომაშ ბელუჩი (ბრა, 27)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:3, 6:4; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 33)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:2, 6:7(9), 6:3.

**WTA**

SONY ERICSSON OPEN. მაიამი (აშშ)
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი. ჰარდი

**1/16 ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 2)**-მარია კირილენკო (რუს, 32) 1:6, 6:1, 6:4; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:4, 6:2; **ელენა იანკოვიჩი (7)**-ელენა ვესნინა (რუს, 28) 7:6(3), 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 9)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 4:6, 7:5, 6:1; **ვერა ზვონარევა (რუს, 11)**-სარა ერანი (იტა) 6:2, 6:3; **კიმ კლაისტერსი (ბელ, 14)**-შაარ პეერი (ისრ, 17) 6:0, 6:1; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 22)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 15) 7:5, 6:3; **ჟუსტინ ანენი (ბელ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 26) 6:4, 6:4.

**1/8 ფინალი**

კუზნეცოვა (1)-ბარტოლი (13); ვიკმაიერი (12)-ბაშჩინსკი; ვ. უილიამსი (3)-დანიელა ჰანტუხოვა (19); ა. რადვანსკა (6)-იაროსლავა შვედოვა; იანკოვიჩი (7)-სტოსური (9); კლაისტერსი (14)-აზარენაკა (4); ზვონარევა (11)-ანენი; ვოზნიაცკი (2)-პავლიუჩენკოვა (22).









ვარსკვლავები





# სერენა ცურავს, როდიკი კალათბურთს თამაშობს

მაიამის ტურნირზე არ თამაშობს ქალებს შორის მსოფლიოს პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი**. ამერიკელმა ტრავმა მოიმიზეზა და შვებულების აღება გადაწყვიტა, რომელსაც მაიამის პლაჟზე ატარებს. სწორედ იქ დააფიქსირეს პაპარაცებმა ახალ საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი სერენა.

ფლორიდაში უმცროს უილიამსს საჩოგბურთო საქმეებიც ჰქონდა - კერძოდ მას 2009 წლის საუკეთესო ჩოგბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი გადასცეს, გარდა ამისა, WTA-მ დებ უილიამსებს „წლის საუკეთესო წყვილის" ტიტული მიანიჭა.

*„ეს პრიზი განსაკუთრებით მესიამოვნა, რადგან მე და ვენუსს წყვილებს შორის ჯილდო არასოდეს მიგვილია", -* ამბობს ჩოგბურთელი.

■ ■ ■

ამასობაში, მაიამის „მასტერსის" ორგანიზატორმა - Sony Ericsson-მა სარეკლამო კამპანიის ეგიდით საინტერესო ღონისძიება მოაწყო.

ამ აქციის მიხედვით გაირკვა, რომ ამერიკელი ჩოგბურთელი ენდი როდიკი კალათბურთში ძალიან სუსტი ყოფილა. მით უმეტეს, ეს თვალში საცემი იყო „მაიამი ჰიტის" ლიდერის - **დუეინ უეიდის** ფონზე, რომელთანაც როდიკმა „მეგობრული კალათბურთი" ითამაშა.

ორგანიზატორებმა ერთ-ერთ საჩოგბურთო კორტზე საკალათბურთო ფარი დააყენეს, რომელშიც ენდი და დუეინი მონაცვლეობით ისროდნენ ბურთს.

რა თქმა უნდა, დიდი უპირატესობით უეიდმა გაიმარჯვა. საკალათბურთო და საჩოგბურთო ბურთების გაცვლის შემდეგ, სპორტსმენებმა მოილაპარაკეს, რომ შემდეგ ჯერზე ჩოგბურთში შეეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა